1A2	საწვავის წვა - საწარმოო მრეწველობა და სამშენებლო - მყარი საწვავი	CO2		L	T
1B2b	აქროლადი ემისიები ბუნებრივი აირიდან	CH4	L	L	T
1A1	საწვავის წვა - ენერგეტიკული მრეწველობა - აირისებრი საწვავი	CO2	L	L	T
1A3b	საწვავის წვა - ტრანსპორტი - საგზაო ტრანსპორტი - თხევადი საწვავი	CO2	L	L	T
1A3b	საწვავის წვა - ტრანსპორტი - საგზაო ტრანსპორტი - აირისებრი საწვავი	CO2		L	
1A3e	საწვავის წვა - ტრანსპორტი - სხვა ტრანსპორტი - აირისებრი საწვავი	CO2		L	T
1A4b	საწვავის წვა - საყოფაცხოვრებო - აირისებრი საწვავი	CO2	L	L	T
3A1	ნაკელის ფერმენტაცია - პირუტყვი	CH4	L	L	T
1A1	საწვავის წვა - მყარი საწვავის და სხვა ენერგეტიკული მრეწველობის წარმოება - მყარი საწვავი	CO2	L		T
1B1	აქროლადი ემისიები მყარი საწვავისგან	CH4	L		T
1A4b	საწვავის წვა - საყოფაცხოვრებლო - თხევადი საწვავი	CO2	L		T
1A4a	საწვავის წვა - კომერციული/ინსტიტუციური-თხევადი საწვავი	CO2	L		T
3D1	პირდაპირი N2O ემისია მართული ნიადაგებიდან	N2O	L	L	
2B1	ქიმიური მრეწველობა - ამიაკის წარმოება	CO2	L	L	T
2B2	ქიმიური მრეწველობა - აზოტის მჟავის წარმოება	N2O		L	T
2A1	მინერალური მრეწველობა - ცემენტის წარმოება	CO2	L	L	T
1A4c	საწვავის წვა - სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა/თევზებობა/თევზის მეურნეობები - თხევადი საწვავი	CO2	L		T

IPCC კატეგორიის კოდი	IPCC კატეგორია	სათბურის აირი	დონის შეფასება (1990) Lx,t	დონის შეფასება (2022) Lx,t	ტენდენციის შეფასება Tx,t
5A3	მყარი ნარჩენების განთავსება - არაკატეგორიზებული	CH ₄	L	L	T
5A1	მყარი ნარჩენების განთავსება - მართულია	CH ₄	L	L	T
5A2	მყარი ნარჩენების განთავსება - არამართული	CH ₄		L	
3A4	ნაკელის ფერმენტაცია - სხვა პირუტყვი	CH ₄	L	L	
5D1	საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების დამუშავება	CH ₄	L	L	T
1A4b	საწვავის წვა - საყოფაცხოვრებლო - მყარი საწვავი	CO ₂	L		T
3B1	ნაკელის მენეჯმენტი - პირუტყვი	CH ₄	L		
1A4a	საწვავის წვა - კომერციული/ინსტიტუციური - აირისებრი საწვავი	CO ₂	L	L	T
2C1	ლითონის წარმოება - რკინისა და ფოლადის წარმოება	CO ₂	L		
2C2	ლითონის წარმოება -ფეროშენადნობების წარმოება	CO ₂		L	T
1A2	საწვავის წვა - საწარმოო მრეწველობა და მშენებლობა - თხევადი საწვავი	CO ₂	L	L	T
2F1	პროდუქტი გამოიყენება როგორც ოზონის დამშლელი ნივთიერებების შემცველი - გაგრილება და კონდიციონერება	HFCs		L	T
1B2c	აქროლადი ემისიები ბუნებრივი აირებიდან	CH ₄		L	

R.6. წარმოდგენილი და იდენტიფიცირებული გაუმჯობესებები (დაკავშირებული არასავალდებულო დებულებასთან MPG-ების მე-7 კუნძტის შესაბამისად, მოქნილობა უზრუნველყოფილია იმ განვითარებადი მხარე ქვეყნებისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ MPG-ების 7(C) კუნძტის შესაბამისად მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით)

საქართველოს არ აქვს მოთხოვნილი მოქნილობის საჭიროებები სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშგების შესახებ. სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის გაუმჯობესებები, რომლებიც განხორციელდა წინა ინვენტარიზაციის ანგარიშის შემდეგ, მოიცავს შემდეგ სფეროებსა და მოქმედებებს:

საქართველოს ეროვნული სათბურის აირების ინვენტარიზაციის რამდენიმე სექტორში გამოყენებულია უფრო მაღალი დონის მეთოდები (დონე 2 და დონე 3) და ქვეყნის სპეციფიკური მონაცემები წინა ინვენტარიზაციის ანგარიშთან

შედარებით.

ენერგეტიკის სექტორში მე-2 დონის მეთოდები გამოიყენება ენერგეტიკულ ინდუსტრიაში CO_2 , CH_4 და N_2O ემისიებისთვის. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფუჭირებულ ემისიებში მე-2 დონე გამოიყენება სპეციალურად ბუნებრივი აირის CH_4 გამონაბოლქვისთვის.

სამრეწველო პროცესებისა და პროდუქტის მოხმარებისთვის, მე-2 და მე-3 დონის მეთოდები გამოიყენება მინერალურ მრეწველობაში CO_2 ემისიებისთვის, ხოლო მე-3 დონის მეთოდები გამოიყენება ქიმიურ ინდუსტრიაში. ლითონის წარმოებაში მე-2 დონის მეთოდები გამოიყენება CO_2 ემისიებისთვის. გარდა ამისა, გარკვეული სამრეწველო პროცესებისთვის გამოიყენება მე-2 დონის მეთოდები N_2O ემისიებისთვის. ქვეყნის სპეციფიკური ემისიის ფაქტორები ძირითადად გამოიყენება მინერალურ და ქიმიურ მრეწველობაში CO_2 ემისიებისთვის.

სოფლის მეურნეობის სექტორში მე-2 დონის მეთოდი გამოიყენება ნაკელის ფერმენტაციისთვის. ასევე, მე-2 დონის მეთოდი გამოიყენება ნაკელის მენეჯმენტიდან CH_4 და N_2O ემისიებისთვის.

მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობისა და სატყეო სექტორში გამოიყენება მე-2 დონის მეთოდები სატყეო მიწებიდან CO_2 ემისიებისთვის.

ნარჩენების სექტორისთვის მე-2 დონის მეთოდები გამოიყენება მყარი ნარჩენების განადგურებიდან მიღებული CH_4 -ის ემისიებისთვის.

ქვეყნის სპეციფიკური მონაცემები გამოიყენება ნავთობისა და ბუნებრივი აირიდან გამოყოფილ ემისიებში, კონკრეტულად CH_4 ემისიებისთვის. სოფლის მეურნეობის სექტორში, ქვეყნის სპეციფიკური ემისიის ფაქტორები გამოიყენება CH_4 ემისიებისთვის ენტერულ ფერმენტაციასა და აგრეთვე, N_2O -ის ემისიებისთვის ნაკელის მართვიდან. ნარჩენების სექტორი ასევე, აერთიანებს CH_4 -ის ემისიების შესახებ ქვეყნის სპეციფიკურ მონაცემებს მყარი ნარჩენების განთავსებისგან.

LULUCF სექტორში, გამოყენებულია მცენარეებისთვის დამახასიათებელი ემისიის ფაქტორები IPCC-ში მოცემული ფაქტორების შესაბამისად, რაც ეხება სატყეო მიწებს, სახნავ-სათეს მიწებსა და მდელოებს.

თავი 1.

ეროვნული გარემოებები, ინსტიტუციური მოწყობა და სხვა ინფორმაცია

1.1. საბაზისო ინფორმაცია სათბურის აირებსა და კლიმატის ცვლილებაზე

საქართველომ შეიმუშავა სათბურის აირების ექვსი ეროვნული ინვენტარიზაცია, როგორც ოთხი ეროვნული შეტყობინების (NCs) და ორი ორწლიური განახლებადი ანგარიშის (BURs) ნაწილი, რაც წარდგენილია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციაში (UNFCCC). სათბურის აირების უახლესი ინვენტარიზაცია (მეოთხე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში) მოიცავდა 2016–2017 წლებს, ასევე თავიდან გადაანგარიშებულ მონაცემებს 1990–2015 წლებისთვის.

წინა ინვენტარიზაციის ანგარიშები (პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეტყობინებების ფარგლებში) მომზადდა კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი პანელის (IPCC) 1996 წლის სახელმძღვანელოს მითითებების, ამავე პანელის 2000 წლის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს და 2003 წლის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობისთვის (LULUCF) მიხედვით.

მოგვიანებით, გამჭვირვალობის, თანმიმდევრულობის, შედარებადობის, სისრულისა და სიზუსტის გასაზრდელად (TACCC პრინციპები), საქართველომ გადაინაცვლა 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოზე, რომელიც გამოყენებული იქნა სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციისთვის, მეორე ორწლიური განახლებადი ანგარიშისა (BUR) და მე-6 სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის მომზადებისას (მეოთხე ეროვნული შეტყობინების (NC) ფარგლებში.)

ინვენტარიზაციის გაუმჯობესების უახლესი ციკლის ფარგლებში, მონაცემთა

შეგროვებისა და მართვის არსებული ეროვნული სისტემა შემდგომში განახლდა 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოს შესაბამისად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ამ განახლებებმა ხელი შეუწყო იდენტიფიცირებულ მონაცემებში ხარვეზების აღმოფხვრასა და სათბურის აირების შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას წარმოდგენილ ანგარიშგებებში.

1.2. ეროვნული გარემოებები და ინსტიტუციური მოწყობა

სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნულ სისტემას საქართველოში კოორდინაციას უწევს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA), ხოლო ინვენტარიზაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC), როგორც უშუალო შემსრულებელი ორგანო. ეს პროცესი მიმდინარეობს ერთობლივი ძალისხმევით, სადაც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, სამინისტროები, კვლევითი ინსტიტუტები, სტატისტიკური სააგენტოები, კერძო სექტორი და დამოუკიდებელი ექსპერტები, რაც უზრუნველყოფს სათბურის აირების ინვენტარიზაციის მართვის სრულფასოვან და გამართულ მიდგომას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ხელმძღვანელობენ მთელ პროცესს, ადგენენ ინვენტარიზაციის ანგარიშის მომზადების განრიგს და განსაზღვრავენ როლებსა და პასუხისმგებლობებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. სამინისტრო და ცენტრი პასუხისმგებელნი არიან ასევე, ზოგადი ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) გეგმის შემუშავებასა და შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს, რომ ინვენტარიზაციის ანგარიში შეესაბამებოდეს სიზუსტისა და სანდოობის უმაღლეს სტანდარტებს.

ინვენტარიზაციის ანგარიშის შედგენას უზრუნველყოფენ შემდეგი ძირითადი სექტორების ექსპერტები: ენერგეტიკა, სამრეწველო პროცესები და პროდუქტების გამოყენება (IPPU), სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვა მიწათსარგებლობა (AFOLU) და ნარჩენები. სექტორული ექსპერტები ახორციელებენ მონაცემთა გაფართოებულ შეგროვებას, ითვლიან და აუმჯობესებენ ემისიის ფაქტორებსა და უზრუნველყოფენ მეთოდოლოგიების შესაბამისობას კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) მიერ დადგენილ მითითებებთან. მათი საქმიანობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ეროვნული ინვენტარიზაციის მეცნიერული სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველყოფაში.

ხარისხის კონტროლისა და სისრულის დამოუკიდებელი ექსპერტები (QA/QC) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გამოთვლებისა და დოკუმენტაციის გადამოწმების პროცესში, როგორც მესამე მხარე. მათი ჩართულობა ხელს უწყობს პოტენციური სფეროების იდენტიფიცირებას მეთოდოლოგიური გაუმჯობესებით და ამავედროულად, უზრუნველყოფს ვარაუდების გამჭვირვალობასა და განუზღვრელობის შეფასებებს. აღნიშნული ექსპერტების ჩართულობა, გულისხმობს რა გარე პერსპექტივას, აძლიერებს ინვენტარიზაციის საერთო სანდოობას და მეტად დამატებელს ხდის დოკუმენტის მიგნებებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზედამხედველობას უწევს სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნულ სისტემას, რაც უზრუნველყოფს

ემისიების მონაცემების შეგროვებას, გადამოწმებასა და ანალიზს კლიმატის ანგარიშგების კონტექსტში. ასევე, კოორდინაციას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის კვლევით ინსტიტუტებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, კერძო სექტორს და დამოუკიდებელ ექსპერტებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მეშვეობით, რათა გაუმჯობესდეს ემისიების შეფასებების სიზუსტე და გამჭვირვალობა. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მართავს ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) სისტემას, რაც უზრუნველყოფს IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობას და აუმჯობესებს ანგარიშში მოცემული მონაცემების სანდოობას.

როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, საქართველო სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნული სისტემის განახლების პროცესშია, რათა დააკმაყოფილოს გაერთიანების გადაწყვეტილების მოთხოვნები და ვადები. ეს უზრუნველყოფს ქვეყნის ძალისხმევის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილების შერბილების გლობალურ მიზნებში. ინვენტარიზაციის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სათბურის აირების ემისიების ზუსტი თვალყურის დევნებისა და ანგარიშგებისთვის, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს განახორციელოს უფრო ეფექტური კლიმატის პოლიტიკა და ღონისძიებები. ეს ტრანსფორმაციული პროცესი განვითარებად ქვეყანაში ქმნის ისეთ ეროვნულ გარემოებას, რომლის დასრულებასაც დასჭირდება ერთზე მეტი გამჭვირვალობის ორწლიური ანგარიშის (BTR) ციკლი.

1.2.1. ეროვნული სუბიექტი, ეროვნული საკონტაქტო პირი

ძირითადი სამთავრობო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გარემოს მართვაზე, მათ შორის კლიმატის ცვლილების პოლიტიკაზე, სათბურის აირების (GHG) ინვენტარიზაციის მართვასა და კლიმატის საერთაშორისო ანგარიშგებაზე არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). სამინისტრო გადამწყვეტ როლი აქვს იმაში, რომ საქართველომ შეასრულოს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციით (UNFCCC) და პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული შეტყობინებების (NCs) და ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშების (BTR) შემუშავებასა და წარდგენას.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან საქართველოს ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქალბატონი ნინო თხილავა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

1.2.2. სათბურის აირების ინვენტარიზაციის მომხაერების პროცესი

სათბურის აირების ინვენტარიზაციის პროცესი საქართველოში მიჰყვება სტრუქტურირებულ ჩარჩოს, მონაცემთა ზუსტი შეგროვების, ხარისხის კონტროლისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროცესი იწყება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) საპროექტო წინა-

დადების შემუშავებით ინვენტარიზაციის საქმიანობის დაფინანსების უზრუნველსაყოფად. დამტკიცების შემდეგ, პროექტი ხორციელდება GEF-ის განმახორციელებელი სააგენტოს მეშვეობით, როგორცაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რომელსაც აღასრულებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC).

პროექტის საწყის ეტაპზე, დაკომპლექტდა სათბურის აირების ინვენტარიზაციის ჯგუფი, რამაც უზრუნველყო სექტორული ექსპერტებისა და მონაცემთა ანალიტიკოსების ბაზის არსებობა. შემდგომში კი, ჯგუფმა განახორციელა მონაცემთა შეგროვება და სათბურის აირების შეფასება, სადაც ემისიების მონაცემები შეგროვდა, შემოწმდა და დამუშავდა IPCC-ის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

ხარისხის კონტროლის პროცესი უზრუნველყოფს შედგენილი მონაცემების სიზუსტესა და თანმიმდევრულობას. ემისიის შეფასებები აგრეგირებულია ანგარიშგების სტანდარტიზებულ ფორმატებში და მზადდება ეროვნული ტენდენციების ცხრილები. ანგარიშის მომზადების ეტაპი მოიცავს წარმოდგენილი მონაცემების შედგენას და რედაქტირებას ეროვნული ინვენტარიზაციის დოკუმენტის (NID) შედგენისთვის, რომელიც გადის შიდა განხილვას სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან, სანამ განსახილველად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA).

დამტკიცების შემდეგ, სათბურის აირების ინვენტარიზაციის საბოლოო ანგარიში წარედგინება UNFCCC-ის სამდივნოს, რითაც ქვეყანა უზრუნველყოფს კლიმატის საერთაშორისო ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებას. პროცესი სრულდება საბოლოო დაარქივებით, რაც გულისხმობს, ყველა მონაცემის, მეთოდოლოგიისა და დოკუმენტაციის შენახვას სამომავლო გამოყენებისა და გამჭვირვალობისთვის.

1.2.3. ინფორმაციის ჯაგრჟივება

ეროვნული ინვენტარიზაციის დოკუმენტი (NID) და საერთო საანგარიშგებო ცხრილები (CRTs), ყველა ხარისხის/კვალიფიკაციის დოკუმენტაციასთან ერთად, საქართველოს სათბურის აირების ინვენტარიზაციის პროცესის გამჭვირვალობის, სიზუსტისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად დაარქივებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ. არქივის ეს პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ინსტიტუციური ცოდნის შენარჩუნებაში, სამომავლო ინვენტარიზაციის ციკლების მხარდაჭერაში, გარე მიმოხილვებისა და შემოწმებების ხელშეწყობაში.

დაარქივებული მასალები მოიცავს მეთოდოლოგიურ დოკუმენტაციას, სექტორულ მონაცემებს, გამოთვლის ცხრილებს, გადამოწმების ანგარიშებსა და შიდა მიმოხილვის ჩანაწერებს, რაც უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის შესახებ სრულყოფილი მასალის არსებობას. ამ დოკუმენტების სტრუქტურირებულ და ხელმისაწვდომ ფორმატში შენახვით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ქმნის ინფორმაციის ეფექტური მოძიების საშუალებას მომავალი ანგარიშგების ციკლებისთვის, ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და UNFCCC-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. გარდა ამისა, დაარქივებული ინფორმაცია ხელს უწყობს ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებას, აძლიერებს ინსტიტუციურ მეხსიერებას და აუმჯობესებს საქართველოს უნარს აკონტროლოს და მართოს მისი ემისიების ტენდენციები.

1.2.4. ინვენტარიზაციის ოფიციალური განხილვისა და დამოკიცების პროცესი

საქართველოს სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნული დოკუმენტი მომზადებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. საბოლოო შედეგები მოიცავს:

- **ეროვნული ინვენტარიზაციის დოკუმენტს (NID):** ყოვლისმომცველი ანგარიში, რომელიც ასახავს მეთოდებს, ვარაუდებს, მონაცემთა წყაროებსა და QA/QC პროცედურებს.
- **საერთო საანგარიშო ცხრილებს (CRT):** სტანდარტიზებული ცხრილები, რომლებიც აჯამებს ემისიების გაფრქვევასა და შთანთქმას ყველა შესაბამის სექტორში, შეესაბამება UNFCCC-ის ანგარიშგების მოთხოვნებს.

ეს შედეგები მიეწოდება პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ მხარეებს, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სათბურის აირების ინფორმაციის გამჭვირვალობას და ფართო ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, ეს დოკუმენტაცია ხელს უწყობს სამომავლო ინვენტარიზაციის გაუმჯობესებას, ინფორმირებულ კლიმატის ცვლილების პოლიტიკას, შერბილების სტრატეგიებსა და კვლევებს.

1.3. მეთოდოლოგიის მოკლე ზოგადი აღწერა

2018–2022 წლების სათბურის აირების ინვენტარიზაცია 1990–2017 წლების ხელახალ გამოთვლებთან ერთად, მომზადდა IPCC-ის 2006 წლის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციისთვის, ხოლო, სადაც შესაძლებელი იყო, გამოყენებული იქნა 2006 წლის სახელმძღვანელოს 2019 წლის განახლებული მითითებები. ინვენტარიზაცია ასევე აერთიანებს შესაბამის პრაქტიკას IPCC-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო LULUCF სექტორისთვის (2003). სადაც შესაძლებელი იყო, მე-2 და მე-3 დონეები გამოყენებული იქნა ძირითადი წყაროების მიმართ სიზუსტის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ინვენტარიზაციაში გამოყენებულია სათბურის აირების ინვენტარიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის უახლესი ვერსია დანართ I ქვეყნებისთვის, ასევე, საერთო საანგარიშო ცხრილები 5/CMA.3 გადაწყვეტილების შესაბამისად. გლობალური დათბობის პოტენციალის (GWP) მნიშვნელობები აღებულია IPCC-ის მეხუთე შეფასების ანგარიშიდან (AR5). აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომები უზრუნველყოფს, რომ ეროვნული წარდგინებები აკმაყოფილებდეს UNFCCC-ის უახლეს მოთხოვნებს.

1.4. ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა

საქართველოს სათბურის აირების (GHG) ემისიების გაფრქვევისა და შთანთქმის ძირითადი კატეგორიები შეფასებულია 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოს შესაბამისად. დოკუმენტში შეფასებულია ემისიების ტენდენციები 1990 წლიდან 2022 წლამდე და განხილულია ორი შემთხვევა: ერთი მოიცავს მინათსარგებლობას,

ცვლილებას მინათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობას (LULUCF), ხოლო მეორე ამ სექტორის გარეშე. ძირითადი კატეგორიის ანალიზი ანიჭებს პრიორიტეტს ემისიებისა და მათი შთანთქმის ისეთ წყაროებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მთლიან ემისიებზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების უკეთ განაწილებას, მეთოდოლოგიურ გაუმჯობესებას და ხარისხის უზრუნველყოფას.

ანალიზი განსაზღვრავს ძირითად კატეგორიებს მიდგომა 1-ის გამოყენებით, რომელიც შედგება დონისა და ტენდენციის შეფასებებისგან. დონის შეფასება განსაზღვრავს, თუ რომელ კატეგორიებს შეაქვს წვლილი მთლიან ემისიებში, ხოლო ტენდენციის შეფასება განსაზღვრავს კატეგორიებს, რომელთაც ყველაზე მეტი გავლენა აქვთ ემისიის ტენდენციებზე. ძირითადი კატეგორიების კლასიფიკაციისთვის გამოიყენება კუმულაციური ბარიერი, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს მთლიანი ემისიების 95%-ს.

1990 წელს ძირითადი კატეგორიები მოიცავდა 25 წყაროს, აქედან 13 იყო ენერგეტიკის სექტორიდან, 4 სოფლის მეურნეობიდან, 2 მრეწველობის სექტორიდან, 3 LULUCF-დან და 3 ნარჩენებიდან. LULUCF-ის გამორიცხვამ გამოკვეთა 24 ძირითადი კატეგორია, სადაც ენერგეტიკის სექტორს აქვს ყველაზე დიდი წვლილი. ემისიების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროები მოიცავდა საწვავის წვას ენერგეტიკულ მრეწველობაში, ბუნებრივი აირიდან გამოყოფილ ემისიებს, სატყეო მიწების; შენარჩუნებული სატყეო მიწებისა და საგზაო ტრანსპორტს.

2022 წლისთვის ძირითადი კატეგორიების რაოდენობა 23-მდე შემცირდა, 11 ენერგეტიკის სექტორიდან, 2 სოფლის მეურნეობის, 5 მრეწველობის, 2 LULUCF-დან და 3 ნარჩენებიდან. ძირითადი ემისიის წყაროები იგივე დარჩა, მაგრამ შესამჩნევი ცვლილებებით, მათ შორის ენერგეტიკულ ინდუსტრიებში საწვავის წვის გამონაბოლქვის შემცირებთა და ნარჩენებთან დაკავშირებული ემისიების ზრდით. LULUCF-ის გამორიცხვამ 2022 წელს გამოკვეთა 23 ძირითადი კატეგორია, ენერგეტიკის, სამრეწველო პროცესებისა და ნარჩენების სექტორები კვლავ დომინანტურ კონტრიბუტორებად რჩებიან.

ტენდენციის ანალიზი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა ენერგიასთან დაკავშირებულ ემისიებში საწვავის მოხმარებისა და ეფექტურობის გაუმჯობესების ცვლილებების გამო. თუმცა, გარკვეული კატეგორიები, როგორიცაა მყარი ნარჩენების განადგურება და ქიმიური მრეწველობის ემისიები, აჩვენებს მზარდ ტენდენციებს. მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა გაანალიზდეს, თუ როგორ ვითარდებოდა ემისიის წყაროები დროთა განმავლობაში, რაც ხელს უწყობს მიზანმიმართული შემარბილებელი სტრატეგიების შექმნას (იხ. დანართი I).

1.5. ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის გეგმა და მისი განხორციელების მოკლე ზოგადი აღწერა

ხარისხის უზრუნველყოფისა (QA) და ხარისხის კონტროლის (QC) პროცედურები საქართველოს სათბურის აირების ინვენტარიზაციის ეროვნულ ანგარიშში სტრუქტურირებულია სისტემატურ ჩარჩოში სიზუსტის, გამჭვირვალობისა და მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. სისტემა მიჰყვება 2006 წლის IPCC სახელმძღვანელო პრინციპებს და ემსახურება სათბურის აირების ემისიების გაფრქვევისა და შთანთქმის მონაცემების სანდოობის გაზრდას და შემუშავებულია პრო-

ექტის „შესაძლებლობის გაძლიერების ინიციატივა გამჭვირვალობისთვის“ (CBIT) ფარგლებში.

ხარისხის კონტროლის (QC) გეგმა მოიცავს როგორც საერთო, ისე სექტორული კონტროლის მექანიზმებს. საერთო ხარისხის კონტროლი გულისხმობს რუტინულ შემოწმებას, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და სიზუსტეს, ხოლო მონაცემებისა და ანგარიშების გადამოწმებით აღმოფხვრის შეცდომებს. იგი სავალდებულოა ყველა ძირითადი კატეგორიისთვის და წარმოადგენს სტრუქტურირებული ანგარიშებისა და კორექტირების პროცესს. დარგობრივი ხარისხის კონტროლი გამოიყენება სპეციალურად ინვენტარიზაციაში აღწერილ სექტორებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს სისრულესა და სისწორეს. ეს ეხება როგორც ძირითად წყაროებს, ასევე არა-ძირითად კატეგორიებს, სადაც ცდომილების დონე აღემატება 20%-ს, მეთოდოლოგია არის შეცვლილი ან ტენდენციები აჩვენებს მნიშვნელოვან რყევებს.

ხარისხის უზრუნველყოფის (QA) გეგმა მოიცავს დამოუკიდებელ მიმოხილვებს, რომელსაც ახორციელებენ ექსპერტები, რომლებიც არ მონაწილეობენ ინვენტარიზაციის მომზადების პროცესში. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხის მიუკერძოებელ შემოწმებას. გეგმა ეხება, როგორც ძირითადი კატეგორიების, ასევე იმ კატეგორიების 50%-ს, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი განუზღვრელობით ან მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებებით. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს ინვენტარიზაციის დოკუმენტების განხილვას, შესწორებების შეთავაზებას და გაუმჯობესების შემოწმებას.

შემოწმების პროცესი მოიცავს ინვენტარიზაციის შემდეგი ციკლების მომზადებას და დამოუკიდებლად აფასებს მონაცემთა სანდოობას გარე წყაროებით, საერთაშორისო ანგარიშებთან და ალტერნატიული გაანგარიშების მეთოდებთან შედარებით. ეს ხელს შეუწყობს შეუსაბამოების იდენტიფიცირებას და ემისიის შეფასებებში სანდოობის უზრუნველყოფას.

და ბოლოს, **არქივის სისტემა**, რომელიც დამუშავების პროცესშია, მიზნად ისახავს მონაცემთა, მეთოდოლოგიებისა და გადაწყვეტილებების გრძელვადიანი დოკუმენტირების უზრუნველყოფას, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და უწყვეტობას ინვენტარიზაციის ციკლებში. არქივის კოორდინატორი ინახავს ჩანაწერებს და ხელს უშლის უნებართვო რედაქტირებას.

ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) ღონისძიებები ერთად უზრუნველყოფს, რომ საქართველოს სათბურის აირების ინვენტარიზაცია აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მუდმივად უმჯობესდება დროთა განმავლობაში და უზრუნველყოფს მონაცემების სანდოობას პოლიტიკისა და ანგარიშების მიზნებისთვის.

1.6. განუზღვრელობის ზოგადი შეფასება, ინვენტარიზაციის ჯამების საერთო განუზღვრელობის მონაცემების ჩათვლით

საქართველოს სათბურის აირების (GHG) ინვენტარიზაციის განუზღვრელობის შეფასება მოიცავს ყველა კატეგორიას და გამოიყენებს შეცდომების გამრავლების მეთოდს. ინვენტარიზაციის მთლიანი განუზღვრელობა შეფასებულია 8.85

პროცენტად, რაც ასახავს საერთო შეფასების განუზღვრელობას ემისიების ყველა წყაროში. გარდა ამისა, ტენდენციის განუზღვრელობა განისაზღვრება 4.57 პროცენტით, რაც მიუთითებს დროთა განმავლობაში ემისიის ტენდენციების შეფასების სანდოობაზე.

მეთოდოლოგია ეფუძნება 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს პრინციპებს და გამოთვლები შესრულებულია მიდგომა 1-ის (შეცდომის გამრავლება) გამოყენებით. ეს მეთოდი აფასებს განუზღვრელობას საბაზისო წლის, მიმდინარე საანგარიშო წლისა და საერთო ტენდენციისთვის. II დანართში წარმოდგენილია ემისიის წყაროების დეტალური აღწერა, მათ შორის საწვავის წვის, სამრეწველო პროცესების, სოფლის მეურნეობის, LULUCF-ისა და ნარჩენების მართვის. თითოეული კატეგორია მოიცავს აქტივობის მონაცემების განუსაზღვრელობისა და ემისიის ფაქტორების განუზღვრელობის კონკრეტულ შეფასებებს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ემისიების მონაცემების სრულყოფილ ანალიზს.

1.7. სისრულის ზოგადი შეფასება

1.7.1. ინფორმაცია სისრულის შესახებ

შემდეგი ინფორმაცია ცალკეული კატეგორიების სისრულესთან დაკავშირებით ემსახურება CRT 9(a)-ში წარმოდგენილი მონაცემების ტექსტურ დამატებას.

საქართველოს ეროვნული სათბურის აირების (GHG) ინვენტარიზაცია მიყვება სექტორული გაუმჯობესების გეგმა, რათა უზრუნველყოს სისრულის საკითხი და მკაფიოდ განასხვავებს შემდეგ კატეგორიებს:

წყაროს სპეციფიკური ემისიების გაფრქვევა და შთანთქმა, რომლებიც არ ხდება (NO – Not Occurring) - ეს ეხება ემისიებს ან შთანთქმის ისეთ წყაროებს, რომლებიც არ გვხვდება საქართველოში ან არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში.

წყაროს სპეციფიკური ემისიების გაფრქვევა და შთანთქმა, რომლებიც არ არის შეფასებული ან მოხსენებული (NE – Not Estimated) - ეს ხდება მაშინ, როდესაც წყაროები არ არსებობს ან არ არის ხელმისაწვდომი სანდო მონაცემები, ან მათი მოპოვება არაპროპორციულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით, საქართველო გეგმავს **სათბურის აირების გაუმჯობესების ყოვლისმომცველი გეგმის** შემუშავებას. ეს გეგმა მიზნად ისახავს, მიზნობრივი გაუმჯობესების გზით გააძლიეროს რესურსების განაწილება ინვენტარიზაციის სისრულის მიმართულებით, განსაკუთრებული აქცენტით მინათსარგებლობის ცვლილებასთან და დასახლებებთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისიების ხარვეზების აღმოფხვრაზე. ეს ორი კატეგორია აღიარებულია, როგორც ძირითადი პოტენციური ზემოქმედების წყარო სათბურის აირების მთლიან ბალანსზე და გამოიხატება ძალისხმევა მათი ზუსტი წარმოდგენის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, საქართველო გეგმავს გაუმჯობესების ისტორიული მონაცემების ხარისხი და თანმიმდევრულობა, მიმდინარე ინიციატივებით, რომლებიც მიმართულია სექტორულ თავებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ეს ძალისხმევა მოიცავს მონაცემთა შეგროვების პროცესის შემდგომ დახვეწას, შესაბამის დაი-

ნტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობასა და უფრო ზუსტი მეთოდოლოგიების ინტეგრირებაზე მუდმივ ფოკუსირებას, რაც უზრუნველყოფს, რომ ინვენტარიზაცია ასახავდეს ყველაზე აქტუალურ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას.

1.7.2. უმნიშვნელო კატეგორიების აღწერა, საჭიროების შემთხვევაში

დანართი I (cf. FCCC/CP/2013/10/Add.3) 24/CP.19-ის მიხედვით, ემისიები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც „არ არის შეფასებული“ (NE) არსებობის შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია საერთო ეროვნულ ემისიებთან და მათ ტენდენციებთან მიმართებაში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ემისიების სავარაუდო რაოდენობა, როგორც წესი, სათბურის აირების მთლიანი ეროვნული ემისიების 0,05 პროცენტზე ნაკლებია და არ აღემატება 500 კტ CO₂ ეკვივალენტს. სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის შემთხვევაში, ეს აღნიშვნა ასევე, ვრცელდება ისეთ კატეგორიებზე, სადაც მონაცემები შეზღუდულია, არასანდოა ან ასეთი მონაცემების მოპოვება საჭიროებს დამატებით რესურსებს.

ცხრილი 1-1. უმნიშვნელოების დონე სათბურის აირების ემისიების დონესთან დაკავშირებით უახლესი საინვენტარო წლისთვის

	GHG ემისიები, 2022 (გგ CO ₂ ეკვ.)
საერთო GHG ემისიები LULUCF-ის გარეშე	20,096
აქედან 0.1 %	20.10
აქედან 0.05 %	10.05
CRT კოდი და სახელი	მოსალოდნელი ან სავარაუდო ემისიები
2G3b ძრავები წნევით და აეროზოლურ პროდუქტებში (7.8.3.2.)	<1

1.7.3. უმნიშვნელო მჩინეული მთლიანი აგრეგირებული ემისიები, საჭიროების შემთხვევაში

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აღნიშვნით „არ არის შეფასებული“ (NE) მონიშნული კატეგორიები გადააჭარბებენ უმნიშვნელო ზღვარს, სათბურის აირების ინვენტარიზაციის შემდეგი ანგარიში უზრუნველყოფს ამ კატეგორიების უფრო დეტალურ განხილვას. ეს მოიცავს ემისიებს, რომლებიც მიჩნეულია უმნიშვნელოდ და არ არის შეფასებული სანდო მონაცემების მიუწვდომლობის ან მონაცემთა შეგროვების არაპროპორციულად მაღალი ღირებულების გამო.

1.8. მეთრიკები

საქართველო იყენებს გლობალური დათბობის პოტენციალს (GWP), 100-წლიანი დროის ჰორიზონტით, რომელიც მოცემულია IPCC-ის მეხუთე შეფასების ანგარიშში, ცხრილი 8.A.1.

ცხრილი 1-2. სათბურის აირების მეზრიკული მნიშვნელობები

აკრონიმი, საერთო სახელი ან ქიმიური სახელი	ქიმიური ფორმულა	GWP 100-წელი
ნახშირორჟანგი	CO ₂	1
მეთანი	CH ₄	28
აზოტის ოქსიდი	N ₂ O	265
HFC-32	CH ₂ F ₂	677
HFC-125	CHF ₂ CF ₃	3,170
HFC-134a	CH ₂ FCF ₃	1,300
HFC-143a	CH ₃ CF ₃	4,800
HFC-227ea	CF ₃ CH ₂ CF ₃	3,350
გოგირდის ჰექსაფტორიდი	SF ₆	23,500
აზოტის ტრიფტორიდი	NF ₃	16,100

1.9. ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება.

თავი 2.

სათბური აირების გაფრქვევისა და შთანთქმის ბენდენციები

ამ თავში განხილულია საქართველოს სათბურის აირების (GHG) გაფრქვევებისა და შთანთქმის ბენდენციები 1990 წლიდან 2022 წლამდე, წარმოდგენილია მთლიანი გაფრქვევების, სექტორული ბენდენციებისა და აირებისთვის დამახასიათებელი წვლილის ანალიზი.

2.1. გაფრქვევებისა და შთანთქმის ბენდენციების აღწერა აგროგირებული სათბურის აირების გაფრქვევებისა და შთანთქმისთვის

საქართველოს სათბურის აირების ემისიების ბენდენციები 1990 წლიდან 2022 წლამდე აჩვენებს მნიშვნელოვან ცვალებადობას დროთა განმავლობაში, კლების და ზრდის მკაფიო პერიოდებით.

1990 წლიდან 2002 წლამდე მთლიანი ემისიები მკვეთრად შემცირდა. 1990 წელს ემისიებმა უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია 46,575 გგ CO₂ ეკვ. (LULUCF-ის გარეშე), მაგრამ მკვეთრად შემცირდა 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური კოლაფსის გამო. ყველაზე დაბალი ემისიები დაფიქსირდა 2001 წელს, 9,514 გგ CO₂ ეკვ., რაც 80%-იანი კლებაა 1990 წლის დონეებთან შედარებით (ცხრილი 2-1).

**ცხრილი 2-1. საქართველოს სატბურის აირების საერთო ემისიის ზენდენციები
1990 წლიდან 2022 წლამდე LULUCF-ით და მის გარეშე**

წელი	საერთო GHG ემისი- ები LULUCF-ის გარეშე (გგ CO ₂ ეკვ.)	საერთო GHG ემისი- ები LULUCF-ით (გგ CO ₂ ეკვ.)	წელი	საერთო GHG ემისიები LULUCF-ის გარეშე (გგ CO ₂ ეკვ.)	საერთო GHG ემისი- ები LULUCF-ით (გგ CO ₂ ეკვ.)
1990	46,575	38,396	2007	13,733	7,528
1991	38,039	30,458	2008	12,470	6,103
1992	31,714	24,043	2009	12,064	5,621
1993	26,219	18,761	2010	13,644	7,824
1994	16,612	9,459	2011	15,965	9,777
1995	13,545	6,311	2012	16,769	10,332
1996	14,154	7,056	2013	16,260	10,453
1997	12,975	5,697	2014	16,981	11,253
1998	12,044	5,235	2015	18,484	12,762
1999	10,778	3,913	2016	18,661	12,801
2000	11,413	4,677	2017	17,784	11,974
2001	9,514	2,581	2018	17,655	11,771
2002	11,091	4,381	2019	18,001	12,218
2003	12,154	5,567	2020	18,297	12,394
2004	12,513	6,034	2021	18,797	12,786
2005	11,461	5,451	2022	20,096	14,295
2006	13,556	6,767			


2003-დან 2019 წლამდე ემისიები თანდათან გაიზარდა. 2000-იანი წლების დასა-
წყისში ყველაზე დაბალ ნიშნულზე მიღწევის შემდეგ, ემისიებმა დაიწყო აღდგენა
და 2010-იანი წლების ბოლოს დასტაბილურდა დაახლოებით 17,000–18,000 გგ CO₂
ეკვ. შორის. ეს პერიოდი ასახავს ეკონომიკურ აღმავლობასა და ენერგიის მოხმა-
რების ზრდას.

2020 წლიდან 2022 წლამდე ემისიები აგრძელებდა ზრდას, 2022 წელს მიაღწია 20,096
გგ CO₂ ეკვ., რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1990-იანი წლების დასაწყისიდან.
ეს მიუთითებს პოსტ-პანდემიურ რეაბილიტაციასა და სამრეწველო და ენერგეტი-
კული აქტივობების შესაძლო გაფართოებაზე.

LULUCF-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა ემისიების შთანთქმაში დროთა განმა-
ვლობაში. 1990 წელს, LULUCF-დან შთანთქმა იყო 8,179 გგ CO₂ ეკვ., რამაც ხელი
შეუწყო ემისიების კომპენსირებას. 1990-იანი წლების დასაწყისში, LULUCF-დან
შთანთქმა შედარებით მაღალი რჩებოდა, მერყეობდა 6000-დან 9000 გგ CO₂ ეკვ.
ტუმცა, 2000-იანი წლების დასაწყისისთვის, შთანთქმა დაეცა ყველაზე დაბალ
წერტილამდე, მიაღწია რა მხოლოდ 2,581 გგ CO₂ ეკვ. 2001 წელს. 2002 წლიდან მო-
ყოლებული, LULUCF-დან შთანთქმა კვლავ გაიზარდა და მიაღწია 10,000 გგ CO₂ ეკვ.

2012 წლისთვის. ყველაზე მაღალი რეგისტრირებული შთანთქმა დაფიქსირდა 2022 წელს, 14,295 გგ CO₂ ეკვ., რაც ასახავს სატყეო და მიწის მართვის გაუმჯობესებულ პრაქტიკას (ნახაზი 2-1).

ნახაზი 2-1. საქართველოს სატყურის აირების ემისიები 1990 -2022წწ.



საერთო ჯამში, საქართველოს ემისიების ტენდენციები ასახავს ეკონომიკურ ცვლილებებს, პოლიტიკის ინტერვენციებს და მიწის გამოყენების ცვლილებებს. LULUCF სექტორი თანმიმდევრულად უწყობს ხელს ემისიების კომპენსირებას, ბოლო წლებში შთანთქმის შესამჩნევი ზრდით.

2.2. ემისიების გაფრქვევისა და შთანთქმის ტენდენციების აღწერა საქთორისა და აირების მიხედვით

ენერგეტიკის სექტორი

ენერგეტიკის სექტორს ისტორიულად ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ემისიებში. 1990 წელს ემისიები იყო 39,465 გგ CO₂ ეკვ., რაც შეადგენს მთლიანი ემისიების უმეტესობას. ემისიების მკვეთრი შემცირება 1990-იან წლებში ეკონომიკური ვარდნით იყო გამოწვეული და მიაღწია დაბალ ნიშნულამდე 4701 გგ CO₂ ეკვ. 2001 წელს, 88%-იან შემცირებას. 2002 წლიდან მოყოლებული, ემისიები სტაბილურად გაიზარდა, რაც ასახავს ეკონომიკის აღდგენას და ენერგომოთხოვნის ზრდას. 2022 წლისთვის ენერგეტიკული ემისიები გაიზარდა 13,218 გგ CO₂ ეკვ.-მდე რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1996 წლიდან, რაც მიუთითებს წიაღისეულ საწვავზე მუდმივ დამოკიდებულებაზე და სამრეწველო საქმიანობის გაფართოებაზე.

სამრეწველო პროცესებისა და პროდუქტების მოხმარების (IPPU) სექტორი

ენერგეტიკის სექტორთან შედარებით, IPPU სექტორი განსხვავებულ ტენდენციას მიჰყვება, რასაც მნიშვნელოვნად ნაკლები წვლილი შეაქვს მთლიან ემისიებში. 1990 წელს ემისიებმა შეადგენდა 1642 გგ CO₂ ეკვ. და მკვეთრად შემცირდა 1990-იან წლებში ინდუსტრიული ვარდნის გამო, როდესაც მიაღწია 387 გგ CO₂ ეკვ. 1994 წელს. ემისიები თანდათან გაიზარდა 2000 წლის შემდეგ და მიაღწია 2,571 გგ CO₂ ეკვ. 2022 წელს, რაც ასახავს ზომიერ ინდუსტრიულ ზრდას.

სოფლის მეურნეობის სექტორი

სოფლის მეურნეობის სექტორის ემისიებმა აჩვენა უფრო სტაბილური მოდელი სხვა სექტორებთან შედარებით. 1990 წელს ემისიები იყო 4284 გგ CO₂ ეკვ., შემცირებით 1990-იანი წლების განმავლობაში. 2007 წლისთვის ემისიები შემცირდა 2,331 გგ CO₂ ეკვ.-მდე, რაც მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემცირებაზე. 2010 წლიდან მოყოლებული, ემისიები მერყეობდა, მაგრამ შედარებით სტაბილური დარჩა, მაქსიმალურ მაჩვენებელს 2,822 გგ CO₂ ეკვ. მიაღწია 2015 წელს, სანამ შემცირდებოდა 2310 გგ CO₂ ეკვ.-მდე 2022 წელს. ამ სექტორის შედარებით მცირე რყევები მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურ დონეებზე მცირე ცვალებადობით.

ნარჩენების სექტორი

ნარჩენების სექტორმა აჩვენა ემისიების თანდათანობითი ზრდა დროთა განმავლობაში. დაწყებული 1,185 გგ CO₂ ეკვ.-ით 1990 წელს, ნარჩენებთან დაკავშირებული ემისიები მუდმივად იზრდებოდა ურბანიზაციისა და ნარჩენების წარმოქმნის გამო და მიაღწია 1,996 გგ CO₂ ეკვ. 2022 წელს. ეს სტაბილური ზრდა მიუთითებს ნარჩენების მართვისა და შემარბილებელი ღონისძიებების შეზღუდულ წინსვლაზე.

მიწათსარგებლობა, ცვლილებები მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობის სექტორი (LULUCF)

LULUCF-დან ემისიების შთანთქმამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ემისიების კომპენსირებაში. 1990 წელს შთანთქმა იყო -8179 გგ CO₂ ეკვ., რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნეტ-ემისიებს. დროთა განმავლობაში, შთანთქმა ოდნავ შემცირდა და მიაღწია -5,807 გგ CO₂ ეკვ. 2013 წელს. თუმცა, ტენდენცია შედარებით სტაბილური დარჩა, შთანთქმა -5801 გგ CO₂ ეკვ. 2022 წელს. სხვა სექტორებში მზარდ ემისიებთან შედარებით, LULUCF-ის შთანთქმა პროპორციულად არ გაიზარდა, რაც ხაზს უსვამს ტყის გაშენების, აღდგენისა და მიწათსარგებლობის მიმართულებით გაძლიერებული პოლიტიკის საჭიროებას ნახშირბადის სეკვესტრის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

1990 წელს ენერგეტიკის სექტორი შეადგენდა სათბურის აირების მთლიანი ემისიების 84,73%-ს, შემდეგ მოდიოდა სოფლის მეურნეობა 9,20%, IPPU 3,53% და ნარჩენები 2,54%. 2022 წლისთვის ენერგეტიკის სექტორის წილი შემცირდა 65,78%-მდე, ხოლო IPPU გაიზარდა 12,79%-მდე, სოფლის მეურნეობის 11,50%-მდე, ხოლო ნარჩენების 9,93%-მდე. ეს ცვლილება მიუთითებს ენერგეტიკული ემისიების დომინირების შედარებით შემცირებაზე და სამრეწველო პროცესების, სოფლის მეურნეობის და ნარჩენების სექტორების მზარდ წვლილზე (ცხრილი 2-2).


ცხრილი 2-2. საქვორული სათბურის აირების ემისიებისა და შთანთქმის ბენეფიციები 1990 წლიდან 2022 წლამდე

წელი	ენერგეტიკა	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენები	LULUCF
1990	39,465	1,642	4,284	1,185	-8,179
1991	31,652	1,340	3,853	1,193	-7,580
1992	26,577	853	3,041	1,244	-7,672
1993	21,596	655	2,674	1,295	-7,459

წელი	ენერგეტიკა	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენები	LULUCF
1994	12,350	387	2,558	1,316	-7,152
1995	9,251	399	2,536	1,358	-7,233
1996	9,668	492	2,599	1,395	-7,098
1997	8,468	441	2,637	1,429	-7,278
1998	7,544	468	2,572	1,461	-6,809
1999	5,820	693	2,769	1,496	-6,865
2000	6,389	709	2,787	1,530	-6,738
2001	4,701	433	2,817	1,563	-6,933
2002	6,013	576	2,911	1,590	-6,709
2003	6,882	686	2,976	1,611	-6,587
2004	7,272	835	2,773	1,632	-6,478
2005	6,091	942	2,777	1,653	-6,011
2006	8,223	1,166	2,494	1,673	-6,789
2007	8,443	1,267	2,331	1,692	-6,205
2008	7,027	1,425	2,308	1,709	-6,366
2009	7,007	1,091	2,231	1,735	-6,443
2010	8,201	1,445	2,246	1,753	-5,821
2011	10,109	1,769	2,296	1,791	-6,188
2012	10,655	1,876	2,424	1,814	-6,437
2013	9,873	1,886	2,670	1,831	-5,807
2014	10,377	2,022	2,731	1,851	-5,728
2015	11,772	2,029	2,822	1,860	-5,722
2016	12,162	1,918	2,709	1,871	-5,859
2017	11,321	2,070	2,512	1,882	-5,811
2018	11,326	2,019	2,411	1,900	-5,884
2019	11,462	2,236	2,377	1,926	-5,784
2020	11,351	2,452	2,541	1,951	-5,901
2021	11,984	2,305	2,530	1,978	-6,011
2022	13,218	2,571	2,310	1,996	-5,801

მთლიანობაში, ენერგეტიკის სექტორმა უდიდესი წვლილი შეიტანა ემისიებში, ხოლო LULUCF-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნახშირბადის სეკვესტრირებაში. მაშინ როცა სამრეწველო და ნარჩენების ემისიები აჩვენებდა ზომიერ ზრდას, სოფლის მეურნეობა შედარებით სტაბილური დარჩა (ნახაზი 2-2).

ნაზახი 2-2. სათბურის აირების ემისიებისა და ამოღების ბენეფიციები
საქართველოში საქმორების მიხედვით



ნახშირორჟანგი (CO₂)

ნახშირორჟანგის (CO₂) ემისიებმა დომინანტური წვლილი შეიტანეს სათბურის აირების მთლიან ემისიებში. 1990 წელს CO₂ ემისიები იყო 32,543 გგ CO₂ ეკვ. მაგრამ მნიშვნელოვნად დაეცა 1990-იან წლებში ეკონომიკური კოლაფსის გამო და მიაღწია დაბალ მაჩვენებელს - 3377 გგ CO₂ ეკვ. 2002 წელს. ემისიები თანდათან გაიზარდა ეკონომიკური აღმავლობისა და ინდუსტრიული ზრდის გამო და მიაღწია 12,829 გგ CO₂ ეკვ. 2022 წელს, რაც ოთხჯერ მეტია უმცირეს მაჩვენებელთან შედარებით.

მეთანი (CH₄)

მეთანის (CH₄) ემისიები განსხვავებულ ტენდენციას აჩვენებს. 1990 წელს CH₄ ემისია იყო 12,775 გგ CO₂ ეკვ., ძირითადად სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებიდან. ემისიები შემცირდა 1990-იანი წლების განმავლობაში და მიაღწია მინიმუმს 4,869 გგ CO₂ ეკვ. 1999 წელს. შემდგომში ემისიები მერყეობდა და პიკს მიაღწია 7,523 გგ CO₂ ეკვ. 2003 წელს, სანამ დასტაბილურდებოდა დაახლოებით 5,900–6,800 გგ CO₂ ეკვ. შორის ბოლო წლებში. 2022 წელს CH₄ ემისია დაფიქსირდა 5,906 გგ CO₂ ეკვ., რაც აჩვენებს მთლიან შემცირებას 1990 წელთან შედარებით, თუმცა - სტაბილურობას ბოლო წლებში.

აზოტის ოქსიდი (N₂O)

აზოტის ოქსიდის (N₂O) ემისიები ზომიერად შემცირდა. 1990 წელს ემისიები შეადგენდა 1258 გგ CO₂ ეკვ. და დაეცა დაახლოებით 800–900 გგ CO₂ ეკვ. 2000-იანი წლების დასაწყისში. ყველაზე მაღალი ემისიები დაფიქსირდა 2015 წელს 1051 გგ CO₂ ეკვ., რის შემდეგაც შედარებით სტაბილური დარჩა. 2022 წლისთვის N₂O ემისია ოდნავ შემცირდა 879 გგ CO₂ ეკვ.-მდე.

ნახშირწყალბადები (HFCs)

ჰიდროფტორნახშირწყალბადები (HFC) არ იყო დაფიქსირებული ინვენტარიზაციებში 2001 წლამდე, როდესაც ემისიები პირველად გამოჩნდა 0,24 გგ CO₂ ეკვ. მაჩვე-

ნებლით. მას შემდეგ ემისიები სტაბილურად გაიზარდა და მიაღწია 480 გგ CO₂ ეკვ. 2022 წელს, რაც ასახავს მაცივარაგენტების და სხვა სამრეწველო აპლიკაციების მზარდ გამოყენებას.

გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF₆)

გოგირდის ჰექსაფტორიდის (SF₆) ემისიები პირველად დაფიქსირდა 2010 წელს 0,55 გგ CO₂ ეკვ. და დარჩა მინიმალურ ოდენობაზე. 2022 წლისთვის ისინი ოდნავ გაიზარდა 1.14 გგ CO₂ ეკვ., რაც აჩვენებს ნელ, მაგრამ სტაბილურ ზრდას.

CO₂ ემისიებმა განიცადა ყველაზე მნიშვნელოვანი რყევები, ხოლო CH₄ და N₂O შედარებით სტაბილური იყო დროთა განმავლობაში. HFC და SF₆ გაიზარდა ბოლო წლებში მზარდი სამრეწველო აპლიკაციების გამო, თუმცა მათი წვლილი უმნიშვნელო რჩება სხვა აირებთან შედარებით. განსხვავებით LULUCF-ისგან, რომელიც ხელს უწყობს CO₂-ის ემისიების კომპენსირებას, არ არსებობს CH₄, N₂O, HFCs ან SF₆ ექვივალენტური ფართომასშტაბიანი შთანთქმის პროცესები, რაც CO₂-ს აქცევს ერთადერთ აირად, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი კომპენსაციის პოტენციალი სატყეო და მიწათსარგებლობის ცვლილებებში.


ცხრილი 2-3. სატბურის აირების ემისიების ზენდენცია საქართველოში აირების მიხედვით 1990 წლიდან 2022 წლამდე

წელი	CO ₂	CH ₄ (CO ₂ ეკვ.)	N ₂ O (CO ₂ ეკვ.)	HFCs (CO ₂ ეკვ.)	SF ₆ (CO ₂ ეკვ.)
1990	32,543	12,775	1,258	NA	NA
1991	24,689	12,239	1,111	NA	NA
1992	20,111	10,726	877	NA	NA
1993	15,918	9,496	805	NA	NA
1994	10,460	5,480	673	NA	NA
1995	7,600	5,234	712	NA	NA
1996	7,370	5,903	881	NA	NA
1997	6,408	5,669	898	NA	NA
1998	5,564	5,681	800	NA	NA
1999	4,972	4,869	938	NA	NA
2000	5,212	5,303	898	NA	NA
2001	3,712	4,938	864	0	NA
2002	3,377	6,749	964	1	NA
2003	3,624	7,523	1,005	3	NA
2004	4,090	7,501	917	5	NA
2005	4,987	5,534	931	9	NA
2006	5,543	7,125	879	9	NA
2007	6,203	6,716	804	10	NA
2008	6,132	5,517	806	15	NA

წელი	CO ₂	CH ₄ (CO ₂ ეკვ.)	N ₂ O (CO ₂ ეკვ.)	HFCs (CO ₂ ეკვ.)	SF ₆ (CO ₂ ეკვ.)
2009	6,208	5,034	799	22	NA
2010	6,918	5,853	814	59	0.55
2011	8,503	6,550	841	70	0.62
2012	8,895	6,882	892	99	0.68
2013	9,056	6,084	1,011	109	0.68
2014	9,819	6,024	1,012	125	0.74
2015	10,494	6,793	1,051	145	0.79
2016	10,719	6,812	974	154	0.83
2017	10,726	5,946	918	192	0.87
2018	10,455	6,048	905	245	0.93
2019	11,171	5,639	892	299	1.00
2020	11,050	5,859	943	444	1.06
2021	11,545	5,943	924	384	1.12
2022	12,829	5,906	879	480	1.14

1990 წელს CO₂ შეადგენდა მთლიანი ემისიების 71,2%-ს, CH₄ წვლილი 28,0%-ს, ხოლო N₂O-ს 2,8%. HFC და SF₆ არ იყო დაფიქსირებული. 2022 წლისთვის CO₂ ემისია გაიზარდა 63.9%-მდე, CH₄ შემცირდა 29.4%-მდე, N₂O წარმოადგენდა 4.4%, HFCs შეადგენდა 2.4% და SF₆ დარჩა მხოლოდ 0.01%. ეს ცვლილებები მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ CO₂ დომინანტური რჩება, ისეთი სამრეწველო აირების წილი, როგორიცაა HFCs, გაიზარდა, რაც მიუთითებს მზარდ ინდუსტრიალიზაციასა და სინთეზური აირების ფართო გამოყენებაზე.

ნახაზი 2-3. სატბურის აირების ემისიების განვითარება საქართველოში აირების მიხედვით 1990 წლიდან 2022 წლამდე



თავი 3.

ენერგეტიკა (ესე სექტორი 1)

3.1. სექტორის მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია

ემისიები ენერგოსექტორიდან ორი მთავარი კატეგორიისგან შედგება: საწვავის წვა და აქროლადი ემისიები საწვავიდან. საწვავის წვა შეიცავს ემისიებს, რომლებიც ატმოსფეროში გამოიყოფა წიაღისეული საწვავის (მაგალითად, ქვანახშირი, ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი) წვის შედეგად. აქროლადი ემისიები წარმოადგენს აირების განზრახ ან განუზრახველ გამოყოფას წიაღისეული საწვავიდან ანთროპოგენული საქმიანობების შედეგად (წიაღისეული საწვავის ამოღება-მოპოვება, გადაზიდვა ან/და დასაწყობება-შენახვა).

საქართველოში წიაღისეული საწვავი გამოიყენება ენერგიის საწარმოებლად მრავალფეროვანი მიზნებისთვის (მაგალითად, მრეწველობა, ტრანსპორტი და ენერგოპროდუქტების მოხმარება). აღნიშნულის შედეგად კი პროცესების განმავლობაში წარმოიქმნება CO₂ (ნახშირორჟანგი), CH₄ (მეთანი), N₂O (აზოტის ქვეყანგი), NO_x (აზოტის ოქსიდი), CO (მხუთავი გაზი) და NMVOC (არამეთანური აქროლადი ორგანული ნაერთები (ააონ-ები)).

ცხრილი 3-1. ენერგეტიკის სექტორში გამოყენებული მეთოდოლოგიები

კატეგორიები	CO ₂		CH ₄		N ₂ O	
	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი
1.A - საწვავის წვა	T1	D	T1	D	T1	D
1.A.1 - ენერგოინდუსტრია	T1, T2	D	T1, T2	D	T1, T2	D

კატეგორიები	CO2		CH4		N2O	
	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი	გამოყენებული მეთოდი	ემისიის ფაქტორი
1.A.2 - გადამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა	T1	D	T1	D	T1	D
1.A.3 - ტრანსპორტი	T1	D	T1	D	T1	D
1.A.4 - სხვა სექტორები	T1	D	T1	D	T1	D
1.A.4.a - კომერციული/საჯარო	T1	D	T1	D	T1	D
1.A.4.b - საყოფაცხოვრებო	T1	D	T1	D	T1	D
1.A.4.c - სოფლის მეურნეობა/ სატყეო მეურნეობა/ თევზრეწვა/ თევზსაშენები	T1	D	T1	D	T1	D
1.A.5 დაუკონკრეტებელი	T1	D	T1	D	T1	D
1.B - აქროლადი ემისიები სანავიგაციოდან	T1	D	T1, T2	D, CS	T1	D
1.B.1 - მყარი სანავიგაციო	T1	D	T1	D	NO	NO
1.B.2 - ნავთობი და ბუნებრივი აირი	T1	D	T1, T2	D, CS	T1	D
1.B.2.a - ნავთობი	T1	D	T1	D	T1	D
1.B.2.b - ბუნებრივი აირი	T1	D	T2	CS	T1	D
	NO	NO				

შენიშვნა: D: IPCC სტანდარტი, T1: დონე 1, T2: დონე 2, T3: დონე 3, CS: ქვეყნისთვის დამახასიათებელი მეთოდი ან EF

2022 წელს სათბურის აირების (CO₂, CH₄, N₂O) ემისიებმა ენერგოსექტორიდან შეადგინა 13,218 გგ CO₂-ის ეკვივალენტში, რაც უდრის საქართველოს სათბურის აირების მთლიანი ემისიის თითქმის 67%-ს (LULUCF-ის გამოკლებით). 2022 წელს ენერგოსექტორიდან გამოყოფილი სათბურის აირების მთლიან რაოდენობაში უდიდესი წილი მოდიოდა შემდეგ წყარო-კატეგორიებზე: ტრანსპორტი - 34%, სხვა ქვესექტორები - 25%, ნავთობი და ბუნებრივი აირი - 15%, ენერგოინდუსტრია - 11.5%, გადამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა - 13.5%. 1990 წელთან შედარებით სათბურის აირების მთლიანი ემისიების მოცულობა ენერგოსექტორიდან 66.5%-ით შემცირდა.

ცხრილი 3-2. სათბურის აირების ემისიები ენერგეტიკის სექტორიდან 1990 და 2022 წლებისათვის

კატეგორიები	1990 ემისიები			2022 ემისიები		
	(გგ)			(გგ)		
	CO2	CH4	N2O	CO2	CH4	N2O
1 – ენერგეტიკა	31,027.92	296.89	0.46	10,954.92	78.44	0.25
1.A – საწვავის წვა	30,961.36	8.78	0.46	10,947.62	4.75	0.25
1.A.1 – ენერგოინდუსტრია	13,731.86	0.41	0.09	1,522.86	0.03	0.00
1.A.2 – გადამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა	7,534.96	0.45	0.07	1,787.23	0.11	0.02
1.A.3 – ტრანსპორტი	4,411.55	1.31	0.21	4,403.69	1.71	0.18
1.A.4 – სხვა სექტორები	5,282.99	5.49	0.08	3,233.84	2.91	0.05
1.A.4.a – კომერციული/საჯარო	1,076.52	0.45	0.01	518.37	0.06	0.00
1.A.4.b – საყოფაცხოვრებო	3,688.24	4.79	0.06	2,661.19	2.83	0.04
1.A.4.c – სოფლის მეურნეობა/სატყეო მეურნეობა/თევზრეწვა	518.23	0.24	0.00	54.28	0.02	0.01
1.A.5 დაუკონკრეტებელი		1.13	0.02			
1.B – აქროლადი ემისიები საწვავიდან	66.56	288.11	0.00	7.30	73.68	0.00
1.B.1 – მყარი საწვავი	54.91	34.10	0.00	4.85	3.33	NO
1.B.2 – ნავთობი და ბუნებრივი აირი	11.65	254.01	0.00	2.45	70.35	0.00
1.B.3 – სხვა ემისიები ენერგიის წარმოებიდან	NO	NO	NO	NO	NO	NO
1.C – CO2 ტრანსპორტირება და შენახვა	NO	NO	NO	NO	NO	NO

სათბურის აირების მნიშვნელოვანი ვარდნა 1990-იან წლებში წარმოადგენს საბ-ქოთა კავშირის დაშლის და ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებების შედეგს. თუმცა ეროვნულმა ეკონომიკამ 2000 წლიდან ზრდა დაიწყო, ხოლო რეალური მშპ-ის საშუალო წლიური ზრდა 2008 წლამდე 8.4%-ს უდრიდა. 2008-2009 წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა საქართველოში შენედა რუსეთ-საქართველოს ომის გამო. 2010 წლიდან ქვეყნის რეალურმა მშპ-მ კვლავ დაიწყო ზრდა საშუალოდ 5.2%-ით 2020 წლამდე. კოვიდ პანდემიის პირველ წელს - 2020, მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 6.3%, რაც შემდგომ წლებში 10% იანი ზრდით განისაზღვრა.¹

2010 წელს ჰიდროგენერაციამ თავის მაქსიმალურ სიმძლავრეს მიაღწია, მაშინ, როცა თბოენერგოსადგურების გენერაცია ყველაზე დაბალი იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2011 წლიდან ემისიები ენერგოსექტორიდან გაიზარდა, ძირითადად, გაზრდილი თბოენერგოგენერაციის და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ენერგოსექტო-

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge – მშპ-ს რეალური ზრდა

რის ემისიებს CO2-ის ეკვივალენტში. გლობალური დათბობის პოტენციალები, გამოყენებული სათბურის აირების გადასაყვანად CO2-ის ეკვივალენტში, მეხუთე შეფასებით ანგარიშში არის ასახული.

ცხრილი 3-3. სათბურის აირების ემისიები ენერგეტიკის სექტორიდან (გვ CO2 ეკვ.)

წელი	1A - საწვავის წვა	1B - აქროლადი ემისიები საწვავიდან	1C - CO2 ტრანსპორტი- რება და შენახვა	სულ ენერგოსექტორიდან
1990	31,330	8,134	NO	39,464
1991	23,755	7,897	NO	31,652
1992	19,712	6,865	NO	26,577
1993	15,845	5,751	NO	21,596
1994	10,285	2,065	NO	12,350
1995	7,350	1,704	NO	9,054
1996	7,406	2,262	NO	9,668
1997	6,398	2,070	NO	8,468
1998	5,469	2,075	NO	7,544
1999	4,684	1,136	NO	5,820
2000	4,895	1,493	NO	6,388
2001	3,599	1,102	NO	4,701
2002	3,177	2,837	NO	6,014
2003	3,326	3,556	NO	6,882
2004	3,658	3,614	NO	7,272
2005	4,373	1,717	NO	6,090
2006	4,737	3,485	NO	8,222
2007	5,317	3,126	NO	8,443
2008	5,084	1,944	NO	7,028
2009	5,509	1,497	NO	7,006
2010	5,928	2,273	NO	8,201
2011	7,193	2,916	NO	10,109
2012	7,499	3,156	NO	10,655
2013	7,761	2,112	NO	9,873
2014	8,414	1,963	NO	10,377
2015	9,092	2,681	NO	11,773
2016	9,390	2,773	NO	12,163
2017	9,291	2,030	NO	11,321
2018	9,101	2,225	NO	11,326
2019	9,663	1,799	NO	11,462

წელი	1A - საწვავის წვა	1B - აქროლადი ემისიები საწვავიდან	1C - CO2ტრანსპორტი- რება და შენახვა	სულ ენერგოსექტორიდან
2020	9,444	1,908	NO	11,352
2021	10,014	1,970	NO	11,984
2022	11,148	2,070	NO	13,218

როგორც ცხრილიდან ჩანს, ენერგოსექტორიდან წარმოებული ემისიების დიდი წილი მოდის საწვავის წვაზე (84% 2022 წელს), ხოლო დანარჩენი 16% მოდის აქროლად ემისიებზე. ემისიის წყარო-კატეგორიებს შორის 2000 წელთან დაკავშირებული ყველაზე დიდი ზრდა შემჩნეული იქნა აქროლად ემისიებს შორის მყარი საწვავის ტრანსფორმირებისას² (30 გგ CO2 ეკვ. 2000 წელს, 170 გგ CO2 ეკვ. 2017 წელს), რაც წარმოადგენდა ბოლო წლებში ქვანახშირის მოპოვების სამუშაოების გააქტიურების შედეგს. თუმცა 2017 წლიდან აღნიშნული სამუშაოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო ადგილზე მომხდარი სასიკვდილო უბედური შემთხვევების გამო მაღაროელთა უსაფრთხოების ნორმების ტექნიკური ინსპექტირების შემდეგ.³

ცხრილი 3-4. სატბურის აირების ემისიები ენერგეტიკის სექტორიდან (გგ)

წელი	CO2 გგ	CH4	CH4 CO2ეკვ	N2O	N2O CO2ეკვ	სულ CO2ეკვ.
1990	31,028	297	8,313	0.465	123	39,464
1991	23,475	289	8,084	0.349	92	31,652
1992	19,346	255	7,143	0.330	88	26,577
1993	15,351	220	6,152	0.349	92	21,595
1994	10,110	78	2,194	0.174	46	12,350
1995	7,052	70	1,951	0.192	51	9,054
1996	6,961	94	2,626	0.305	81	9,668
1997	6,041	84	2,361	0.251	67	8,469
1998	5,162	83	2,328	0.202	53	7,544
1999	4,392	49	1,378	0.186	49	5,820
2000	4,624	61	1,719	0.171	45	6,388
2001	3,326	47	1,329	0.172	45	4,701
2002	2,901	110	3,067	0.174	46	6,014
2003	3,051	135	3,784	0.177	47	6,881
2004	3,378	137	3,846	0.179	47	7,272
2005	4,196	66	1,856	0.144	38	6,090
2006	4,550	130	3,633	0.152	40	8,222
2007	5,108	117	3,288	0.179	47	8,443
2008	4,885	75	2,099	0.164	44	7,028

² იხილეთ ცხრილი 3-32

³ მეშახტეების დაღუპვამ საქართველოში საპროტესტო ტალღა გამოიწვია.


წელი	CO2 გგ	CH4	CH4 CO2ეკვ	N2O	N2O CO2ეკვ	სულ CO2ეკვ.
2009	5,304	59	1,652	0.190	50	7,006
2010	5,723	87	2,425	0.197	52	8,200
2011	7,013	109	3,043	0.198	53	10,108
2012	7,325	117	3,277	0.204	54	10,656
2013	7,490	83	2,314	0.264	70	9,874
2014	8,131	78	2,172	0.28	74	10,377
2015	8,829	102	2,869	0.282	75	11,773
2016	9,125	106	2,957	0.305	81	12,162
2017	9,043	79	2,203	0.281	74	11,321
2018	8,890	85	2,369	0.257	68	11,326
2019	9,457	69	1,936	0.264	70	11,462
2020	9,258	73	2,031	0.237	63	11,352
2021	9,821	75	2,097	0.251	66	11,984
2022	10,955	78	2,196	0.253	67	13,218

2000-2022 წლების განმავლობაში ემისიები სამრეწველო და სატრანსპორტო სექტორებიდან, შესაბამისად, თითქმის 2.6-ჯერ და 4.2-ჯერ გაიზარდა. სატრანსპორტო სექტორში სატბურის აირების ემისიები გაიზარდა ავტოპარკის ზრდის გამო, რომელიც უმთავრესად შედგება მეორადი მანქანებისგან. საქართველოში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 2002-2022 წლებში 319,600-დან 1,563,165-მდე⁴ გაიზარდა.

2006 წლიდან ენერგომატარებლების სატრანზიტო მილსადენების (სამხრეთ კავკასიის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობსადენი) მშენებლობამ საქართველოს გავლით მოითხოვა დამატებითი აირი და დიზელი მილსადენების ოპერირებისთვის. ნახაზი 3-1 გვიჩვენებს სატბურის აირების ემისიის ტენდენციებს ენერგოსექტორში 1990-2022 წლების განმავლობაში.

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023 <https://automobile.geostat.ge/ka/>

ნახაზი 3-1. სათბურის აირების ემისიების ზენდენციები ენერგოსექტორში, 1990-2022 (გგ O2 ეკვ.)



განუზღვრელობის ანალიზის შედეგები ენერგოსექტორში 3.3 ქვეთავშია მოცემული.

3.2. საწვავის წვა

3.2.1. წყარო-კატეგორიის აღწერა და გამოთვლილი ემისიები

სათბურის აირების ემისიები საწვავის წვის წყარო-კატეგორიიდან 2022 წელს შეადგენდა 11,148 გგ-ს CO₂-ის ეკვივალენტში. იმ წელს ნახშირორჟანგის, მეთანის და აზოტის ოქსიდის რაოდენობა შეადგენდა, შესაბამისად, 98.2%, 1.2% და 0.6%-ს ემისიებში საწვავის წვის წყარო-კატეგორიიდან. სატრანსპორტო სექტორს (1.A.3) ეკუთვნის უმაღლესი წილი (34%) სექტორის სათბურის აირების ემისიაში. საყოფაცხოვრებო სექტორში მეთანის ემისიები ყველაზე მაღალია, ხოლო სატრანსპორტო სექტორი აზოტის ოქსიდის გამოყოფაში პირველობს.

3.2.2. მეთოდოლოგიური საკითხები

შეფასების მეთოდი

ემისიები წყარო-კატეგორიაში გამოითვლება IPCC-ის სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიის „დონე 1“ - და „დონე 2“ სექტორული და ეტოლონური მიდგომების გამოყენებით. საწვავის წვის სტაციონარული წყარო-კატეგორიებიდან ემისიების შემოწმებისადმი სექტორული მიდგომა ეფუძნება სექტორ-სექტორ დამწვარი საწვავის ფაქტობრივი მოხმარების მონაცემებს, რომლებიც მოცემულია ქვეყნის ენერგობალანსში, და ემისიის ფაქტორს. „დონე 1“-ის ემისიის ფაქტორები მიიღება 2006 IPCC სახელმძღვანელოს სტანდარტული სიდიდეებიდან, რომლებიც მოცემულია მათთან დაკავშირებულ განუზღვრელობის დიაპაზონთან ერთად.

სექტორული მიდგომით სტაციონარული წვის შედეგად სათბურის აირების ემისიების გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:

ემისია სათბურის აიხები, საწვავი = საწვავის მოხმარება საწვავი × ემისიის
ფაქტორი სათბურის აიხები, საწვავი

სადაც:

ემისია სათბურის აიხები, საწვავი – მოცემული სათბურის გაზის ემისია საწვავის
ტიპის მიხედვით (კგ სათბურის გაზი)

საწვავის მოხმარება საწვავი – საწვავის წვის რაოდენობა (TJ)

ემისიის ფაქტორი სათბურის აირები, საწვავი – მოცემული სათბურის გაზის სტანდარტული ემისიის ფაქტორი საწვავის ტიპის მიხედვით (კგ გაზი/TJ). CO₂-ისთვის იგი ასევე მოიცავს ნახშირბადის დაჟანგვის კოეფიციენტს - 1.

ეკონომიკაში გამოყენებული ყველა საწვავი არ მოიხმარება სითბური ენერგიის წარმოების მიზნით. მათი გარკვეული მოცულობა გამოიყენება ნედლეულის სახით ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, როგორიცაა პლასტმასა, ან კიდევ ბიტუმი გზების მშენებლობისთვის ნახშირბადის დაჟანგვის (ემისიის) გარეშე. ამას ეწოდება შენახული ნახშირბადი და გამორიცხულია ნახშირბადის ემისიების გამოთვლებიდან. შენახული ნახშირბადის შეფასება მოითხოვს მონაცემებს საწვავის მოხმარების შესახებ იმ საქმიანობების მიხედვით, სადაც საწვავი ნედლეულის სახით გამოიყენება, სექტორებში როგორიცაა პეტროქიმიური წარმოება, სამშენებლო სექტორი, მრეწველობის სხვა დარგები და სასოფლო-სამეურნეო სექტორი.

სათბურის აირების ემისიის ინვენტარიზაციის ხელახალი გადათვლა წინა წლებისთვის, ძირითადად, გამოწვეულია როგორც ისტორიული მონაცემების ცვლილებებით, ასევე მონაცემთა ახალი წყაროების ხელმისაწვდომობით. დამატებით, ზოგჯერ კატეგორიაში მოხდა ემისიების უფრო მაღალ დონეზე გამოთვლა.

ემისიის ფაქტორები

ემისიის ფაქტორი არი სკოეფიციენტი, რომელიც საქმიანობის მონაცემებს აკავშირებს იმ ქიმიური ნივთიერების რაოდენობასთან, რაც შემდგომში ემისიის წყაროს წარმოადგენს. წიაღისეული საწვავის წვის შედეგად წარმოქმნილი CO₂-ისთვის ემისიის ფაქტორი გამოხატულია ენერგიის ერთეულის საფუძველზე, ვინაიდან ენერგიის ერთეულში გამოსახულ საწვავში ნახშირბადის შემცველობა, ჩვეულებრივ, ნაკლებად ცვალებადია, ვიდრე ენერგიის ერთეული მასის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საწვავის ნეტ-კალორიულობის მნიშვნელობა (NCV) გამოიყენება საწვავის მოხმარების მონაცემის მასის ერთეულიდან ენერგიის ერთეულში გადასაყვანად. ქვეყნისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა საწვავის ნეტ-კალორიულობის მონაცემები აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ენერგობალანსიდან (2013-2022).

**ცხრილი 3-5. გადაყვანის კოეფიციენტები და ნახშირბადის ემისიის ფაქტორები
საწვავის სხვადასხვა გიგისთვის**

საწვავის ტიპი	ერთეული	საწვავის ნეტ-კალორიუ- ლობა (ტერაჯოული(TJ)/ ერთეულზე)	ნახშირბადის შემცვე- ლობა (კგ C/გჯ)
ნედლი ნავთობი	1000 ტ	42.5	20.0
საავტომობილო ბენზინი	1000 ტ	44.0	18.9
საავიაციო ნავთი	1000 ტ	43.2	19.5
სხვა ნავთი	1000 ტ	43.2	19.6
გაზი/დიზელის საწვავი	1000 ტ	43.3	20.2
საყოფაცხოვრებო საწვავი	1000 ტ	40.4	21.1
შემჭიდროებული გაზი	1000 ტ	45.0	17.2
ნედლი ნავთობი	1000 ტ	44.5	20.0
ბიტუმი	1000 ტ	38.0	22.0
საპოხი ნივთიერებები	1000 ტ	38.0	20.0
საწვავი	1000 ტ	41.9	20.0
სხვა ნავთობპროდუქტები	1000 ტ	43.3	20.0
ანტრაციტი	1000 ტ	29.3	26.8
ლიგნიტი	1000 ტ	17.0	27.6
ნახევრად ბიტუმინოზური ნახშირი	1000 ტ	18.9	26.2
სხვა ბიტუმინოზური ნახშირი	1000 ტ	25.0	25.8
კოქსის ნახშირი	1000 ტ	28.2	25.8
კოქსის ლუმელი/გაზური კოქსი	1000 ტ	29.3	29.2
ბუნებრივი აირი (Ng)	1 000 000 მ3	36.0	15.3
შეშა	1000 მ3	7.8	30.5
ნავთობის კოქსი	1000 ტ	32.5	26.6
ხის ნახშირი	1000 ტ	30.8	26.6
ბრიკეტული საწვავი	1000 ტ	29.0	26.6
სხვა პირველადი მყარი ბიომასა	1000 ტ	18.0	27.3

ემისიის ფაქტორები CO₂-ისთვის მოცემულია კგ CO₂/გჯ-ში ნეტ-კალორიულობის საფუძველზე და საწვავში ნახშირბადის შემცველობას ასახავს. CO₂-ის ემისიის ფაქტორები ყველა დონისთვის ასახავს საწვავის ნახშირბადის სრულ შემცველობას ნაცარში, მყარ ნაწილაკებში ან ჭვარტლში დარჩენილი ნახშირბადის არაოქსიდირებული ნაწილის გამოკლებით. ვინაიდან ამგვარი ნაწილი, ჩვეულებრივ, პატარაა, „დონე 1“-ის სტანდარტული ემისიის ფაქტორები უგულებელყოფს არაოქსიდირებული ნაწილის ზემოქმედებას საწვავში არსებული ნახშირბადის სრული დაჟანგვის დაშვებით (ნახშირბადის დაჟანგვის ფაქტორი უდრის 1-ს). CH₄ და N₂O-ის ემისიის ფაქტორი განსხვავებულია სხვადასხვა წყარო-კატეგორიისთვის,

რაც განპირობებულია თითოეულ წყარო-კატეგორიაში გამოყენებული წვის ტექნოლოგიების განსხვავებით. “დონე 1”-ისთვის განსაზღვრული სტანდარტული ფაქტორები გამოიყენება ტექნოლოგიებისთვის, რომლებზეც არ არის ემისიის კონტროლის მექანიზმები.⁵

საქმიანობის მონაცემები

ჩვეულებრივ, ენერგოსექტორში საწვავის წვის პროცესში სათბურის გაზის ემისიების შეფასების საფუძველს ეროვნული ენერგეტიკული ბალანსი წარმოადგენს. საწვავის წარმოებისას, იმპორტირებისას, ექსპორტირებისას, მარაგებისა და მოხმარების ცვლილებისას ენერგობალანსი მოცემულია ფიზიკური საზომი ერთეულებით (ტონები ან მ3) ან ენერგიის საზომი ერთეულებით (ტერაჯოულები ან ნავთობის ეკვივალენტი კილო ტონები). მონაცემების შედარებისთვის ენერგობალანსში ფიზიკური საზომი ერთეულები გადაჰყავთ ენერგიის საზომ ერთეულებში, რისთვისაც იყენებენ საწვავების ნეტ-კალორიულობას (NCV).

2014 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა 2013 წლის თავისი პირველი ენერგობალანსი. მონაცემთა ხარისხი ყოველ წელს უმჯობესდება. შესაძლებელი ხდება საქმიანობის მონაცემების სხვადასხვა წყაროდან მიღებაც.

ქვემოთ მოტანილი მონაცემები სხვადასხვა წყაროს მიერ არის მოწოდებული:

- 2013-2022 წლების ენერგობალანსები მოწოდებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ⁶;
- 1990-2012 წლების ენერგობალანსები მოწოდებული იქნა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ;
- 2010-2012 წლების ბუნებრივი აირის ბალანსები, მონაცემები საავიაციო ნავთისა და შეშის მარაგისა და მოხმარების შესახებ მოპოვებული იქნა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან
- ინფორმაცია ბუნებრივი აირისა და ნედლი ნავთობის ტრანზიტის შესახებ მოწოდებული იქნა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ⁷;
- 2007-2022 წლების ელექტროენერგიის ბალანსები მოპოვებული იქნა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისგან⁸;
- ინფორმაცია ბუნებრივი აირის გადაცემისა და განაწილების დანაკარგების შესახებ მოწოდებული იქნა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ⁹;
- 2010-2017 წლების მონაცემები ბუნებრივი აირისა და დიზელის მოხმარების შესახებ ენერგომატარებლების სატრანზიტო მილსადენების ოპერირებისთვის მოწოდებული იქნა „ბრიტიშ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ¹⁰.
- 2014-2022 და 2016-2022 წლების მონაცემები დიზელის მოხმარების შესახებ შიდა ნაოსნობისთვის მოწოდებული იქნა ბათუმისა და ფოთის საზღვაო

5 ემისიის ფაქტორის მონაცემთა ბაზა.

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - ენერგეტიკის სტატისტიკა

7 www.gogc.ge

8 www.gogc.ge

9 www.gnerc.org

10 www.bpgeorgia.ge

ნავსადგურების მიერ.

- 2000-2022 წლების მონაცემები ბუნებრივი აირის მოხმარების შესახებ თითოეული თბოელექტროსადგურისთვის მოწოდებული იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ¹¹.

მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შედგენილი იქნა გაერთიანებული ენერგობალანსები 1990- 2012 წლების პერიოდისათვის.

3.2.3. სექტორული მიდგომის შედარება ფონურ მიდგომასთან

წინამდებარე თავი განმარტავს შედარებას ეტალონურ და სექტორულ მიდგომებს შორის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების (გადაწყვეტილება 24/CP.19 დანართი I, პუნქტი 40) მიხედვით. ეტალონური მიდგომა არის დალმავალი მიდგომა, რომელიც იყენებს ქვეყნის ენერგორესურსების მონაცემებს, ძირითადად, წიაღისეული საწვავიდან მიღებული CO₂-ის ემისიის გამოსათვლელად. ეტალონური მიდგომა პირდაპირი მეთოდია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ენერგორესურსების შედარებით მარტივად ხელმისაწვდომი სტატისტიკის საფუძველზე. სექტორული და ეტალონური მიდგომების შედარების გაუმჯობესებული შესაძლებლობა ქვეყანას აძლევს საწვავის წვის შედეგად მიღებული CO₂-ის ემისიების მეორე დამოუკიდებელი შეფასების ჩამოყალიბების საშუალებას მცირე დამატებითი ძალისხმევის და მონაცემების გამოყენებით. ეტალონური მიდგომა განსაზღვრავს CO₂ ემისიის ზედა ზღვარს, რომელიც წარმოიშობა ქვეყანაში წიაღისეული საწვავის მიწოდებიდან, განსაზღვრავს რა ნახშირბადის შემცველობას, აკლებს გამორიცხულ ნახშირბადს - ნახშირბადს, რომელიც შენახულია არაენერგეტიკულ პროდუქტებში, და პროდუქტებში, რომელთა საწარმოებლად საწვავი გამოყენებულია როგორც ნედლეული მასალა, და ამრავლებს 44/12-ზე. ეტალონური მიდგომის თანახმად, ნახშირორჟანგის ემისიები შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

ნახშირორჟანგის ემისია (გგ CO₂) =

$\sum i$ [[საწვავის შიდა მოხმარება (ეჩთუერი)

$\times$ საწვავის ენეგოგევალობა (გჯ/ეჩთუერზე) $\times$ ნახშირბადის ემისიის ფაქტორი (გ C/გჯ) /1000

- გამოიციხური ნახშირბადი]

$\times$ დაჟანგული ნახშირბადის წიდი $\times$ 44/12

სადაც ქვედა ინდექსი i აღნიშნავს საწვავის ტიპს, ხოლო თითოეული პირველადი საწვავისთვის მოხმარება შემდეგნაირად გამოითვლება:

ჩეადუხი მოხმარება = წახმოება + იმპოხტი - ექსპოხტი - საეხთაშოხისო ბუნკე-
ხები - მახაგების ცვდიდება

მეორადი საწვავისთვის კი შიდა მოხმარება შემდეგნაირად გამოითვლება:

11 www.economy.ge

ჩვეულებრივ მოხმარება = იმპოზიტი - ექსპოზიტი - საეხთაშოხისო ბუნკეხები - მაჩა-გების ცვდიღება

ჩვეულებრივ, დაჟანგული ნახშირბადის წილი არის 1, რაც სრულ დაჟანგვას ასახავს. გამორიცხული ნახშირბადის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\text{გამოხიხცული ნახშირბადი (გგ C)} = \text{ახაენეხგეტიკული გამოყენება (103გ)} \times \text{საწვავის ენეხგოგევაღობა (გტ/103გ)} \times \text{ნახშირბადის ემისიის ფაქტორი (t C/გტ)} \times \text{გამოხიხცული ნახშირბადის წიდი} \times 103$$

ეტალონური მიდგომა ემისიების ზედა ზღვარია, რადგან ზოგჯერ ნახშირბადი გამოიყოფა CO₂-სგან განსხვავებული ფორმით ნაწილობრივ იმის გამო, რომ საწვავის წვა ყოველთვის სრული არ არის და კიდევ იმის გამოც, რომ საწვავი შეიძლება გაიჟონოს ან აორთქლდეს. აქედან გამომდინარე, ეტალონური მიდგომით მიღებული CO₂-ის ემისიების გამომხატველი რიცხვი შეიცავს გამოყოფილ ნახშირბადს CH₄, CO, N₂O ან ააონ-ების (NMVOC) სახით.

ეტალონური მიდგომა ეყრდნობა მარტივ მოსაზრებას, რომ როცა ნახშირბადი შემოდის ეროვნულ ეკონომიკაში საწვავთან ერთად, ის ან ინახება რაიმე სახით, ან გამოიყოფა ატმოსფეროში. ატმოსფეროში გამოყოფილი ნახშირბადის გამოსათვლელად აუცილებელი არ არის იმის ზუსტი ცოდნა, თუ როგორ იქნა გამოყენებული საწვავი ან რა შუალედური გარდაქმნა განიცადა. ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიას შეიძლება ეწოდოს „დაღმავალი“ მიდგომა „აღმავალი მეთოდებისგან“ განსხვავებით, რომლებიც გამოიყენება სხვა აირებისთვის. აღმავალი მეთოდები წარმოადგენს უფრო მაღალი დონის მიდგომას, როცა ინფორმაცია საწვავის მოხმარების ან ემისიის ფაქტორების შესახებ შეგროვებულია კონკრეტული საწარმოების დონეზე. სექტორული მიდგომა შუალედური მიდგომაა ამ ორ ზემოხსენებულ მიდგომას შორის, ვინაიდან იგი გამოიყენებს ინფორმაციას საწვავის მოხმარების შესახებ ეკონომიკის სექტორების დონეებზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 1990-2022 წლების ნახშირორჟანგის ემისიებს, რომელთა გაანგარიშებაც განხორციელდა ამ ორი მიდგომით სხვადასხვა ტიპის საწვავისათვის, რასაც თან ახლავს განმარტება განსხვავებების თაობაზე.

ცხრილი 3-6 ეტალონური და სექტორული მიდგომების გამოყენებით გამოთვლილი CO₂-ის ემისიების შედარება

წელი	თხევადი საწვავი			მყარი საწვავი			აირადი საწვავი			სულ		
	ემ* გგ	სმ* გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%
1990	16,442	15,951	3.07	4,737	4,734	0.06	10,360	9,617	7.73	31,539	30,303	4.08
1991	12,385	11,788	5.06	2,237	2,238	-0.02	9,644	8,862	8.83	24,266	22,888	6.02
1992	8,791	8,509	3.31	1,449	1,450	-0.02	9,664	8,960	7.86	19,904	18,919	5.21
1993	7,369	7,190	2.48	724	724	0.01	7,781	7,182	8.35	15,874	15,096	5.15
1994	5,799	5,686	1.99	793	793	0.04	3,698	3,497	5.76	10,291	9,976	3.15
1995	4,888	4,882	0.12	135	107	26.65	2,207	2,035	8.45	7,231	7,024	2.94

წელი	თხევადი საწვავი			მყარი საწვავი			აირადი საწვავი			სულ		
	ემ* გგ	სმ* გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%	ემ გგ	სმ გგ	%
1996	4,073	4,090	-0.42	70	70	0.07	2,045	1,820	12.39	6,189	5,980	3.48
1997	3,543	3,495	1.38	56	56	-0.30	1,627	1,423	14.32	5,227	4,975	5.06
1998	2,960	2,963	-0.09	100	100	-0.06	1,540	1,335	15.34	4,600	4,398	4.60
1999	2,471	2,471	0.06	104	104	0.07	1,366	1,260	8.37	3,940	3,833	2.79
2000	2,148	2,133	0.72	61	61	0.11	2,263	1,972	14.77	4,473	4,166	7.36
2001	1,668	1,671	-0.18	76	76	0.07	1,715	1,542	11.27	3,460	3,289	5.20
2002	1,598	1,601	-0.22	64	64	0.08	1,435	1,168	22.80	3,096	2,833	9.28
2003	1,598	1,602	-0.23	25	25	0.09	1,629	1,324	23.08	3,252	2,950	10.23
2004	1,605	1,609	-0.23	31	31	0.09	1,908	1,612	18.35	3,544	3,252	8.99
2005	2,054	2,033	1.05	39	39	0.04	2,078	2052	1.26	4,172	4,124	1.15
2006	2,009	2,018	-0.47	35	35	0.09	2,828	2,462	14.88	4,872	4,515	7.90
2007	2,503	2,518	-0.56	121	106	13.79	3,093	2,449	26.28	5,717	5,073	12.70
2008	2,232	2,223	0.43	265	265	0.04	2,370	2,363	0.27	4,867	4,851	0.33
2009	2,581	2,593	-0.44	473	473	0.08	2,379	2,201	8.08	5,434	5,267	3.17
2010	2,922	2,723	7.32	898	896	0.15	2,238	2,037	9.88	6,058	5,656	7.11
2011	2,904	2,930	-0.89	1,191	1,190	0.12	3,581	3,300	8.52	7,677	7,420	3.46
2012	2,863	2,851	0.43	1,307	1,306	0.13	3,923	3,612	8.60	8,094	7,769	4.18
2013	2,714	2,736	-0.80	1,350	1,349	0.12	3,382	3,388	-0.20	7,446	7,473	-0.36
2014	2,886	2,930	-1.51	1,235	1,234	0.10	3,916	3,955	-0.96	8,038	8,119	-1.00
2015	3,326	3,355	-0.87	1,151	1,149	0.11	4,339	4,312	0.64	8,816	8,816	-0.01
2016	3,969	3,938	0.79	1,113	1,110	0.30	4,146	4,065	1.99	9,228	9,112	1.27
2017	3,362	4,045	-16.88	1,237	1,131	9.35	4,345	3,855	12.69	8,944	9,032	-0.97
2018	3,840	3,454	11.16	1,274	1,166	9.25	4,804	4,263	12.70	9,918	8,883	11.64
2019	4,194	3,615	16.01	1,006	905	11.19	5,443	4,934	10.32	10,643	9,454	12.58
2020	3,977	3,498	13.71	891	810	9.95	5,463	4,944	10.48	10,331	9,253	11.65
2021	4,153	3,772	10.07	958	866	10.64	5,662	5,175	9.41	10,773	9,813	9.78
2022	4,219	3,781	11.60	1,000	898	11.35	6,777	6,269	8.11	11,997	10,948	9.59

* ემ აღნიშნავს ეტალონურ მიდგომას; სმ აღნიშნავს სექტორულ მიდგომას

განსხვავება თხევად საწვავში წარმოიქმნება საქსტატის ენერგეტიკული ბალანსების ნავთობპროდუქტების ქვესექტორის მონაცემების მცირე უზუსტობებით. მაგალითისთვის, ეტალონური მიდგომა ეფუძნება პროდუქციის წარმოებას, იმპორტსა და ექსპორტს. სხვა ნავთობპროდუქტების კატეგორიისთვის საქსტატი აქვეყნებს ექსპორტის სტატისტიკას, მაშინ როდესაც რიცხობრივად არ ფიქსირდება მათი წარმოება ქვეყანაში. აღნიშნული პროდუქცია წარმოადგენს რამდენიმე ნავთობპროდუქტის შერევის შედეგად მიღებულ პროდუქტს, მათ შორის ნედლი იმპორტირებული ნავთობის, რომელიც თავის მხრივ არ გამოიყენება სექტორული მიდგო-

მის დათვლაში. ამგვარად, წარმოიქმნება ცდომილება ეტალონურ და სექტორულ მიდგომებს შორის.

განსხვავება აირად საწვავში ძირითადად გამოწვეულია ტრანსპორტირების და განაწილების დროს ბუნებრივი აირის დანაკარგებით, რაც მეთანის ემისიად ითვლება, ხოლო ეტალონურ მიდგომაში იგი განიხილება როგორც დამწვარი და ნახშირორჟანგად გარდაქმნილი.

საერთაშორისო ბუნკერული საწვავი

ყველა ემისია საერთაშორისო საავიაციო და საზღვაო ნაოსნობისთვის განკუთვნილი საწვავიდან (ბუნკერები) გამოირიცხება ეროვნული ჯამიდან და ცალკე აღინერება შენიშვნის სახით. ემისიები საერთაშორისო ავიაციიდან განისაზღვრება როგორც ემისია იმ ფრენებიდან, რომლებიც ხორციელდება ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, აფრენა-დაფრენის ჩათვლით ამ რეისებისთვის.

საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობის შედეგად ემისიები გამოიყოფა საწვავიდან, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობაში ჩართული ხომალდების მიერ ყველა დროშის ქვეშ. საერთაშორისო ნაოსნობა შეიძლება განხორციელდეს ზღვაში, შიდა ტბებსა და წყალსატევებზე და სანაპირო წყლებში. იგი მოიცავს ემისიებს ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობის შედეგად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ემისიებს საერთაშორისო საავიაციო და საზღვაოსნო ბუნკერებიდან.

ცხრილი 3-7 სატბურის გაზის ემისიები საერთაშორისო ბუნკერების მიერ მოხმარებულ საწვავიდან

წელი	საერთაშორისო საავიაციო ბუნკერები				საერთაშორისო საზღვაოსნო ბუნკერები			
	CO ₂ (გგ)	CH ₄ (გგ)	N ₂ O(გგ)	სულ CO ₂ -ის ეკვ. გგ	CO ₂ (გგ)	CH ₄ (გგ)	N ₂ O (გგ)	სულ CO ₂ -ის ეკვ. გგ
1990	609	0.004	0.017	613	490	0.046	0.013	495
1991	590	0.004	0.017	595	392	0.036	0.010	396
1992	507	0.004	0.014	511	280	0.026	0.007	283
1993	387	0.003	0.011	390	189	0.017	0.005	191
1994	198	0.001	0.006	199	166	0.015	0.004	168
1995	12	0.000	0.000	12	158	0.014	0.004	159
1996	240	0.002	0.007	242	144	0.013	0.004	145
1997	212	0.001	0.006	214	130	0.012	0.003	131
1998	295	0.002	0.008	297	116	0.011	0.003	117
1999	249	0.002	0.007	251	102	0.009	0.003	103
2000	46	0.000	0.001	47	88	0.008	0.002	89
2001	40	0.000	0.001	40	74	0.007	0.002	75
2002	71	0.000	0.002	71	60	0.006	0.002	61

წელი	საერთაშორისო საავიაციო ბუნკერები				საერთაშორისო საზღვაოსნო ბუნკერები			
	CO2 (გგ)	CH4 (გგ)	N2O(გგ)	სულ CO2-ის ეკვ. გგ	CO2 (გგ)	CH4 (გგ)	N2O (გგ)	სულ CO2-ის ეკვ. გგ
2003	80	0.001	0.002	80	55	0.005	0.001	56
2004	114	0.001	0.003	115	50	0.005	0.001	51
2005	114	0.001	0.003	115	46	0.004	0.001	46
2006	114	0.001	0.003	115	41	0.004	0.001	41
2007	145	0.001	0.004	146	36	0.003	0.001	37
2008	123	0.001	0.003	124	31	0.003	0.001	32
2009	123	0.001	0.003	124	27	0.003	0.001	27
2010	127	0.001	0.003	128	22	0.002	0.001	22
2011	108	0.001	0.003	109	17	0.002	0.000	17
2012	211	0.001	0.006	212	13	0.001	0.000	13
2013	261	0.002	0.007	263	8	0.001	0.000	8
2014	248	0.002	0.007	250	3	0.000	0.000	3
2015	215	0.002	0.006	216	5	0.000	0.000	5
2016	218	0.002	0.006	220	2	0.000	0.000	2
2017	292	0.002	0.008	294	5	0.000	0.000	5
2018	315	0.002	0.009	318	5	0.000	0.000	5
2019	311	0.002	0.009	313	7	0.001	0.000	7
2020	170	0.001	0.005	171	12	0.001	0.000	12
2021	290	0.002	0.008	292	9	0.001	0.000	9
2022	407	0.003	0.011	410	10	0.001	0.000	10

მონაცემთა უკმარისობის გამო ინფორმაცია სატბურის აირების ემისიების შესახებ საერთაშორისო საზღვაოსნო ბუნკერების მიერ მოხმარებული საწვავიდან მხოლოდ 1991-1995, 2002 და 2014-2022 წლებისთვის არის ხელმისაწვდომი. 1991-1995 და 2002 წლების მონაცემები საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ იქნა მოწოდებული, ხოლო უკანასკნელი პერიოდის მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ენერგობალანსიდან იქნა აღებული. დროის იმ პერიოდზე, სადაც მონაცემები არაა ხელმისაწვდომი, მონაცემების შესავსებად ინტერპოლაციის მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული.

3.2.4. საერთაშორისო მარაგები და საწვავის არა-ენერგეტიკული მოხმარება

ეკონომიკისთვის მიწოდებული საწვავი მხოლოდ სატბო ენერგიად არ გამოიყენება. ნაწილი გამოიყენება ნედლეულის სახით ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, როგორიცაა პლასტმასა, ან არაენერგეტიკული მოხმარებისთვის (მაგ. ბიტუმი გზის მშენებლობისთვის, ბუნებრივი აირი ამიაკის, ნავთის, ეთანის, პარაფინის და

სანთლების წარმოებისთვის), ნახშირბადის დაჟანგვის (ემისიების) გარეშე. ამას ეწოდება გამორიცხული/შენახული ნახშირბადი და იგი აკლდება ნახშირბადის ემისიებს გამოთვლებიდან. წიაღისეული საწვავის არაენერგეტიკული მიზნით მოხმარების მონაცემები მოცემულია ცხრილში ქვემოთ.

ცხრილი 3-8 წიაღისეული საწვავის არაენერგეტიკული მიზნით გამოყენება (გჯ)

წელი	საპოხი ზეთები (ტჯ)	ბიტუმი (ტჯ)	ბუნებრივი აირი (ტჯ)	წელი	საპოხი ზეთები (ტჯ)	ბიტუმი (ტჯ)	ბუნებრივი აირი (ტჯ)
1990	4,560	9,880	6,000	2007	714	3,900	2,902
1991	7,266	3,861	6,000	2008	714	3,783	3,052
1992	5,586	3,861	3,410	2009	0	312	3,070
1993	5,586	3,471	2,841	2010	386	3,542	4,078
1994	2,698	1,748	2,000	2011	520	2,273	4,422
1995	420	78	2,273	2012	644	3,878	4,646
1996	966	0	0	2013	571	3,005	5,666
1997	336	390	2,313	2014	638	3,105	5,610
1998	462	390	4,489	2015	755	3,378	5,900
1999	378	312	6,427	2016	796	3,980	4,823
2000	304	342	0	2017	699	3,990	5,424
2001	210	858	3,429	2018	753	4,051	6,019
2002	126	1,014	2,868	2019	702	6,492	6,369
2003	210	1,170	3,256	2020	860	4,971	6,389
2004	462	1,443	3,815	2021	817	4,425	5,836
2005	380	2,584	7,385	2022	924	4,841	6,276
2006	630	2,613	7,273				

ზემოთ ჩამოთვლილი საწვავის ნედლეულ მასალად გამოყენების შედეგად მიღებული ნახშირბადის ემისიები მოცემულია თავის „სამრეწველო პროცესები და პროდუქციის მოხმარება“ (IPPU) წყარო-კატეგორიებში. საპოხი ზეთის სტატისტიკური მონაცემები, როგორც წესი, მოიცავს არა მხოლოდ საავტომობილო საპოხ მასალებს, არამედ ზეთებს სამრეწველო მიზნებისთვის, გათბობისა და ქრის საშუალებებისთვის. ბიტუმი/ასფალტი გამოიყენება გზის მოსაპირკეთებლად და სახურავებისთვის, სადაც შემცველი ნახშირბადი იწახება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. შესაბამისად, ინვენტარიზაციის წლის განმავლობაში არ არსებობს ბიტუმიდან საწვავის წვით გაფრქვეული სათბურის აირები. ბუნებრივი აირი ძირითადად სასუქების წარმოებაში გამოიყენება.

3.2.5. ენერგოინდუსტრია (1.A.1.)

3.2.5.1. წყარო-კატეგორიის აღწერა და გამოთვლილი ემისია

ენერგოინდუსტრიის წყარო-კატეგორიაში შედის წიაღისეული საწვავის მოპოვე-

ბის, გადამუშავების ან წარმოების დროს სათბურის აირების ემისიები, რომლებიც მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიებს:

ელექტროენერგიისა და სითბოს წარმოების ძირითადი საქმიანობიდან (1.A.1.a) ემისიები მოიცავს ემისიებს ელექტროენერგიის გენერაციის, სითბოსა და ენერგიის კომბინირებული გენერაციის ძირითადი მწარმოებლებიდან და თბოსადგურებიდან გამოყოფილ ემისიებს. ძირითადი საქმიანობის მწარმოებლები (უწინ ეწოდებოდათ „კომუნალური სამსახურები“) განისაზღვრება როგორც საწარმოები, რომელთა მთავარი საქმიანობაა ელექტროენერგიისა და სითბოს წარმოება და საზოგადოებისთვის მიწოდება. ამგვარი საწარმოები შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მფლობელობაში.

ნავთობის გადამუშავება (1.A.1.b) მოიცავს წვის ყველა საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს ნავთობპროდუქტების გადამუშავებას, მათ შორის ადგილზე ელექტროენერგიის და სითბოს წარმოებას საკუთარი მოხმარებისთვის.

მყარი საწვავის და სხვა ენერგიის წარმოება (1.A.1.c) - წვის ემისიები საწვავიდან, რომელიც გამოიყენება მყარი საწვავიდან პირველადი და მეორადი პროდუქციის წარმოების დროს, ნახშირის წარმოების ჩათვლით. უნდა ჩაითვალოს ემისიებიც საწვავის საკუთარი მოხმარებიდან ადგილზე; მოიცავს, ასევე, წვას საკუთარი მოხმარების ელექტროენერგიისა და სითბოს გენერაციისას აღნიშნულ მრეწველობებში.

ამჟამად საქართველოში ელექტროენერგიას ძირითადად გამოიმუშავებენ ჰიდროელექტროსადგურები და ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები. საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ენერგიის გენერაციის დიდი ნაწილი მოდის სწორედ ჰიდროელექტროსადგურებზე. 2022 წელს საქართველოში იყო 90 ჰიდროელექტროსადგური (3,407 მგვტ), ბუნებრივ აირზე მომუშავე 5 თბოელექტროსადგური (1,141.2 მგვტ), და 1 ქარის ენერგიაზე მომუშავე სადგური (20.7 მგვტ)¹².

ჰიდროელექტროენერგიის წარმოების უდიდესი წილი - მთლიანი ენერგოგენერაციის 93% - 2010 წელს აღინიშნა ნალექის მაღალი დონის შედეგად. დაწყებული 2013 წლიდან მზარდი მოხმარების ფონზე გაიზარდა თბოელექტროენერგიის წარმოება. 2010-2019 წლების განმავლობაში ელექტროენერგიის საშუალო წლიური მოხმარების ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 5%¹³. მაშინ როცა 2020 წელს -10 % იანი კლება დაფიქსირდა, ხოლო 2021-წელს 13% იანი ზრდა აღინიშნა მოხმარებაში.

2013 წელს დასრულდა 46 მგვტ დადგმული სიმძლავრის (250 გვ/სთ წლიური წარმოების) ოთხი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. 2015 წელს დასრულდა გარდაბნის ახალი, ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოელექტროსადგური (230 მგვტ დადგმული სიმძლავრით). 2018-2022 წლებში ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა თექვსმეტი ახალი ჰიდროელექტროსადგური.

რაც შეეხება სითბოს წარმოებას, საბჭოთა პერიოდში (1991 წლამდე) საქართველოს დიდ ქალაქებში ფუნქციონირებდა გათბობის ცენტრალიზებული სისტემები. აღნიშნული სისტემები საწვავად იყენებდა ბუნებრივ აირს და მაზუტს. მოგვიანებით ეს სისტემები თანდათან სრულიად გამოუსადეგარი გახდა და, აქედან გამომდინარე, სათბურის გაზის ემისიები აღნიშნული ქვესექტორიდან თითქმის ნულამდე დაეცა. ამჟამად მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გათბობისთვის შეშას და ბუნებრივ

12 საქსტატი, ენერგობალანსი 2022

13 ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - ელექტრობალანსი

აირს მოიხმარს. ემისიები ამ საწვავების გამოყენებიდან საყოფაცხოვრებო ქვეკატეგორიაში აისახება.

ცხრილი 3-9 სატბურის აირების ემისიები ენერგოინდუსტრიიდან (გგ)

გაზი/ ქვესექტორები	CO2 გგ	CH4	CH4 (CO2ეკვ.)	N2O	N2O (CO2ეკვ.)	სულ CO2ეკვ.	ელექტრო- ენერგიის წარმოება (გგ CO2 ეკვ.)	თბური სადგურები (გგ CO2 ეკვ.)	სხვა ენერგო- ინდუსტრია (გგ CO2 ეკვ.)
1990	13,732	0.409	11.452	0.087	22.982	13,767	6,216	7,550	NE
1991	8,750	0.258	7.231	0.058	15.381	8,772	5,099	3,673	NE
1992	8,035	0.221	6.199	0.046	12.299	8,054	3,779	4,275	NE
1993	5,345	0.152	4.266	0.028	7.332	5,357	2,755	2,602	NE
1994	4,078	0.128	3.572	0.023	6.072	4,088	2,736	1,351	NE
1995	4,342	0.138	3.867	0.025	6.638	4,352	3,336	1,016	NE
1996	2,044	0.058	1.629	0.010	2.609	2,048	1,201	848	NE
1997	1,769	0.049	1.362	0.008	2.129	1,773	1,048	679	46
1998	1,794	0.046	1.295	0.007	1.927	1,797	1,253	511	34
1999	1,614	0.040	1.110	0.006	1.583	1,617	1,192	342	83
2000	1,600	0.037	1.044	0.005	1.416	1,603	1,296	173	133
2001	1,036	0.020	0.573	0.002	0.637	1,037	850	5	182
2002	763	0.016	0.439	0.002	0.513	764	404	206	155
2003	870	0.018	0.504	0.002	0.595	871	440	238	192
2004	1,097	0.023	0.639	0.003	0.760	1,098	619	256	223
2005	1,343	0.028	0.782	0.004	0.930	1,345	797	176	371
2006	1,521	0.029	0.811	0.003	0.856	1,523	1,042	96	385
2007	1,428	0.027	0.753	0.003	0.780	1,430	958	149	323
2008	1,155	0.022	0.611	0.002	0.636	1,156	822	144	190
2009	1,308	0.028	0.785	0.004	0.966	1,310	781	349	180
2010	692	0.016	0.454	0.002	0.614	693	558	NO	136
2011	1,364	0.025	0.704	0.003	0.712	1,365	1,274	NO	91
2012	1,424	0.025	0.711	0.003	0.679	1,426	1,379	NO	47
2013	993	0.018	0.495	0.002	0.478	994	992	NO	2
2014	1,130	0.020	0.564	0.002	0.541	1,131	1,129	NO	2
2015	1,285	0.023	0.641	0.002	0.614	1,286	1,284	NO	2
2016	1,077	0.019	0.527	0.003	0.666	1,078	1,076	NO	2
2017	1,116	0.019	0.542	0.003	0.760	1,117	1,116	NO	2
2018	1,028	0.018	0.505	0.002	0.613	1,029	1,028	NO	1
2019	1,370	0.024	0.684	0.002	0.649	1,371	1,371	NO	1

გაზი/ ქვესექტორები	CO2 გგ	CH4	CH4 (CO2ეკვ.)	N2O	N2O (CO2ეკვ.)	სულ CO2ეკვ.	ელექტრო- ენერგიის წარმოება (გგ CO2 ეკვ.)	თბური სადგურები (გგ CO2 ეკვ.)	სხვა ენერგო- ინდუსტრია (გგ CO2 ეკვ.)
2020	1,244	0.022	0.621	0.002	0.591	1,245	1,244	NO	1
2021	1,003	0.018	0.500	0.002	0.478	1,004	1,003	NO	1
2022	1,523	0.027	0.760	0.003	0.724	1,524	1,523	NO	1

ცხრილი 3.9-ში სხვა ენერგოინდუსტრიებისა (1990-1996 წწ.) და თბური სადგურების (2010-2022 წწ.) მონაცემები წარმოდგენილი არ არის მონაცემთა უკმარისობისა და წარმოების შეჩერების გამო. გასული საუკუნის 90-იანი წლების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანი სირთულეს წარმოადგენდა, რაც განპირობებული იყო იმ დროის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონის პირობებით. ცარიელი ველების აღდგენა ექსტრაპოლაციის მეთოდით დროითი მწკრივის 7 წელზე (1990-1996 წწ.) ნაკლებად სანდოა, გათვალისწინებით გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და სამოქალაქო ომის ზემოქმედების გამო. რაც შეეხება თბური სადგურების მუშაობას, 2010 წლიდან ქვეყანაში სადგურების ფუნქციონირება აღარ ფიქსირდება.

ქვემოთ (ცხრილი 3.10) მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განსაზღვრული ბუნებრივი აირის ნეტ-კალორიულობა წლების მიხედვით.

ცხრილი 3-10 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განსაზღვრული ბუნებრივი აირის ნეტ-კალორიულობა წლების მიხედვით (გგ)

ბუნებრივი აირი	
ნეტ-კალორიულობა (ტჯ/ერთეული)	წელი
35	1990-2014
35.25	2015-2016
36	2017-2022

ცხრილი 3.11-ში წარმოდგენილია სათბური აირების ემისიების შედარების შედეგები „დონე 1“-ისა და „დონე 2“-ის მიხედვით 2000-2022 წლებისთვის თბოელექტრო სადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების ქვესექტორში (1.A.1.a.i). შედეგებიდან ირკვევა, რომ „დონე 2“ საშუალოდ 1.8%-ით მეტ ემისიას აჩვენებს, ვიდრე „დონე 1“-ის მიხედვით დათვლილი ემისიები.

ცხრილი 3-11. სათბურის აირების ემისიების შეფარების შედეგები „დონე 1“ და „დონე 2“-ის მიხედვით, 2000-2022 წლების თბოქიმიკური საფრთხის მიერ ელექტროენერგიის წარმოების ქვესექტორში (1.A.1.A.I).

წელი	დონე 1				დონე 2				პროცენტული სხვაობა %
	CO ₂ (გგ)	CH ₄ (გგ)	N ₂ O (გგ)	სულ CO ₂ -ის ეკვ. (გგ)	CO ₂ (გგ)	CH ₄ (გგ)	N ₂ O (გგ)	სულ CO ₂ -ის ეკვ. (გგ)	
2000	1,000	0.018	0.002	1,001	1,010	0.018	0.018	1,016	1.49%
2001	773	0.014	0.001	774	783	0.014	0.014	787	1.67%
2002	324	0.006	0.001	325	328	0.006	0.006	330	1.53%
2003	361	0.006	0.001	361	366	0.006	0.006	368	1.92%
2004	508	0.009	0.001	508	515	0.009	0.009	517	1.76%
2005	620	0.011	0.001	620	627	0.011	0.011	630	1.60%
2006	1,324	0.024	0.002	1,325	1,341	0.033	0.024	1,348	1.72%
2007	894	0.016	0.002	895	906	0.020	0.016	910	1.66%
2008	767	0.014	0.001	768	776	0.018	0.014	780	1.55%
2009	571	0.010	0.001	572	578	0.012	0.010	581	1.56%
2010	387	0.007	0.001	387	392	0.007	0.007	394	1.79%
2011	1,235	0.022	0.002	1,236	1,249	0.025	0.022	1,256	1.61%
2012	1,378	0.025	0.002	1,379	1,394	0.028	0.025	1,401	1.58%
2013	991	0.018	0.002	992	1,002	0.018	0.018	1,007	1.50%
2014	1,128	0.020	0.002	1,129	1,142	0.021	0.020	1,147	1.58%
2015	1,283	0.023	0.002	1,284	1,297	0.024	0.028	1,305	1.62%
2016	1,075	0.019	0.002	1,076	1,086	0.020	0.065	1,104	2.57%
2017	1,114	0.019	0.003	1,116	1,125	0.020	0.081	1,147	2.74%
2018	1,027	0.018	0.002	1,028	1,037	0.020	0.060	1,053	2.40%
2019	1,369	0.024	0.002	1,371	1,383	0.027	0.044	1,395	1.74%
2020	1,243	0.022	0.002	1,244	1,251	0.024	0.052	1,266	1.75%
2021	1,002	0.018	0.002	1,003	1,007	0.019	0.046	1,020	1.68%
2022	1,522	0.027	0.003	1,523	1,532	0.029	0.060	1,549	1.69%

3.2.5.2. მეთოდოლოგიური საკითხები

შეფასების მეთოდი

ემისიების გამოთვლის მიზნით გამოყენებული იქნა IPCC „დონე 1“ და „დონე 2“ სექტორული მიდგომა, რომელიც განმარტებულია ზემოთ მოცემულ პუნქტში.

ემისიის ფაქტორი

მოხმარებული საწვავის ფიზიკური ერთეულებიდან ენერგოერთეულებში გარდა-

საქმნელად ქვეყნისთვის დამახასიათებელი საწვავის ნეტ-კალორიულობა იქნა გამოყენებული (ცხრილი 3.5).

ცხრილში ქვემოთ მოცემულია შემდეგი ემისიის სტანდარტული ფაქტორები¹⁴.

ცხრილი 3-12. ემისიის სტანდარტული ფაქტორები სტაციონარული წვისთვის ენერგოინდუსტრიაში (კგ სათბურის გაზი/გჯ ნაგ-კადორიუმობის საფუძველზე)

საწვავი/სათბურის აირები	CO ₂	CH ₄	N ₂ O
ბუნებრივი აირი	56,100	1.0	0.1
დიზელი	74,100	3.0	0.6
ლიგნიტი	101,000	1	1.5

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ემისიის ფაქტორები თბოსადგურის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

ცხრილი 3-13. ემისიის ფაქტორები თბოელექტრო სადგურებისთვის გენერაციის გათვალისწინებით სტაციონარული წვისთვის (კგ სათბურის გაზი/გჯ ნაგ-კადორიუმობის საფუძველზე)

თბოელექტრო სადგური	ტექნოლოგია	მე-2 დონე – თბოსადგურთა სპე-ციფიკური ემისიის ფაქტორები (კგ/ტჯ ენერგიის შეყვანა)		
		CO ₂	CH ₄	N ₂ O
მტკვარი	ქვაბები, 33-34% ეფექტურობა, ბუნებრივი აირი	56,855	1	1
თბილსრესი	ქვაბები, 27-28% ეფექტურობა, ბუნებრივი აირი	56,602	1	1
ჯიფაუერი	გაზის ტურბინები >3MW, 29-30% ეფექტურობა, ბუნებრივი აირი	57,143	4	1
გარდაბნის თბოსა-დგური 1	კომბინირებული ციკლი, CCGT, 54% ეფექტურობა, ბუნებრივი აირი	56,483	1	3
გარდაბნის თბოსა-დგური 2	კომბინირებული ციკლი, CCGT, 53.5% ეფექტურობა, ბუნებრივი აირი	56,100	1	3
ტყიბულის თბოსადგური	ლიგნიტი, ატმოსფერული თხევადი	101,000	NA	71

წყარო: CO₂ ემისიის ფაქტორი, MEPA. CH₄ და N₂O ემისიის ფაქტორები (IPCC, 2006), ცხრილი 2.6

საქმიანობის მონაცემები

ინფორმაცია ენერგოინდუსტრიის შესახებ მიღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (საქსტატი), საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო-დან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან.

¹⁴ IPCC 2006, ტომი 2, ცხრილი 2.2 - ემისიის სტანდარტული ფაქტორები სტაციონარული წვისთვის ენერგოინდუსტრიაში.

ცხრილი 3-14 საქმიანობის მონაცემები ენერგოინდუსტრიის სექტორში.

წელი	ნედლი ნავთობი (ტჯ)	გაზი/დიზელის სანავაზი (ტჯ)	ლიგ-ნიტი (ტჯ)	ბუნებრივი აირი (dry (ტჯ))	სხვა ბიტუ-მინოზური ნახშირი (ტჯ)	საყოფაცხოვრებო სანავაზი (ტჯ)
1990	NO	736.61	NO	82,071.90	10,100	104,878.4
1991	NO	511.00	NO	49,172.00	8,700	66,280.0
1992	NO	724.00	NO	62,182.00	6,425	50,200.0
1993	NO	724.00	NO	43,967.00	1,225	35,000.0
1994	NO	563.29	NO	26,021.70	NO	33,289.6
1995	NO	384.00	NO	25,723.00	NO	37,080.0
1996	NO	NO	NO	12,921.00	NO	6,120.0
1997	NO	NO	NO	12,947.00	NO	4,720.0
1998	NO	NO	NO	16,768.00	NO	4,440.0
1999	NO	NO	NO	16,078.00	NO	3,720.0
2000	NO	259.98	NO	17,826.62	NO	3,555.2
2001	168	1,022.00	NO	16,897.75	NO	NO
2002	168	1,065.00	NO	11,978.69	NO	NO
2003	421	1,065.00	NO	13,545.88	NO	NO
2004	463	1,491.00	NO	16,973.97	NO	NO
2005	NO	2,383.15	NO	20,788.63	NO	NO
2006	253	852.00	NO	25,661.00	NO	NO
2007	NO	852.00	NO	24,334.90	NO	NO
2008	NO	725.00	NO	19,631.46	NO	NO
2009	NO	2,812.00	NO	19,598.82	NO	NO
2010	NO	2,300.39	NO	6,889.99	NO	NO
2011	NO	511.29	NO	22,008.41	NO	NO
2012	NO	NO	NO	24,557.38	NO	NO
2013	NO	NO	24.12	17,660.24	NO	NO
2014	NO	NO	20.79	20,111.55	NO	NO
2015	NO	NO	19.40	22,867.62	NO	NO
2016	NO	NO	468.86	18,386.31	NO	NO
2017	NO	NO	649.40	18,693.06	NO	NO
2018	NO	NO	370.60	17,674.08	NO	NO
2019	NO	NO	6.10	24,408.70	NO	NO
2020	NO	NO	8.40	22,157.14	NO	NO
2021	NO	NO	11.70	17,859.36	NO	NO
2022	NO	NO	11.90	27,123.99	NO	NO

3.2.5.3. განუზღვრელობები და ღირსების პეიჯების შეთანხმებულობა

განუზღვრელობა

ღირსების პეიჯების შეთანხმებულობა

საქმიანობის მონაცემებისთვის ერთი და იგივე წყაროები იქნა გამოყენებული დროის პერიოდების განმავლობაში.

3.2.5.4. კატეგორიისთვის დამახასიათებელი ხაზისხის უზრუნველყოფა და ხაზისხის კონტროლი და შემოწმება

ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის პროცედურები ჩატარდა 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს მიხედვით. ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლი ყურადღებას ამახვილებს საქმიანობის მონაცემთა პარამეტრებისა და ემისიის ფაქტორების შემოწმებაზე და საცნობარო მასალების დაარქივებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ჩატარდა IPCC მითითებების მიხედვით და მოიცავდა სახელმძღვანელო მითითებებთან ტექსტის სტრუქტურის შესაბამისობის, სისრულის, გამჭვირვალობის და ასევე გამოთვლების, ემისიის ფაქტორებისა და მოქმედების მონაცემების სიზუსტისა და დროის ინტერვალების შესაბამისობის შემოწმებას. ხარისხის უზრუნველყოფასა და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობები პირველ თავშია შეჯამებული.

3.2.5.5. კატეგორიისთვის დამახასიათებელი განმახილებელი და დასაბუთებელი გადაწყვეტილება, შემოწმების პროცესთან დაკავშირებული ცვლილებებისა და გაფხქვევების ტენდენციებზე გავლენის აღწერა

წინა ანგარიშის მონაცემებისათვის (1990-2017 წწ) ჩატარდა გადათვლა რამდენიმე მიზეზის გამო:

- **კატეგორიაში 1.A.1.a.i** (ელექტროენერგიის წარმოება/გენერაცია) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ენერგეტიკულ ბალანსში ბუნებრივ აირზე განახლდა 2013-2017 წლების მონაცემები, ასევე დაემატა 2018-2022 წლების მონაცემები.
- **კატეგორიაში 1.A.1.a.iii** (სითბოს წარმოება) 1996-2000 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.1.c** (მყარი საწვავის წარმოება და სხვა ენერგო-ინდუსტრია) 1999, 2000, 2010 - 2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ენერგეტიკულ ბალანსში განახლდა 2013-2017 წლების მონაცემები, ასევე დაემატა 2018-2022 წლების მონაცემები.

სათბურის გაზის ემისიები 2010-2022 წლებში თბურ სადგურებში არ არის შეფასებული მონაცემთა უკმარისობის გამო. ნავთობგადამამუშავებლები არ მოიხმარენ საწვავს, რადგან ბუნებრივი დალექვის მეთოდით ხდება გადამამუშავება. მყარი საწვავის წარმოება არ არის შეფასებული მონაცემთა უკმარისობის გამო და აქტივობაც მინიმალური იყო, შესაბამისად მონაცემები არ აღირიცხება. სათბური გაზის ემისიები 1990-1996 წლებში სხვა ენერგო-ინდუსტრიის კატეგორიაში არ არის შეფასებული მონაცემთა უკმარისობის გამო.

**ცხრილი 3-15 სატბურის აირების ემისიების გადათვლის შედეგები 1.A.1.
კაპემორიიდან***

წლები	სგ ემისია გადათვლამდე (გგ CO2 ექვ)	სგ ემისია გადათვლის შემდეგ (გგ CO2 ექვ)	სხვაობა (გგ CO2 ექვ)
1990	13,768	13,767	-1 (0.01%)
1991	8,773	8,772	-1 (0.01%)
1992	8,054	8,054	0 (0%)
1993	5,357	5,357	0 (0%)
1994	4,088	4,088	0 (0%)
1995	4,352	4,352	0 (0%)
1996	1,201	2,048	847 (52.14%)
1997	1,093	1,773	680 (47.45%)
1998	1,286	1,797	511 (33.15%)
1999	1,192	1,617	425 (30.26%)
2000	1,447	1,603	156 (10.23%)
2001	1,162	1,037	-125 (11.37%)
2002	783	764	-19 (2.46%)
2003	813	871	58 (6.89%)
2004	1,019	1,098	79 (7.46%)
2005	1,200	1,345	145 (11.39%)
2006	1,523	1,523	0 (0%)
2007	1,755	1,430	-325 (20.41%)
2008	976	1,156	180 (16.89%)
2009	1,354	1,310	-44 (3.3%)
2010	560	693	133 (21.23%)
2011	1,274	1,365	91 (6.9%)
2012	1,379	1,426	47 (3.35%)
2013	1,000	994	-6 (0.6%)
2014	1,534	1,131	-403 (30.24%)
2015	1,622	1,286	-336 (23.11%)
2016	1,473	1,078	-395 (30.97%)
2017	1,533	1,117	-416 (31.4%)

*ემისიების გადათვლა მოხდა გლობალური დათბობის პოტენციალის ახალი მნიშვნელობებით: ნაცვლად მეთანისათვის 21 და აზოტის ქვეჟანგისათვის 310-ისა, გამოყენებული იქნა შესაბამისად 28 და 265.

3.2.6. გადამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა (1.A.2.)

3.2.6.1. წყალ-კატეგორიის აღწერა და გამოთვლილი ემისიები

გადამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის ქვესექტორი მოიცავს ემისიებს, რომლებიც დაკავშირებულია საწვავის წვასთან მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, როგორცაა თუჩის და ფოლადის, ფეროშენადნობების, ქიმიკატების, ქაღალდის, საკვები პროდუქტების, სასმელების, თამბაქოს და სხვ., ასევე ემისიებს საშენ მასალათა წარმოებიდან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ქარხნების თითქმის 1/3-მა შეწყვიტა წარმოება. თუმცა 1995 წლიდან პოლიტიკურმა სტაბილიზებამ და ახალი სამრეწველო კონტაქტების დამყარებამ შედეგად მოიტანა მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლებისა და მშპ-ის ზრდის შედარებითი სტაბილურობა.

საქართველოს მძიმე მრეწველობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია ექსპორტისთვის და დასაქმებისთვის დამატებითი ღირებულების თვალსაზრისით. 2023 წელს გადამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის სექტორებზე მოდიოდა მშპ-ის 17.8% და 12% შესაბამისად. ორივე ერთად ისინი შეადგენენ საქართველოს დასაქმების სექტორის 17.6%-ს¹⁵. მძიმე მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვესექტორებია ფეროშენადნობების, ფოლადის/რკინის, სასუქების და ცემენტის წარმოება.

ფეროშენადნობთა წარმოების სფეროში მოქმედებს ოთხი ქარხანა - „ჯორჯიან მანგანუმი“¹⁶ (იგივე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა), „რუსელოისი“¹⁷, „რუსმეტალი“¹⁸ და „ჯი თი ემ ჯგუფი“¹⁹. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა სილიკონ-მანგანუმის ყველაზე დიდი მწარმოებელია. მისი წლიური წარმოება თითქმის 200,000 ტონას შეადგენს.

სასუქები საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტია. „რუსთავის აზოტი“ ამიერკავკასიაში მინერალური სასუქებისა და სამრეწველო ქიმიკატების უმსხვილესი ქიმიური საწარმოა²⁰.

საქართველოში არალითონური სამშენებლო მასალების უდიდესი კომპანია „ჰაიდელბერგ ცემენტი“ ფლობს ცემენტის მწარმოებელ სამ ქარხანას - ერთს კასპში და ორს რუსთავში. კომპანიის წლიური წარმოების სიმძლავრე შეადგენს დაახლოებით 2 მლნ ტ ცემენტს, 1.9 მლნ ტ კლინკერს და 1 მლნ ტ ბეტონს²¹.

ფოლადი და რკინა²² იწარმოება სამ ქარხანაში - „ჯეოსთილში“²³, „რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა“²⁴ და „იბერია სთილში“. აღნიშნულ საწარმოებში ფოლადი იწარმოება ელექტროლუმბებში ჯართის და წიდის დნობით. უდიდესი წილი (80-

15 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

16 „ჯორჯიან მანგანუმი“ - www.gm.ge

17 „რუსელოისი“ - www.rusalloys.com

18 „რუსმეტალი“ - www.rusmetali.com

19 ფეროშენადნობთა ქარხანა - www.gtmgroup.ge

20 „რუსთავის აზოტი“ - www.rustaviazot.ge

21 „ჰაიდელბერგ ცემენტი ჯორჯია“ - www.heidelbergcement.ge

22 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოს თანახმად, ემისიები რკინისა და ფოლადის წარმოებისას კოქსის ღუმელებში საწვავის წვიდან განხილული უნდა იქნეს სხვა ენერგო ინდუსტრიების (1.A.1.c.ii) და არა გადამამუშავებელი მრეწველობის კატეგორიაში (1.A.2).

23 „ჯეოსთილი“ - www.geosteel.com.ge

24 რუსთავის მეტალურგიული ქარხანა - www.rmp.ge

85%) ინარმოება ჯართის დნობით (მეორადი ფოლადის წარმოება).

2022 წელს მშენებლობის სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 5 მილიარდ ლარს მიაღწია და საქართველოს ეკონომიკის (მთლიანი შიდა პროდუქტის – მშპ) 8% შეადგინა. ბოლო 10 წელიწადში მშპ-ში მშენებლობის საშუალო წილი დაახლოებით ამდენივე - 8%-ია. 2013-2017 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ წლიურად 3.8%-ით იზრდებოდა, როცა ამავე პერიოდში მშენებლობის სექტორის საშუალო წლიური ზრდა 3-ჯერ მეტი, 12.8% იყო. 2018 წელს სამშენებლო სექტორში 7.2% კლება დაფიქსირდა, ხოლო 2019-ში უმნიშვნელო ზრდა იყო – 0.7%. ეს 2-წლიანი ჩავარდნა გამკაცრებულმა სამშენებლო და საბანკო რეგულაციებმა გამოიწვია. 2020 წელს მშენებლობის სექტორში 8%-იანი, ხოლო 2021 წელს 24%-იანი ვარდნა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის წლებში მთავრობა მშენებლობის სექტორს ასუბსიდირებდა, მაინც მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა. პოსტპანდემიურ პერიოდში მშენებლობის სექტორში სწრაფი ზრდა დაიწყო, 2022-ში 14.8%-ით გაიზარდა²⁵.

3.16 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის სექტორიდან სათბურის აირების ემისიების შესახებ. სათბურის აირების ემისია წყარო-კატეგორიებიდან 1990-დან 2022 წლამდე დაახლოებით 4-ჯერ შემცირდა.

ცხრილი 3-16 სათბურის აირების ემისია გადამამუშავებელი მრეწველობიდან და მშენებლობიდან (გგ)

გაზი/ ქვესექტორები	CO2 გგ	CH4	CH4 CO2ეკვ	N2O	N2O CO2ეკვ	სულ CO2ეკვ.
1990	7,535	0.450	12.591	0.070	18.434	7,566
1991	6,463	0.254	7.102	0.038	10.117	6,480
1992	3,851	0.152	4.250	0.020	5.209	3,861
1993	2,968	0.114	3.183	0.017	4.403	2,976
1994	2,146	0.116	3.259	0.017	4.437	2,153
1995	985	0.036	0.997	0.005	1.408	987
1996	1,212	0.055	1.554	0.008	2.078	1,216
1997	814	0.054	1.514	0.008	2.047	817
1998	518	0.054	1.511	0.008	2.075	522
1999	289	0.049	1.363	0.007	1.829	292
2000	684	0.064	1.803	0.009	2.358	689
2001	327	0.058	1.626	0.008	2.121	331
2002	266	0.056	1.554	0.008	2.015	269
2003	243	0.052	1.461	0.007	1.876	246
2004	256	0.052	1.462	0.007	1.862	259

25 <https://forbes.ge/saqarthvelos-samsheneblo-seqtoris-machveneblebi-da-tendentsiebi/>

გაზი/ ქვესექტორები	CO ₂ გგ	CH ₄	CH ₄ CO ₂ ეკვ	N ₂ O	N ₂ O CO ₂ ეკვ	სულ CO ₂ ეკვ.
2005	302	0.009	0.260	0.001	0.347	303
2006	424	0.010	0.291	0.001	0.360	425
2007	482	0.011	0.307	0.001	0.393	483
2008	626	0.023	0.633	0.003	0.850	628
2009	636	0.024	0.663	0.003	0.888	638
2010	796	0.043	1.217	0.006	1.709	799
2011	1,154	0.078	2.194	0.012	3.107	1,160
2012	1,513	0.110	3.069	0.016	4.371	1,520
2013	1,912	0.147	4.115	0.022	5.873	1,922
2014	1,805	0.137	3.823	0.021	5.451	1,814
2015	1,847	0.133	3.727	0.020	5.339	1,856
2016	1,652	0.121	3.392	0.018	4.828	1,660
2017	1,774	0.125	3.506	0.019	5.003	1,783
2018	1,881	0.135	3.788	0.020	5.422	1,891
2019	1,688	0.114	3.194	0.017	4.591	1,695
2020	1,585	0.103	2.889	0.016	4.134	1,592
2021	1,634	0.108	3.013	0.016	4.330	1,641
2022	1,787	0.114	3.181	0.017	4.583	1,795

3.2.6.2. მეთოდოლოგიური საკითხები

შეფასების მეთოდი

ემისიების გამოთვლისას გამოყენებული იქნა IPCC „დონე 1“ სექტორული მიდგომა. ემისიების უფრო მაღალ დონეზე გადათვლა შეუძლებელია სპეციალური ლაბორატორიების და მონაცემების არარსებობის პირობებში.

ემისიის ფაქტორები

მოხმარებული საწვავის ფიზიკური ერთეულების ენერგეტიკულ ერთეულებად გარდასაქმნელად გამოყენებული იქნა ქვეყნისთვის დამახასიათებელი საწვავის ნეტ-კალორიულობა (ცხრილი 3-5). ემისიის სტანდარტული ფაქტორები წარმოდგენილია 3.17 ცხრილში ²⁶.

²⁶ IPCC 2006, ტომი 2, ცხრილი 2.3 - ემისიის სტანდარტული ფაქტორები სტაციონარული წვისთვის გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში

**ცხრილი 3-17. ემისიის სტანდარტული ფაქტორები სტაციონარული წვისთვის
გაღამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში (1.A.2.). (კვ/გზ ნაშ-
კადორიუმობის საფუძველზე)**

სანვაი/სათბურის აირები	CO2	CH4	N2O
ბუნებრივი აირი	56,100	1	0.1
დიზელი	74,100	3	0.6
ანტრაციტი	98,300	10	1.5
ბიტუმის შემცველი სხვა ნახშირი	94,600	10	1.5
ლიგნიტი	101,000	10	1.5
თხევადი სანვაი აირი	63,100	1	0.1
ნავთი	71,900	3	0.6
საყოფაცხოვრებო მავუთი	77,400	3	0.6
შეშა/შეშის ნარჩენები	112,000	30	4
სხვა პირველადი მყარი ბიომასები	100,000	30	4
კოქსის ლუმელის აირი	107,000	10	1.5
ხის ნახშირი	112,000	200	4

საქმიანობის მონაცემები

ინფორმაცია გადამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის ქვესექტორის შესახებ მიღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (საქსტატი) და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოდან.

**ცხრილი 3-18 საქმიანობის მონაცემები გაღამამუშავებელი მრეწველობის და
მშენებლობის ქვესექტორში**

გაზი/ ძვსემ- ტორები	ანტრაციტი (ტვ)	საღმელუ კოქსი (ტვ)	კოქსის ნახშირი (ტვ)	გაზი/ დიზელის სანვაი (ტვ)	ლიგნიტი (ტვ)	თხევადი აირი LPG (ტვ)	საავტომობილო ბენზინი (ტვ)	ბუნებრივი აირი (ძრუ) (ტვ)	სხვა ბიომინორი ნახშირი (ტვ)	სხვა ნავთი (ტვ)	სხვა ნავთობპროდუქტები (ტვ)	სხვა პირველადი მყარი ბიომასა (ტვ)	ბრიკეტული სანვაი (ტვ)	საყოფაცხოვრებო სანვაი (ტვ)	ხე და ხის ნანარში (ტვ)
1990	NO	23,858.34	NO	519.96	7,225.00	NO	88.00	35,789.55	2,500.00	561.73	NO	NO	NO	24,846.00	NO
1991	NO	NO	9,856.00	4,516.00	NO	NO	88.00	64,139.00	2,425.00	430.00	NO	NO	NO	17,200.00	NO
1992	NO	NO	3,968.00	1,576.00	NO	NO	88.00	44,595.45	2,125.00	430.00	NO	NO	NO	8,000.00	NO
1993	NO	NO	3,200.00	2,044.00	NO	NO	88.00	33,198.55	900.00	430.00	NO	NO	NO	6,840.00	376.00
1994	NO	1,758.60	NO	1,343.23	204.00	NO	352.00	22,227.10	2,150.00	259.26	NO	NO	NO	4,444.00	1,128.00
1995	NO	NO	192.00	724.00	NO	NO	748.00	8,165.65	275.00	NO	NO	NO	NO	2,320.00	380.00
1996	NO	NO	NO	2,684.00	NO	NO	1,584.00	15,194.00	475.00	NO	NO	NO	NO	80.00	750.00
1997	NO	NO	NO	2,045.00	NO	NO	1,716.00	9,052.00	375.00	NO	NO	NO	NO	NO	1,000.00
1998	NO	NO	480.00	1,917.00	NO	NO	1,012.00	3,900.00	150.00	NO	NO	NO	NO	360.00	1,130.00
1999	NO	NO	NO	1,406.00	NO	NO	704.00	2,030.25	NO	NO	NO	NO	NO	280.00	1,316.00

გაზი / ქაქსიმ - ბორები	ანტრაციტი (ტვ)	სალემდე კოქსი (ტვ)	კოქსის ნახშირი (ტვ)	გაზი / დიზელის საწვავი (ტვ)	ლოგინტი (ტვ)	თხევადი აირი LPG (ტვ)	საავტომობილო ბენზინი (ტვ)	ბუნებრივი აირი (dm³) (ტვ)	სხვა ბიუტანოვანი ნახშირი (ტვ)	სხვა ნავთი (ტვ)	სხვა ნავთობპროდუქტები (ტვ)	სხვა პირველადი მყარი ბიომასა (ტვ)	ბრიკეტული საწვავი (ტვ)	საყოფაცხოვრებო საწვავი (ტვ)	ხე და ხის ნანარჩი (ტვ)
2000	NO	NO	NO	953.26	NO	NO	1,584.00	8,254.80	300.00	NO	NO	NO	NO	161.60	1,501.00
2001	NO	477.00	NO	554.00	NO	NO	NO	2,937.00	150.00	NO	NO	NO	NO	720.00	1,501.00
2002	NO	427.00	NO	639.00	NO	NO	NO	2,455.00	75.00	NO	NO	NO	NO	360.00	1,501.00
2003	NO	NO	NO	554.00	NO	NO	NO	2,788.00	150.00	NO	NO	NO	NO	400.00	1,501.00
2004	NO	NO	NO	85.00	NO	NO	NO	3,265.00	175.00	NO	NO	NO	NO	640.00	1,501.00
2005	NO	NO	NO	86.66	NO	NO	NO	3,833.10	325.00	NO	NO	NO	NO	646.40	NO
2006	NO	NO	NO	85.00	NO	NO	NO	6,223.00	200.00	NO	NO	NO	NO	640.00	NO
2007	NO	NO	NO	85.00	NO	NO	NO	6,858.00	50.00	NO	NO	NO	NO	1,120.00	NO
2008	NO	NO	NO	85.00	NO	NO	NO	7,497.00	1,125.00	NO	NO	NO	NO	1,200.00	NO
2009	NO	NO	NO	NO	NO	NO	NO	7,574.00	1,250.00	NO	NO	NO	NO	1,200.00	NO
2010	NO	2,835.35	NO	NO	1,030.88	NO	262.24	5,692.39	1,683.35	NO	NO	NO	NO	19.39	NO
2011	NO	3,778.72	NO	NO	5,141.82	NO	766.94	8,118.85	2,026.46	NO	NO	NO	NO	252.68	NO
2012	NO	3,828.19	NO	2,482.72	7,076.51	NO	376.00	8,945.86	1,892.42	21.61	NO	NO	NO	52.00	10.00
2013	218.97	4,257.68	NO	2,506.10	6,923.76	NO	375.14	6,304.80	1,760.00	8.64	NO	NO	NO	35.18	8.76
2014	76.84	3,943.68	NO	2,787.24	4,999.80	0.80	NO	6,582.90	3,058.13	0.07	NO	0.20	34.73	22.90	13.25
2015	68.40	3,180.60	NO	3,422.80	5,097.00	11.10	NO	7,508.80	2,960.30	NO	391.90	3.50	NO	11.80	31.00
2016	55.69	3,701.27	NO	3,195.90	4,349.28	1.35	NO	6,881.10	2,290.00	NO	286.90	NO	NO	20.50	63.18
2017	167.07	3,104.66	NO	3,411.79	3,807.83	NO	NO	8,116.70	3,439.50	NO	57.00	0.24	NO	40.20	46.02
2018	177.30	3,674.81	NO	3,957.00	1,960.10	3.70	NO	8,079.80	5,477.50	NO	NO	NO	NO	101.70	70.90
2019	210.40	2,941.98	NO	4,312.80	56.40	12.50	NO	8,267.80	5,937.10	NO	NO	NO	NO	6.80	46.10
2020	132.20	2,185.12	NO	3,851.70	1,423.00	6.10	NO	8,704.90	4,424.10	NO	NO	2.80	NO	27.50	36.30
2021	72.30	3,302.35	NO	4,179.20	2,548.60	6.60	NO	8,158.20	2,607.60	NO	NO	NO	NO	15.70	52.20
2022	149.60	3,003.77	NO	4,914.10	2,389.50	1.20	NO	9,436.40	3,327.80	NO	NO	NO	NO	17.80	21.80

3.2.6.3. განუზღვრელობები და დროის პეჩიოების შეთანხმებულობა

განუზღვრელობა

დროის პეჩიოების შეთანხმებულობა

საქმიანობის მონაცემებისთვის ერთი და იგივე წყაროები იქნა გამოყენებული დროის პერიოდების განმავლობაში.

3.2.6.4. კაგეგოხიისთვის დამახასიათებელი ხაზისხის უზენვედყოფა და ხაზისხის კონტროლი და შემოწმება

ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის პროცედურები ჩატარდა 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს მიხედვით. ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლი ყურადღებას ამახვილებს საქმიანობის მონაცემთა პარამეტრებისა და ემისიის ფაქტორების შემოწმებაზე და საცნობარო მასალების დაარქივებაზე. ხა-

რისხის უზრუნველყოფის პროცედურები ჩატარდა IPCC მითითებების მიხედვით და მოიცავდა სახელმძღვანელო მითითებებთან ტექსტის სტრუქტურის შესაბამისობის, სისრულის, გამჭვირვალობის და ასევე გამოთვლების, ემისიის ფაქტორებისა და მოქმედების მონაცემების სიზუსტისა და დროის ინტერვალების შესაბამისობის შემოწმებას. ხარისხის უზრუნველყოფასა და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობები პირველ თავშია შეჯამებული.

3.2.6.5. კატეგორიისთვის დამახასიათებელი განმარტებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებები, შემოწმების პროცესთან დაკავშირებული ცვლილებებისა და გაფხქვევების ტენდენციებზე გავლენის აღწერა

წინა ანგარიშის მონაცემებისათვის (1990-2017 წწ) ჩატარდა გადათვლა რამდენიმე მიზეზის გამო:

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ენერგეტიკული ბალანსში განახლდა 2013-2017 წლების მონაცემები, ასევე დაემატა 2018-2022 წლების მონაცემები.

- **კატეგორიაში 1.A.2.a** (თუჯი და ფოლადი) 2010-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.c** (ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა) 1996, 2000 - 2005, 2010-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.d** (ცელულოზა-ქაღალდი და ბეჭდვითი საქმიანობა) 2006-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.e** (საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო) 2009-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.f** (არალითონური მინერალური ნაკეთობები) 2010-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.g** (სატრანსპორტო მოწყობილობები) 2006-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.h** (მანქანა-მოწყობილობები) 2006-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.k** (მშენებლობა) 1995, 2009-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.l** (ტექსტილი და ტყავი) 1990, 1991, 1993-2000, 2006-2012 წლების ცარიელი ველების აღდგენა მოხერხდა ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- **კატეგორიაში 1.A.2.m** (მრეწველობის სხვა დარგები) საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ მოწოდებული საწვავის რაოდენობით დადგინდა,

რომ 2010-2012 წლების ემისია შეადგენდა 900-2000 CO₂ გგ, მაშინ როცა წინა წლების და შემდგომი წლების ემისიები ვარიირებდა 200-300 და 1-3 CO₂ გგ ის მიდამოებში, შესაბამისად საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს 2010-2012 წლების მონაცემები მიჩნეული იქნა არასანდოდ, და არსებული მონაცემების ჩანაცვლება მოხდა ახალი მონაცემებით ინტერპოლაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სათბურის აირების ემისიები შემდეგ სექტორებში არ იყო შეფასებული არასაკმარისი მონაცემების გამო:

- სათბურის გაზის ემისიები 1990-2000 წლებში თუჯი და ფოლადში (1.A.2.a); ცელულოზა-ქაღალდი და ბეჭდვითი საქმიანობაში (1.A.2.d); საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქოში (1.A.2.e); არალითონური მინერალური ნაკეთობებში (1.A.2.f); სატრანსპორტო მოწყობილობებში (1.A.2.g); მანქანა-მოწყობილობებში (1.A.2.h);
- ასევე სამთომოპოვებითში (1.A.2.i) (1990-2012 წლებში), ხე და ხის ნაწარმი (1.A.2.j) (1990-2012 წლებში) არ არის შეფასებული მონაცემთა უკმარისობის გამო.

გასული საუკუნის 90 იან წლებში, ქვეყნის მყიდვე და არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მოდგომარეობიდან გამომდინარე სირთულეს წარმოადგენს მონაცემების აღდგენა მრავალწლიან დროით ინტერვალზე ინტერპოლაციის არსებული მეთოდოლოგიების გამოყენებით.

ძალოვანი ტრანსფორმატორები აირადი იზოლაციით, რომლებიც საიზოლაციო
ნივთიერების სახით შეიცავენ SF6-ს, გამოიყენება 2010 წლიდან. შესაბამისად,
SF6-ის ემისიების აღრიცხვა აღნიშნული მოწყობილობების გამოყენებიდან იწყება
2010 წლიდან. სათბურის აირების ემისიები SF6-ის გამოყენებიდან ზრდის ტენდენ-
ციით ხასიათდება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში SF6-ის ემისიები ძალიან
მცირე, თითქმის უმნიშვნელოა და იზრდება 0.55-დან - 1.14 გგ CO₂-ის ეკვ.-მდე. 2022
წელს SF6-ის ემისიებმა საანგარიშო სრული პერიოდის განმავლობაში ყველაზე
მაღალ ნიშნულს მიაღწია (»1.14 გგ. CO₂-ის ეკვ.).


ელექტრო მოწყობილობების გამოყენების წყარო-კატეგორია (2G1b) სათბურის
აირების ემისიების შეფასების მიხედვით საკვანძო წყარო-კატეგორიას არ
წარმოადგენს.

ცხრილი 4-47. SF6-ის ემისიები ელექტრო მოწყობილობების მოხმარებიდან (გ. CO2-ის ეკვ.) 2001-2022 წწ.

წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC) (ტ)	SF6-ის ემისიის ფაქტორი	SF6-ის გაფრქვევა (ტ)	SF6-ის გაფრქვევა (გგ)	CO ₂ -ის ეკვ. გაფრქვევა (გგ)
1990	NA	NA	NA	NA	NA
1991	NA	NA	NA	NA	NA
1992	NA	NA	NA	NA	NA
1993	NA	NA	NA	NA	NA
1994	NA	NA	NA	NA	NA
1995	NA	NA	NA	NA	NA
1996	NA	NA	NA	NA	NA
1997	NA	NA	NA	NA	NA
1998	NA	NA	NA	NA	NA
1999	NA	NA	NA	NA	NA
2000	NA	NA	NA	NA	NA
2001	NA	NA	NA	NA	NA
2002	NA	NA	NA	NA	NA
2003	NA	NA	NA	NA	NA
2004	NA	NA	NA	NA	NA
2005	NA	NA	NA	NA	NA
2006	NA	NA	NA	NA	NA
2007	NA	NA	NA	NA	NA
2008	NA	NA	NA	NA	NA
2009	NA	NA	NA	NA	NA
2010	4.67	0.005	0.02	0.00	0.55
2011	5.27	0.005	0.03	0.00	0.62
2012	5.75	0.005	0.03	0.00	0.68
2013	5.77	0.005	0.03	0.00	0.68
2014	6.31	0.005	0.03	0.00	0.74
2015	6.69	0.005	0.03	0.00	0.79
2016	7.07	0.005	0.04	0.00	0.83
2017	7.44	0.005	0.04	0.00	0.87
2018	7.96	0.005	0.04	0.00	0.93
2019	8.47	0.005	0.04	0.00	1.00
2020	8.99	0.005	0.04	0.00	1.06

წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC) (ტ)	SF6-ის ემისიის ფაქტორი	SF6-ის გაფრქვევა (ტ)	SF6-ის გაფრქვევა (გგ)	CO ₂ -ის ეკვ. გაფრქვევა (გგ)
2021	9.50	0.005	0.05	0.00	1.12
2022	9.72	0.005	0.05	0.00	1.14

ნახაზი 4-18. SF6-ის ემისიები ელექტრო მოწყობილობების მოხმარებიდან (გ. CO₂-ის ეკვ.) 2001-2022 წწ.



4.8.1.4. მეთოდოლოგიური საკითხები

შეფასების მეთოდი

ელექტრო მოწყობილობების გამოყენებიდან SF6-ის ემისიები შეფასებულია IPCC 2006-ის „დონე 1“ მიდგომით. „დონე 1“ მეთოდის შესაბამისად, SF6-ის ემისიების გამოთვლა ელექტრო მოწყობილობების გამოყენებიდან მოიცავს წარმოების ემისიებს (ME), მოწყობილობის დამონტაჟების ემისიებს (IE), მოწყობილობის გამოყენების ემისიებს (UE) და მოწყობილობის განადგურების ემისიებს (DE) და შემდეგნაირად ხდება:

$$TE_{SF6} = ME + IE + UE + DE$$

სადაც,

TE_{SF6} – ელექტრო მოწყობილობების გამოყენებიდან SF6-ის ემისიები, ტ,

ME – მოწყობილობის წარმოების ემისიები, ტ;

IE – მოწყობილობის დამონტაჟების ემისიები, ტ;

UE – მოწყობილობის გამოყენების ემისიები, ტ;

DE – მოწყობილობის განადგურების ემისიები, ტ.

საქართველოში ME არ არის შეფასებული, რადგან ამომრთველები ქვეყანაში არ არის წარმოებული და ყველა მოწყობილობა იმპორტირებულია. დამონტაჟების ემისიები უგულვებელყოფილია, რადგან SF6 ემისიები არ ყოფილა მოწყობილობის უმეტესი ნაწილისთვის ინსტალაციისას. გარდა ამისა, საქართველოში SF6-ის

შემცველი ამომრთველების ხმარებიდან ამოღება ჯერ არ აღრიცხულა, რადგან მოწყობილობების მოქმედების ვადა აღემატება დამონტაჟებიდან გასულ პერიოდს.

ამჟამად, ელექტრო მოწყობილობის გამოყენებისას SF6-ის ემისიები წარმოიქმნება ამომრთველების გაჭოვნის, მომსახურების, შენახვისა და გაუმართაობის დროს. უმეტეს შემთხვევაში, SF6-ით ავტომატური ამომრთველებისა და ძალოვანი ტრანსფორმატორების შევსება ხორციელდება ადვილად მისადგომი კონექტორების მეშვეობით. 2006 წლის IPCC-ის მითითებების შესაბამისად, SF6 ემისიები მოწყობილობების გამოყენებიდან (UE) შეფასებულია, როგორც მოწყობილობის ემისიის ფაქტორი (IEF), გამრავლებული დამონტაჟებული მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობაზე (TNC).

$$UE = IEF \times TNC$$

სადაც,

UE – SF6 ემისიები მოწყობილობების გამოყენებიდან, ტ;

IEF – მოწყობილობის ემისიის ფაქტორი;

TNC – დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა.

ემისიის ფაქტორი

ელექტრო მოწყობილობების გამოყენების წყარო-კატეგორიიდან SF6-ის ემისიის IPCC 2006-ის „დონე 1“ მიდგომით შესაფასებლად მოწყობილობის SF6-ის ემისიის ფაქტორი (IEF) აღებულია CBIT პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაცემებიდან და შეადგენს 0.005 (განუზღვრელობა $\pm 3\%$).

საწყისი მონაცემები

საქართველოში სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე), სს ენერგო-პრო ჯორჯია და სს თელასი ფლობს SF6-ის შემცველ ავტომატური ამომრთველებსა და ძალოვან ტრანსფორმატორებს აირადი იზოლაციით. SF6-ის ემისიები ელექტრო მოწყობილობების მოხმარებიდან 2010-2022 წლებში სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე), სს ენერგო-პრო ჯორჯიასა და სს თელასიდან მიღებული მონაცემების მიხედვით არის შეფასებული. საწყისი მონაცემების განუზღვრელობა $\pm 2\%$ -ია.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში დამონტაჟებულ ელექტრო მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა წლების მიხედვით.

ცხრილი 4-48. დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (გ) 2010-2022წწ.

წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)
2010	4.67	2013	5.77	2016	7.07	2019	8.47
2011	5.27	2014	6.31	2017	7.44	2020	8.99

წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)	წელი	დამონტაჟებულ მოწყობილობაში SF6-ის საერთო რაოდენობა (TNC). (ტ)
2012	5.75	2015	6.69	2018	7.96	2021	9.50
						2022	9.72

4.8.1.5. გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოყენებულა.

4.8.1.6. განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა

განუზღვრელობის შეფასება

4.8.1.7. კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა და დადასტურება

ინვენტარიზაციის ზოგადი QC პროცედურები ჩატარდა IPCC 2006 წლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. ზოგადი ინვენტარიზაციის QC ყურადღება გამახვილებულია აქტივობის მონაცემებისა და ემისიის ფაქტორების პარამეტრების შემოწმებაზე და საცნობარო მასალების არქივზე. QA/QC პროცედურები შეჯამებულია პირველ თავში.

4.8.1.8. კატეგორიისთვის დამახასიათებელი განმარტებული და დასაბუთებული გადაანგარიშება, შემოწმების პროცესთან დაკავშირებული ცვლილებებისა და გაფრქვევების ტენდენციაზე გავლენის აღწერა

სრული საანგარიშო დროითი პერიოდისათვის (1990-2022) ელექტრო მოწყობილობების გამოყენების წყარო-კატეგორიიდან SF6-ის ემისიები შეფასებულია IPCC 2006-ის „დონე 1“ მიდგომით, ქვეყნის სპეციფიური SF6-ის ემისიის ფაქტორით (IEF). წინა ინვენტარიზაციის ანგარიში მოიცავდა საანგარიშო დროით პერიოდს (1990-2017), ხოლო სათბურის აირების ემისიები შეფასებული იყო IPCC 2006-ის „დონე 1“ მიდგომით, ეტალონური SF6-ის ემისიის ფაქტორით (IEF). დროში შესაბამისობის პრინციპის თანახმად, შეფასების მიდგომის გაუმჯობესებასთან ერთად სათბურის აირების ემისიები გადაანგარიშდა საერთო საანგარიშო დროითი პერიოდისთვის (1990-2017). SF6-ის ემისიებს შორის განსხვავება მიდგომებს შორის მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 4-49. SF6-ის ემისიებს შორის განსხვავება

წელი	IPCC 2006-ის „დონე 1“ CSEF SF6 გაფრქვევა (გგ)	IPCC 2006-ის „დონე 1“ DEF SF6 გაფრქვევა (გგ)	განსხვავება SF6 გაფრქვევა (გგ)	წელი	IPCC 2006-ის „დონე 1“ CSEF SF6 გაფრქვევა (გგ)	IPCC 2006-ის „დონე 1“ DEF SF6 გაფრქვევა (გგ)	განსხვავება SF6 გაფრქვევა (გგ)
1990	NA	NA	NA	2004	NA	NA	NA
1991	NA	NA	NA	2005	NA	NA	NA
1992	NA	NA	NA	2006	NA	NA	NA
1993	NA	NA	NA	2007	NA	NA	NA
1994	NA	NA	NA	2008	NA	NA	NA
1995	NA	NA	NA	2009	NA	NA	NA
1996	NA	NA	NA	2010	0.000023	0.000009	0.000014
1997	NA	NA	NA	2011	0.000026	0.000011	0.000016
1998	NA	NA	NA	2012	0.000029	0.000012	0.000017
1999	NA	NA	NA	2013	0.000029	0.000012	0.000017
2000	NA	NA	NA	2014	0.000032	0.000013	0.000019
2001	NA	NA	NA	2015	0.000033	0.000013	0.000020
2002	NA	NA	NA	2016	0.000035	0.000014	0.000021
2003	NA	NA	NA	2017	0.000037	0.000015	0.000022

4.8.1.9. კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემონგებისას მითითებული გაუმჯობესების შესახებ

კატეგორიის ფარგლებში სათბურის აირების გაფრქვევის შეფასების შემდგომი გაუმჯობესება დაკავშირებულია ერთიანი ეროვნული გამჭვირვალობის სისტემის ჩამოყალიბებასთან.

4.8.1.10. ელექტრო მოწყობილობების ხმარებიდან ამოღება (ესც 2G1c)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.2. სხვა პროდუქტების მოხმარებისას SF₆-ისა და PFC-ის გაფრქვევები (ესც 2G2)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.2.1. სამხედიო მოწყობილობები (ესც 2G2a)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.2.2. ამაჩქაჩებლები (ესც 2G2b)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.2.3. სხვა (ესც 2G2c)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.3. პროდუქციის მოხმარებისას N_2O -ის გაფრქვევები (ესც 2G3)

4.8.3.1. სამედიცინო/ტექნიკური მოწყობილობები (ესც 2G3a)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.3.2. პიოპედენტები დაწნევისა და აეოზოდუხი პიოდეტებში (ესც 2G3b)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.8.3.3. სხვა (ესც 2G3c)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

სხვა (ესც 2G4)

საქართველოში აღნიშნული წყარო-კატეგორია არ არსებობს.

4.9. სხვა (ესც 2H)

4.9.1. ქაღალდის წარმოება (ესც 2H1)

4.9.2. სურსათისა და სასმელების წარმოება (ესც 2H2)

4.9.3. სხვა (ესც 2H3)

თავი 5.

სოფლის მეურნეობა (ესე სექტორი 3)

5.1. სექტორის მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია

სოფლის მეურნეობა ტრადიციულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობის 40% ცხოვრობს სოფლად და დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. შესაბამისად, ეს სექტორი პრიორიტეტულია ქვეყნის ყველა სტრატეგიულ დოკუმენტში. ქართველმა ფერმერებმა უნდა შეასრულონ საკვანძო როლი საზოგადოების ფუნდამენტური საჭიროების - უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საკვების მიწოდების უზრუნველყოფაში.

საქართველოს შედარებით მცირე ფართობზე დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა სახის კლიმატია წარმოდგენილი (გარდა ეკვატორული და ტროპიკული კლიმატისა), დაწყებული დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო სუბტროპიკებით და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკებით და დამთავრებული კავკასიონის მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით.

“სოფლის მეურნეობის 2014 წლის აღწერის” მიხედვით, საქართველოში მეურნეობების 73.1% ერთ ჰექტრამდე მიწას ამუშავებდა, 25% – ერთიდან 5 ჰექტრამდე და მეურნეობების მხოლოდ 1.5% - 5 ჰექტარზე მეტ მიწას. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს 2.55 მილიონ ჰექტარს, რაც წარმოადგენს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 37%-ს (ტყეები, დაახლოებით 41%, და სხვა ფართობი, დაახლოებით 23%). სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წილები შემდეგია: ერთწლიან კულტურებს უკავია 220,300 ჰა, მრავალწლიან კულტურებს - 226,100 ჰა, და საძოვრებსა და სათიბებს - 1,776,000 ჰა. 2005-2010 წლებში სასოფლო-სამეურნეო ნათესი ფართობის რაოდენობა მკვეთრად დაეცა (დაახლოებით ორჯერ). 2022 წელს ნათესმა ფართობმა 1990 წლის დონის მხოლოდ 31% შეადგინა. საქართველოს სა-

სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მნიშვნელოვნადაა დეგრადირებული, რის შედეგადაც დაბალია მოსავლიანობა. ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად გამოიყენება სინთეტური (ქიმიური) სასუქები და ორგანული სასუქები. 1990 წლიდან მოყოლებული საქართველოში საგრძნობლად მცირდებოდა საქონლის სულადობა. 1990 წელთან შედარებით 2022 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 34%-ით შემცირდა, ცხვრის სულადობა 44%-ით, ხოლო ღორის სულადობა 83%-ით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, როგორც სათბურის აირების ემისიების წყარო, მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: ენტერული ფერმენტაცია, ნაკვლის მართვა, N₂O-ს პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიები მართვადი ნიადაგებიდან, სოფლის მეურნეობის ნარჩენების საველე წვა, მოკირიანება და შარდოვანას გამოყენება. ვინაიდან საქართველოში ბრინჯი არ მოჰყავთ, IPCC კატეგორიიდან ბრინჯის კულტივაცია სათბურის აირების ემისიები არ შეფასებულა. საქართველოში სავანა არ არსებობს, შესაბამისად IPCC-ის კატეგორია სავანის დამკვიდრებული წვა არ განიხილება.

5.1.1. სათბურის აირების ემისიების ზრენდი

სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის აირების ემისია გამოთვლილი იქნა 2018-2022 წლებისთვის და დროითი სერიების თანამიმდევრულობის უზრუნველყოფად გადათვლილი იქნა წინა, 1990-2017 წლებისთვის. შედეგები მოყვანილია 5-1, 5-2 და 5-3 ცხრილებში.

ცხრილი 5-1: სოფლის მეურნეობის საქმორიდან სათბურის აირების ემისია (გგ-ში) 1990-2022 წლებში

წელი	3.A.1 ენტერული ფერმენტაცია	3.A.2 ნაკვლის მართვა	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დანვა	სულ გგ CH ₄	3.A.2 N ₂ O პირდაპირი ემისიები ნაკვლის მართვიდან	3.C.6 N ₂ O არაპირდაპირი ემისიები ნაკვლის მართვიდან	3.C.4 პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.5 არაპირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დანვა	სულ გგ N ₂ O	3.C.3 შარდოვანას მოხმარება	სულ გგ CO ₂
1990	106.44	12.27	0.08	118.79	0.42	0.26	2.28	0.65	0.002	3.62	0.0	0.0
1991	96.63	10.87	0.07	107.57	0.37	0.24	2.00	0.57	0.002	3.17	0.0	0.0
1992	77.36	7.94	0.06	85.36	0.28	0.18	1.56	0.44	0.001	2.46	0.0	0.0
1993	68.44	6.59	0.05	75.08	0.24	0.17	1.36	0.38	0.001	2.16	0.0	0.0
1994	66.11	6.11	0.04	72.26	0.24	0.17	1.27	0.35	0.001	2.02	0.0	0.0
1995	64.99	5.66	0.03	70.68	0.23	0.17	1.33	0.36	0.001	2.10	0.0	0.0
1996	63.93	5.16	0.04	69.12	0.23	0.18	1.65	0.45	0.001	2.50	0.0	0.0
1997	63.84	5.10	0.05	68.99	0.23	0.18	1.78	0.47	0.001	2.66	0.0	0.0

წელი	3.A.1 ენერგული ფერმენტაცია	3.A.2 ნაკვალის მართვა	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გვ CH4	3.A.2 N2O პირდაპირი ემისიები ნაკვალის მართვიდან	3.C.6 N2O არაპირდაპირი ემისიები ნაკვალის მართვიდან	3.C.4 პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.5 არაპირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გვ N2O	3.C.3 შარდოვანას მოხმარება	სულ გვ CO2
1998	64.38	5.01	0.03	69.42	0.23	0.17	1.56	0.41	0.001	2.37	0.0	0.0
1999	67.80	5.26	0.06	73.12	0.25	0.18	1.81	0.48	0.001	2.72	0.0	0.0
2000	69.86	5.37	0.02	75.26	0.26	0.18	1.68	0.45	0.001	2.56	0.0	0.0
2001	69.53	5.35	0.08	74.96	0.26	0.18	1.80	0.47	0.002	2.71	0.0	0.0
2002	71.12	5.43	0.05	76.60	0.26	0.19	1.93	0.51	0.001	2.89	0.0	0.0
2003	72.22	5.59	0.05	77.86	0.27	0.19	2.01	0.53	0.001	3.00	0.0	0.0
2004	68.64	5.42	0.05	74.11	0.26	0.18	1.73	0.46	0.001	2.63	0.0	0.0
2005	68.85	5.31	0.06	74.22	0.26	0.18	1.75	0.46	0.002	2.64	0.1	0.1
2006	62.18	4.57	0.03	66.78	0.22	0.15	1.55	0.43	0.001	2.36	0.1	0.1
2007	59.95	3.79	0.05	63.79	0.19	0.14	1.36	0.37	0.001	2.06	0.1	0.1
2008	59.08	3.68	0.05	62.80	0.18	0.14	1.38	0.37	0.001	2.07	0.1	0.1
2009	56.81	3.75	0.08	60.59	0.18	0.14	1.33	0.37	0.001	2.01	0.3	0.3
2010	57.88	3.71	0.03	61.63	0.18	0.14	1.29	0.36	0.001	1.96	0.8	0.8
2011	59.22	3.78	0.06	63.07	0.18	0.14	1.32	0.35	0.002	2.00	0.2	0.2
2012	61.53	4.21	0.05	65.78	0.20	0.15	1.45	0.40	0.001	2.19	0.4	0.4
2013	66.55	4.45	0.05	71.05	0.21	0.16	1.73	0.47	0.001	2.57	0.5	0.5
2014	68.76	4.52	0.04	73.32	0.21	0.16	1.71	0.47	0.001	2.55	1.7	1.7
2015	70.76	4.71	0.07	75.54	0.22	0.17	1.79	0.48	0.002	2.66	2.7	2.7
2016	68.06	4.61	0.07	72.74	0.21	0.16	1.70	0.46	0.002	2.53	1.7	1.7
2017	63.97	4.35	0.06	68.39	0.20	0.15	1.48	0.41	0.002	2.24	1.9	1.9
2018	61.26	4.18	0.07	65.51	0.19	0.15	1.43	0.39	0.002	2.16	2.5	2.5
2019	61.04	4.32	0.07	65.43	0.19	0.15	1.34	0.37	0.002	2.05	2.7	2.7
2020	64.41	4.58	0.06	69.05	0.20	0.16	1.51	0.41	0.002	2.28	4.8	4.8
2021	64.17	4.53	0.08	68.78	0.20	0.15	1.51	0.41	0.002	2.27	3.1	3.1
2022	58.90	4.22	0.08	63.20	0.18	0.14	1.34	0.36	0.002	2.02	3.9	3.9

**ცხრილი 5-2: სოფლის მეურნეობის სექტორიდან სატბურის აირების ემისია (გვ
CO2-ეკვ) 1990-2022 წლებში**

წელი	3.A.1 ენტერული ფერმენტაცია	3.A.2 ნაკვალის მართვა	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დანვა	სულ CH4	3.A.2 N2O პირდაპირი ემისიები ნაკვალის მართვიდან	3.C.6 N2O არაპირდაპირი ემისიები ნაკვალის მართვიდან	3.C.4 პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.5 არაპირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.1.ხ სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დანვა	სულ N2O	3.C.3 მარდოვანას მოხმარება	სულ CO2	სულ გვ CO2-ეკვ
1990	2,980.4	343.5	2.2	3,326.1	110.7	70.1	605.5	171.1	0.5	958.0	0.0	0.0	4,284.2
1991	2,705.6	304.4	1.9	3,011.9	97.8	63.4	529.6	150.0	0.5	841.3	0.0	0.0	3,853.2
1992	2,166.2	222.3	1.6	2,390.1	73.9	48.2	412.5	115.9	0.4	650.9	0.0	0.0	3,041.0
1993	1,916.2	184.6	1.3	2,102.2	64.1	44.3	360.9	101.7	0.3	571.3	0.0	0.0	2,673.5
1994	1,851.0	171.2	1.1	2,023.2	62.7	44.6	335.4	91.7	0.3	534.7	0.0	0.0	2,557.9
1995	1,819.7	158.5	0.9	1,979.2	61.9	45.9	352.3	96.0	0.2	556.3	0.0	0.0	2,535.5
1996	1,790.0	144.4	1.0	1,935.4	60.8	46.8	436.4	119.2	0.3	663.5	0.0	0.0	2,598.9
1997	1,787.5	142.8	1.3	1,931.6	60.8	47.5	471.1	125.5	0.3	705.2	0.0	0.0	2,636.8
1998	1,802.6	140.3	0.8	1,943.8	61.5	44.3	412.4	109.7	0.2	628.1	0.0	0.0	2,571.9
1999	1,898.5	147.4	1.6	2,047.4	65.7	47.0	480.8	127.4	0.4	721.2	0.0	0.0	2,768.6
2000	1,956.2	150.5	0.6	2,107.3	68.1	48.3	444.0	118.7	0.2	679.3	0.0	0.0	2,786.6
2001	1,947.0	149.7	2.2	2,098.9	68.0	48.4	476.8	124.2	0.5	718.1	0.0	0.0	2,817.0
2002	1,991.3	152.2	1.4	2,144.8	69.2	49.5	511.2	136.2	0.3	766.4	0.0	0.0	2,911.2
2003	2,022.2	156.5	1.5	2,180.2	71.0	50.4	532.2	141.4	0.4	795.4	0.0	0.0	2,975.6
2004	1,921.9	151.8	1.4	2,075.1	68.9	48.5	458.1	121.8	0.3	697.6	0.0	0.0	2,772.8
2005	1,927.8	148.6	1.6	2,078.1	67.6	47.0	462.7	121.0	0.4	698.7	0.1	0.1	2,776.8
2006	1,741.0	127.8	1.0	1,869.8	58.5	41.0	410.0	114.8	0.2	624.5	0.1	0.1	2,494.4
2007	1,678.7	106.1	1.4	1,786.1	49.1	38.0	359.7	97.6	0.3	544.8	0.1	0.1	2,331.0
2008	1,654.2	102.9	1.4	1,758.5	47.5	37.6	365.0	98.8	0.3	549.3	0.1	0.1	2,307.9
2009	1,590.8	104.9	2.2	1,697.8	47.3	36.7	352.2	97.0	0.2	533.4	0.3	0.3	2,231.4
2010	1,620.7	104.0	0.8	1,725.5	47.1	37.0	340.9	94.6	0.2	519.8	0.8	0.8	2,246.1
2011	1,658.3	105.9	1.7	1,765.9	47.6	37.6	350.5	93.8	0.4	530.0	0.2	0.2	2,296.0
2012	1,722.8	117.7	1.4	1,842.0	52.3	39.3	384.3	105.0	0.3	581.2	0.4	0.4	2,423.5
2013	1,863.3	124.5	1.4	1,989.3	55.4	42.2	458.0	124.6	0.4	680.5	0.5	0.5	2,670.2
2014	1,925.3	126.5	1.1	2,052.9	56.1	43.0	454.0	123.4	0.3	676.7	1.7	1.7	2,731.3
2015	1,981.2	131.9	2.1	2,115.2	57.3	44.8	473.3	127.8	0.5	703.7	2.7	2.7	2,821.5
2016	1,905.7	129.1	2.1	2,036.8	54.6	42.8	450.2	122.6	0.5	670.7	1.7	1.7	2,709.2
2017	1,791.2	121.9	1.8	1,914.9	52.2	40.6	393.1	108.4	0.4	594.7	1.9	1.9	2,511.5
2018	1,715.3	117.1	2.0	1,834.4	50.7	39.0	379.3	104.2	0.5	573.7	2.5	2.5	2,410.6
2019	1,709.2	121.1	1.9	1,832.1	50.4	39.1	355.5	96.7	0.5	542.2	2.7	2.7	2,377.1
2020	1,803.4	128.3	1.8	1,933.5	52.9	41.2	399.6	108.8	0.4	603.0	4.8	4.8	2,541.3
2021	1,796.9	126.7	2.2	1,925.8	52.1	40.4	399.3	108.6	0.5	600.9	3.1	3.1	2,529.8
2022	1,649.3	118.0	2.3	1,769.7	48.4	37.2	353.9	96.4	0.6	536.5	3.9	3.9	2,310.1

სოფლის მეურნეობის სექტორიდან და ამ სექტორის ქვეკატეგორიებიდან ემისიების წილი ქვეყნის ეროვნულ ემისიებში მოცემულია ცხრილი 5.3-ში. ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ ამ სექტორში მეთანის ყველაზე დიდი წყაროა „მეთანის ემისიები ნაწლავური ფერმენტაციიდან“, ხოლო აზოტის ქვეჟანგის ყველაზე დიდი წყარო - „პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან“.

ამ ცხრილის მიხედვით 1990-2022 წლებში მეთანის წილი მერყეობდა 73.3-79.1 პროცენტის ფარგლებში, ხოლო აზოტის ქვეჟანგის წილი 20.8-26.7 პროცენტის ფარგლებში. წინა ინვენტარიზაციაში (კლიმატის ცვლილების კონვენციისადმი საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში) მეთანის წილი 43-54 პროცენტის ფარგლებში იყო, ხოლო აზოტის ქვეჟანგის წილი 46-57 პროცენტის ფარგლებში. ასეთი დიდი განსხვავება ძირითადად გამოწვეულია გლობალური დათბობის პოტენციალის (GWP) განსხვავებული მნიშვნელობების გამოყენებით.

ცხრილი. 5-3: სატბურის პირებისა და ქვეკატეგორიების წილი სოფლის მეურნეობის საქმორუდ ემისიებში (%)

წელი	3.A.1 ენტერული ფერმენტაცია	3.A.2 ნაკვლის მართვა	3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გზ CH ₄	3.A.2 N ₂ O პირდაპირი ემისიები ნაკვლის მართვიდან	3.C.6 N ₂ O არაპირდაპირი ემისიები ნაკვლის მართვიდან	3.C.4 პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.5 არაპირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გზ N ₂ O	3.C.3 მარდოვანას მოხმარება	სულ CO ₂	სულ
1990	69.6	8.0	0.1	77.6	2.6	1.6	14.1	4.0	0.013	22.4	0.000	0.000	100
1991	70.2	7.9	0.0	78.2	2.5	1.6	13.7	3.9	0.012	21.8	0.000	0.000	100
1992	71.2	7.3	0.1	78.6	2.4	1.6	13.6	3.8	0.013	21.4	0.000	0.000	100
1993	71.7	6.9	0.0	78.6	2.4	1.7	13.5	3.8	0.012	21.4	0.000	0.000	100
1994	72.4	6.7	0.0	79.1	2.5	1.7	13.1	3.6	0.010	20.9	0.000	0.000	100
1995	71.8	6.3	0.0	78.1	2.4	1.8	13.9	3.8	0.009	21.9	0.000	0.000	100
1996	68.9	5.6	0.0	74.5	2.3	1.8	16.8	4.6	0.010	25.5	0.000	0.000	100
1997	67.8	5.4	0.1	73.3	2.3	1.8	17.9	4.8	0.012	26.7	0.000	0.000	100
1998	70.1	5.5	0.0	75.6	2.4	1.7	16.0	4.3	0.008	24.4	0.000	0.000	100
1999	68.6	5.3	0.1	74.0	2.4	1.7	17.4	4.6	0.014	26.0	0.000	0.000	100
2000	70.2	5.4	0.0	75.6	2.4	1.7	15.9	4.3	0.006	24.4	0.000	0.000	100
2001	69.1	5.3	0.1	74.5	2.4	1.7	16.9	4.4	0.019	25.5	0.000	0.000	100
2002	68.4	5.2	0.0	73.7	2.4	1.7	17.6	4.7	0.012	26.3	0.000	0.000	100
2003	68.0	5.3	0.1	73.3	2.4	1.7	17.9	4.8	0.012	26.7	0.000	0.000	100
2004	69.3	5.5	0.1	74.8	2.5	1.7	16.5	4.4	0.013	25.2	0.000	0.000	100
2005	69.4	5.4	0.1	74.8	2.4	1.7	16.7	4.4	0.014	25.2	0.003	0.003	100
2006	69.8	5.1	0.0	75.0	2.3	1.6	16.4	4.6	0.010	25.0	0.006	0.006	100

წელი	3.A.1 ენტერული ფერმენტაცია	3.A.2 ნაკელის მართვა	3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გვ CH ₄	3.A.2 პირდაპირი ემისიები ნაკელის მართვიდან	3.C.6 N ₂ O არაპირდაპირი ემისიები ნაკელის მართვიდან	3.C.4 პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.5 არაპირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან	3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა	სულ გვ N ₂ O	3.C.3 შარდოვანას მოხმარება	სულ CO ₂	სულ
2007	72.0	4.6	0.1	76.6	2.1	1.6	15.4	4.2	0.014	23.4	0.004	0.004	100
2008	71.7	4.5	0.1	76.2	2.1	1.6	15.8	4.3	0.015	23.8	0.004	0.004	100
2009	71.3	4.7	0.1	76.1	2.1	1.6	15.8	4.3	0.010	23.9	0.012	0.012	100
2010	72.2	4.6	0.0	76.8	2.1	1.6	15.2	4.2	0.009	23.1	0.036	0.036	100
2011	72.2	4.6	0.1	76.9	2.1	1.6	15.3	4.1	0.018	23.1	0.007	0.007	100
2012	71.1	4.9	0.1	76.0	2.2	1.6	15.9	4.3	0.014	24.0	0.015	0.015	100
2013	69.8	4.7	0.1	74.5	2.1	1.6	17.2	4.7	0.013	25.5	0.018	0.018	100
2014	70.5	4.6	0.0	75.2	2.1	1.6	16.6	4.5	0.010	24.8	0.062	0.062	100
2015	70.2	4.7	0.1	75.0	2.0	1.6	16.8	4.5	0.018	24.9	0.095	0.095	100
2016	70.3	4.8	0.1	75.2	2.0	1.6	16.6	4.5	0.019	24.8	0.061	0.061	100
2017	71.3	4.9	0.1	76.2	2.1	1.6	15.7	4.3	0.017	23.7	0.076	0.076	100
2018	71.2	4.9	0.1	76.1	2.1	1.6	15.7	4.3	0.021	23.8	0.103	0.103	100
2019	73.5	4.9	0.1	78.4	2.1	1.7	13.9	3.7	0.017	21.4	0.101	0.101	100
2020	71.7	4.9	0.1	76.6	2.1	1.7	15.3	4.1	0.016	23.2	0.182	0.182	100
2021	71.3	4.9	0.1	76.3	2.1	1.6	15.6	4.3	0.021	23.6	0.123	0.123	100
2022	72.1	4.9	0.1	77.1	2.1	1.6	14.9	4.1	0.024	22.8	0.165	0.165	100

5.1.2. მეთოდოლოგიური ღონეები

საკვანძო კატეგორიების ანალიზის შედეგები მოყვანილია ამ ანგარიშში. ცხრილი 5.4-ში მოყვანილია საკვანძო კატეგორიები სოფლის მეურნეობის სექტორიდან.

ემისიები ქვეკატეგორიებიდან 3.A.1 ენტერული ფერმენტაცია, 3.A.2 ნაკელის მართვა, 3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა, 3.C.3 შარდოვანას გამოყენება, 3.C.4 N₂O-ს პირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან, 3.C.5 N₂O-ს არაპირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან, 3.C.6 არაპირდაპირი N₂O ემისიები ნაკელის მართვიდან შეფასებული იყო როგორც დონე 1 მეთოდოლოგიური მიდგომისა და ემისიის ფაქტორების ტიპური მნიშვნელობების გამოყენებით, ასევე საკვანძო კატეგორიებისთვის დონე 2 მეთოდოლოგიური მიდგომისა და ქვეყნის სპეციფიკური (ეროვნული) ემისიის ფაქტორების გამოყენებით. კატეგორიების მიხედვით ემისიების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდების მოკლე აღწერა მოცემულია ცხრილ 5-4-ში. უფრო დეტალური აღწერა ხელმისაწვდომია 5.2-5.8 ქვეთავებში.

**ცხრილი 5-4: სოფლის მეურნეობის სეზონური სათბურის აირების ემისიების
გამოთვლისას გამოყენებული მეთოდები და ემისიის ფაქტორები**

წყარო-კატეგორია	CO ₂		CH ₄		N ₂ O	
	მეთოდი	EF	მეთოდი	EF	მეთოდი	EF
3.A.1 ენტერული ფერმენტაცია			T1, T2	CS, D		
3.A.2 ნაკელის მართვა			T2	CS		
3.C.1.b სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა			T1	D	T1	D
3.A.2 N ₂ O-ს პირდაპირი ემისია ნაკელის მართვიდან					T2	CS
3.C.6 N ₂ O-ს არაპირდაპირი ემისია ნაკელის მართვიდან					T1, T2	D, CS
3.C.4 N ₂ O-ს პირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან					T1	D
სინთეტიკური N სასუქები					T1	D
ნიადაგში შეტანილი ორგანული N სასუქი					T1	D
ემისიები საძოვებებზე გამოყოფილი ცხოველების ნაკვდიდან					T1	D
მოსავლის ნახჩენების დჰობა					T1	D
3.C.5 N ₂ O-ს არაპირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან					T1	D
N ₂ O-ს ემისია მაჩთული ნიადაგებიდან აქტიური აზოტის დალექვიდან					T1	D
N ₂ O ემისიები აზოტის გამოტუტვა და ჩახეცხვიდან					T1	D
3.C.3 შარდოვანას მოხმარება	T1	D				

EF – ემისიის ფაქტორი, T1 – დონე 1; T2 – დონე 2; CS – ეროვნული EF; D – ტიპური EF

5.1.3. განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

5.1.4. კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ყველა კატეგორიისთვის ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისას კატეგორიების შესატყვის ცხრილებში გამოვლენილი შეცდომების გასწორების შედეგად შემოქმედებულ 5-1 და 5-2 ცხრილებში, ასევე ცხრილი 5-5-ში მოხდა ცვლილება. გარდა ამისა, კატეგორიების კოდები შესაბამისობაში მოვიდა 2006 წლის ანგარიშგების სახელმძღვანელოსთან.

5.1.5. კაზემორიისთვის დამახასიათებელი განმარტებული და დასაბუთებული გა- დაანგარიშება, შემონახვის პროცესთან დაკავშირებული ცვლილებებისა და გაფრქვევების გენდენციაზე გავლენის აღწერა

სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის აირების ემისიები ხელახლა გა-
მოითვალა 1990-2017 წლებში საქმიანობის განახლებული მონაცემებისა (საქა-
რთველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაციები
და სხვა შესაბამისი პუბლიკაციები ამ სფეროში, ასევე ექსპერტული შეფასებები)
და განახლებული ეროვნული ემისიის ფაქტორების გამოყენებით, ასევე გლობა-
ლური დათბობის პოტენციალის განსხვავებული მნიშვნელობების გამოყენებით.
წინა ინვენტარიზაციის ციკლში (კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადი
საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში/Fourth National
Communication-FNC) დაფიქსირებულ შედეგებთან შედარებით 1990-2017 წლე-
ბისთვის გადაანგარიშებით გამოვლინდა სათბურის აირების პირდაპირი ემისიე-
ბის კლების ტენდენცია (ცხრილი 5-5). კონკრეტული კატეგორიებისთვის გადაანგა-
რიშებული მნიშვნელობები მოცემულია შესაბამის ქვეთავებში.

ცხრილი 5.5: გადათვლილი ემისიების (გვ CO₂-ეკვ-ებში) შედარება მეოთხე
ეროვნულ შეტყობინებაში მოყვანილ შესაფუძვს სიდიდეებთან

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
NC4, გვ CO ₂ -ეკვ	4,102	3,713	3,079	2,831	2,683	2,805	3,344	3,526	3,184	3,560	3,317	3,474	3,719	3,833
NC5, გვ CO ₂ -ეკვ	4,284	3,853	3,041	2,673	2,558	2,535	2,599	2,637	2,572	2,769	2,787	2,817	2,911	2,976
სხვაობა, %	4.4	3.8	-1.2	-5.6	-4.7	-9.6	-22.3	-25.2	-19.2	-22.2	-16.0	-18.9	-21.7	-22.4
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
NC4, გვ CO ₂ -ეკვ	3,436	3,461	3,329	3,022	3,132	3,061	3,055	2,981	3,223	3,582	3,633	3,745	3,798	3,488
NC5, გვ CO ₂ -ეკვ	2,773	2,777	2,494	2,331	2,308	2,230	2,246	2,296	2,424	2,670	2,731	2,822	2,709	2,511
სხვაობა, %	-19.3	-19.8	-25.1	-22.9	-26.3	-27.1	-26.5	-23.0	-24.8	-25.5	-24.8	-24.7	-28.7	-28.0

5.1.6. კაზემორიასთან დაკავშირებული დამატებითი გაუმჯობესება, მათ შორის შემონახვისას მიითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

ქვეკატეგორიებისთვის დაგეგმილი გაუმჯობესება აღწერილია შესაბამის
ქვეთავებში.

5.1.7. სისრულის შეფასება

სათბურის აირების ემისიების ამჟამინდელი ინვენტარიზაცია მოიცავს ემისიებს
წყაროების 7 კატეგორიიდან: 3.A.1 ენტერული ფერმენტაცია, 3.A.2 ნაკელის მართვა,
3.C.4 N₂O-ს პირდაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან, 3.C.5 N₂O-ს არაპირ-
დაპირი ემისიები მართული ნიადაგებიდან, 3.C.6 N₂O-ს არაპირდაპირი ემისიები
ნაკელის მართვიდან, 3.C.1.b სახნავ-სათეს ნიადაგებზე ბიომასის დაწვა და 3.C.3
შარდოვანას მოხმარება.

**ცხრილი 5.6: სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის აირების ემისიების
სისრულის შეფასება**

№	IPCC კატეგორიის კოდი	კატეგორია	CO ₂	CH ₄	N ₂ O
1	3.A.1	ენტერული ფერმენტაცია		X	
2	3.A.2	ნაკელის მართვა		X	X
3	3.C.6	ბრინჯის კულტივირება	არ ხდება - NO		
4	3.C.4	N ₂ O პირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან			X
5	3.C.5	N ₂ O არაპირდაპირი ემისია მართული ნიადაგებიდან			X
6	3.C.6	N ₂ O არაპირდაპირი ემისია ნაკელის მართვიდან			X
7	3.C.1.b	სახნავ-სათეს ნიადაგებზე ბიომასის დაწვა		X	X
8	3.C.2	მოკირიანება	არ შეფასებულა - NE		
9	3.C.3	შარდოვანას შეტანა	X		

5.2. საქონელი (3.A)

მეცხოველეობა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და დღესაც უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. ამ მოსაზრებას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში არ არსებობს შინაური ცხოველის არც ერთი სახეობა, რომელიც არ იყოს წარმოდგენილი ადგილობრივი, მათ შორის ენდემური ჯიშებით. ეს კატეგორია მოიცავს მეთანის ემისიას ენტერული ფერმენტაციიდან და მეთანისა და აზოტის ქვეჟანგის ემისიებს ნაკელის მართვიდან.

5.2.1. ენტერული ფერმენტაცია (3.A.1)

ეროვნულ ინვენტარიზაციაში ენტერული ფერმენტაცია მოიცავს შემდეგ წყაროებს: სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მრპ), სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, კამეჩები, ცხვრები, თხები, ცხენები, ვირები და ღორები. აქლემები და ჯორები არ არის დამახასიათებელი საქართველოსათვის. „ენტერული ფერმენტაციის“ ემისიები 1990–2022 წლებში ვარიირებდა ძირითადად საქონლის სულადობის შესაბამისად. ენტერული ფერმენტაციიდან მეთანის ემისია გგ-ში მოყვანილია ცხრილი 5–7–ში.

ცხრილი 5.7: მეთანის ემისია (გგ-ში) საქონელში ენგურული ფარმენტაციიდან

წელი	3.A.1.a.i სარძეო მრგ	კაკასიური წაბლა	ქათმული მთის	მეფხელი წითელი	3.A.1.a.ii სხვა მრგ	3.A.1.b კამეჩები	3.A.1.c ცხვრები	3.A.1.d თხები	3.A.2.f ცხენები	3.A.1.g კირები	3.A.1.h ღორები	სულ გგ CH ₄	სულ გგ CO ₂ -ეკვ
1990	47.68	39.62	4.98	2.62	47.22	2.18	7.75	0.34	0.35	0.03	0.88	106.44	2,980
1991	42.01	35.24	5.72	3.41	44.37	1.81	7.06	0.29	0.33	0.03	0.73	96.63	2,706
1992	29.11	31.43	5.46	3.25	40.14	1.35	5.73	0.23	0.30	0.03	0.48	77.36	2,166
1993	21.54	30.96	5.75	3.41	40.12	1.22	4.60	0.19	0.35	0.05	0.37	68.44	1,916
1994	16.37	33.24	6.59	3.91	43.74	1.22	3.77	0.20	0.39	0.06	0.37	66.11	1,851
1995	11.19	35.99	7.61	4.50	48.10	1.23	3.37	0.25	0.43	0.06	0.35	64.99	1,820
1996	5.68	38.91	8.76	5.17	52.84	1.25	3.00	0.26	0.47	0.08	0.33	63.93	1,790
1997	4.59	39.23	9.39	5.54	54.16	1.25	2.62	0.30	0.50	0.09	0.33	63.84	1,787
1998	3.47	39.66	10.10	5.95	55.70	1.25	2.61	0.33	0.55	0.10	0.37	64.38	1,803
1999	2.40	41.83	11.31	6.65	59.79	1.31	2.77	0.40	0.61	0.11	0.41	67.80	1,898
2000	1.14	43.31	12.43	7.31	63.05	1.34	2.73	0.40	0.63	0.11	0.44	69.86	1,956
2001	0.69	42.46	12.94	7.59	62.99	1.31	2.84	0.46	0.69	0.10	0.45	69.53	1,947
2002	0.50	42.66	13.79	8.09	64.54	1.33	3.06	0.44	0.69	0.11	0.45	71.12	1,991
2003	0.43	42.42	14.55	8.52	65.50	1.33	3.14	0.47	0.77	0.12	0.47	72.22	2,022
2004	0.32	39.11	14.23	8.33	61.67	1.23	3.45	0.58	0.78	0.13	0.48	68.64	1,922
2005	0.31	38.39	14.82	8.66	61.88	1.21	3.60	0.48	0.80	0.13	0.46	68.85	1,928
2006	0.22	33.81	13.84	8.09	55.75	1.07	3.48	0.46	0.77	0.08	0.34	62.18	1,741
2007	0.41	31.75	13.79	8.05	53.59	1.01	3.56	0.43	0.76	0.09	0.11	59.95	1,679
2008	0.20	30.71	14.16	8.26	53.12	0.98	3.45	0.40	0.76	0.08	0.09	59.08	1,654
2009	0.69	28.68	14.04	8.18	50.90	0.93	3.01	0.36	0.72	0.07	0.14	56.81	1,591
2010	0.31	28.76	14.96	8.71	52.43	0.94	2.98	0.29	0.72	0.11	0.11	57.88	1,621
2011	0.32	28.75	15.90	9.26	53.91	0.94	2.88	0.27	0.72	0.08	0.11	59.22	1,658
2012	0.44	28.72	16.90	9.83	55.45	0.95	3.44	0.27	0.72	0.06	0.20	61.53	1,723
2013	0.24	30.16	18.89	10.98	60.03	1.00	3.98	0.30	0.72	0.08	0.19	66.55	1,863
2014	0.37	30.04	20.06	11.66	61.77	1.06	4.33	0.27	0.72	0.07	0.17	68.76	1,925
2015	1.03	29.73	21.19	12.31	63.22	1.06	4.21	0.25	0.72	0.10	0.16	70.76	1,981
2016	1.00	27.39	20.87	12.12	60.37	1.04	4.38	0.30	0.73	0.10	0.14	68.06	1,906
2017	0.94	24.69	20.14	11.69	56.51	1.01	4.28	0.26	0.72	0.10	0.15	63.97	1,791
2018	0.80	22.72	19.88	11.53	54.13	1.02	4.10	0.25	0.71	0.10	0.16	61.26	1,715
2019	2.25	21.07	19.81	11.49	52.37	1.01	4.21	0.25	0.70	0.10	0.16	61.04	1,709
2020	2.40	21.27	21.55	12.49	55.31	1.01	4.48	0.25	0.70	0.10	0.17	64.41	1,803
2021	2.52	20.13	22.02	12.76	54.91	1.01	4.52	0.26	0.70	0.10	0.15	64.17	1,797
2022	2.54	17.36	20.58	11.92	49.85	1.00	4.32	0.25	0.70	0.10	0.15	58.90	1,649

5.2.1.1. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3.A.1.a)

საქართველოში მესაქონლეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის სოფლის მოსახლეობის მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენს. საქართველოში გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მრპ) საკმაოდ დაბალი პროდუქტიულობის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობას ერთი ძროხა მაინც ჰყავს. საქართველოში ძროხის რძის საშუალო წლიური მონაწველი 1000 კგ-ს შეადგენს, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებში (ისრაელი, აშშ, ნიდერლანდები და სხვ.) მონაწველი 9,000-11,000 კგ-ია. ამ ქვეკატეგორიის ფარგლებში განიხილება ორი წყარო: სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და „სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (მრპ)“. სარძეო მრპ გამოყვანილია დიდი რაოდენობით რძის წარმოებისთვის, რისგანაც რძის პროდუქტები მზადდება. IPCC დოკუმენტის ანგაჩიშგების სახელმძღვანელო და ცხილები“ მიხედვით (2006 IPCC, თავი 8), სარძეო მრპ-ს განეკუთვნება პირუტყვი, რომლის რძე იწარმოება კომერციული მიზნებისთვის და ხბოები და დეკულები, რომლებიც გამიზნულია მერძევეობის მიზნებისთვის. „სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი“ ეხება ყველა არასარძეო პირუტყვს, მათ შორის ხორცის წარმოებისთვის მოშენებულ პირუტყვს (სახორცე პირუტყვი), მზიდველ და სანაშენე ცხოველებს, ასევე მრავალფუნქციურ მრპ-ს და ხარებს. მრავალფუნქციური ჯიშები გამოიყენება როგორც რძის, ასევე ხორცის მისაღებად.

ცხრილი 5-8-ში მოყვანილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და განაწილება ჯიშების მიხედვით 1990-2022 წლებში.

ცხრილი 5-8: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (ათასი სული) და განაწილება ჯიშების მიხედვით

წელი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშები					სულ
	სარძეო	ქართული მთის	მეგრული წითელი	კავკასიური წაბლა	„სხვა მრპ“	
1990	481.6	138.3	57.8	580.8	776.9	1,258.6
1991	424.4	158.7	75.4	516.6	750.6	1,175.0
1992	294.0	151.6	71.8	460.7	684.1	978.1
1993	217.5	159.6	75.5	453.8	688.9	906.4
1994	165.4	182.9	86.3	487.3	756.5	921.9
1995	113.0	211.1	99.5	527.6	838.2	951.2
1996	57.4	243.0	114.3	570.5	927.8	985.2
1997	46.4	260.6	122.4	575.0	958.1	1,004.5
1998	35.1	280.2	131.4	581.4	993.0	1,028.1
1999	24.2	313.9	147.0	613.2	1,074.1	1,098.3
2000	11.5	345.1	161.5	634.9	1,141.5	1,153.0
2001	6.9	359.1	167.8	622.4	1,149.4	1,156.3
2002	5.1	382.8	178.7	625.3	1,186.8	1,191.9
2003	4.3	403.8	188.4	621.9	1,214.1	1,218.4
2004	3.3	394.9	184.0	573.4	1,152.3	1,155.6

წელი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშები					სულ
	სარძეო	ქართული მთის	მეგრული წითელი	კავკასიური წაბლა	„სხვა მრკ“	
2005	3.1	411.2	191.5	562.8	1,165.5	1,168.6
2006	2.3	384.2	178.7	495.7	1,058.6	1,060.9
2007	4.1	382.7	177.9	465.4	1,026.0	1,030.1
2008	2.1	392.9	182.5	450.1	1,025.5	1,027.6
2009	7.0	389.6	180.8	420.4	990.8	997.8
2010	3.1	415.1	192.6	421.6	1,029.3	1,032.4
2011	3.2	441.2	204.5	421.5	1,067.3	1,070.5
2012	4.4	468.9	217.2	421.0	1,107.2	1,111.6
2013	2.4	524.3	242.7	442.1	1,209.1	1,211.5
2014	3.8	556.8	257.7	440.4	1,254.9	1,258.7
2015	10.4	588.0	272.0	435.8	1,295.8	1,306.2
2016	10.1	579.1	267.7	401.5	1,248.4	1,258.5
2017	9.5	558.9	258.2	361.9	1,179.0	1,188.5
2018	8.0	551.7	254.8	333.1	1,139.6	1,147.6
2019	22.7	549.8	253.8	308.9	1,112.5	1,135.2
2020	24.2	598.0	275.9	311.9	1,185.8	1,210.0
2021	25.5	611.2	281.9	295.1	1,188.3	1,213.8
2022	25.6	571.1	263.3	254.4	1,088.8	1,114.5

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ენეტერული ფერმენტაციის შედეგად მეთანის ემისია მოყვანილია ცხრილი 5-9-ში. მეთანის ემისია მნიშვნელოვნად იცვლება წლიდან წლამდე რაც გამოწვეულია პირუტყვის სულადობასა და ჯიშების მიხედვით განაწილებაში ცვლილების გამო.

ცხრილი 5-9: მეთანის ემისია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ენეტერული ფერმენტაციიდან

წელი	3.A.1.a.i სარძეო ჯიშის მრკ	კავკასიური წაბლა	ქართული მთის	მეგრული წითელი	3.A.1.a.ii სხვა მრკ	სულ მრკ	
	გგ CH ₄						გგ CO ₂ -eq
1990	47.68	39.62	4.98	2.62	47.22	94.90	2,657
1991	42.01	35.24	5.72	3.41	44.37	86.38	2,419
1992	29.11	31.43	5.46	3.25	40.14	69.25	1,939
1993	21.54	30.96	5.75	3.41	40.12	61.66	1,726

წელი	3.A.1.a.i სარძეო ჯიშის მრპ	კავკასიური წაბლა	ქართული მთის	მეგხედი წითელი	3.A.1.a.ii სხვა მრპ	სულ მრპ	
	გგ CH ₄						გგ CO ₂ -eq
1994	16.37	33.24	6.59	3.91	43.74	60.11	1,683
1995	11.19	35.99	7.61	4.50	48.10	59.29	1,660
1996	5.68	38.91	8.76	5.17	52.84	58.53	1,639
1997	4.59	39.23	9.39	5.54	54.16	58.75	1,645
1998	3.47	39.66	10.10	5.95	55.70	59.18	1,657
1999	2.40	41.83	11.31	6.65	59.79	62.19	1,741
2000	1.14	43.31	12.43	7.31	63.05	64.19	1,797
2001	0.69	42.46	12.94	7.59	62.99	63.68	1,783
2002	0.50	42.66	13.79	8.09	64.54	65.04	1,821
2003	0.43	42.42	14.55	8.52	65.50	65.92	1,846
2004	0.32	39.11	14.23	8.33	61.67	61.99	1,736
2005	0.31	38.39	14.82	8.66	61.88	62.18	1,741
2006	0.22	33.81	13.84	8.09	55.75	55.97	1,567
2007	0.41	31.75	13.79	8.05	53.59	53.99	1,512
2008	0.20	30.71	14.16	8.26	53.12	53.33	1,493
2009	0.69	28.68	14.04	8.18	50.90	51.59	1,444
2010	0.31	28.76	14.96	8.71	52.43	52.74	1,477
2011	0.32	28.75	15.90	9.26	53.91	54.23	1,518
2012	0.44	28.72	16.90	9.83	55.45	55.89	1,565
2013	0.24	30.16	18.89	10.98	60.03	60.27	1,688
2014	0.37	30.04	20.06	11.66	61.77	62.14	1,740
2015	1.03	29.73	21.19	12.31	63.22	64.26	1,799
2016	1.00	27.39	20.87	12.12	60.37	61.37	1,718
2017	0.94	24.69	20.14	11.69	56.51	57.45	1,609
2018	0.80	22.72	19.88	11.53	54.13	54.93	1,538
2019	2.25	21.07	19.81	11.49	52.37	54.62	1,529
2020	2.40	21.27	21.55	12.49	55.31	57.70	1,616
2021	2.52	20.13	22.02	12.76	54.91	57.44	1,608
2022	2.54	17.36	20.58	11.92	49.85	52.39	1,467

5.2.1.1.1. სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3.A.1.a.i)

წყარო-კატეგორიის აღწერა

სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი საქართველოში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საწარმოებშია მოშენებული. 1990 წელს ამ საწარმოებში სარძეო ჯიშის პირუტყვის პოპულაცია/სულადობა ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი პოპულაციის/ სულადობის 33.7%-ს შეადგენდა. 1990 წლიდან სსრკ-ს დაშლის შემდეგ სარძეო ჯიშის პირუტყვის წილი სწრაფად შემცირდა და 1996 წელს მხოლოდ 5.1% შეადგინა. ბოლო (2019-2022 წლებში მათი წილი 2%-ის ფარგლებში მერყეობდა.

სარძეო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან მეთანის ემისია მოყვანილია ცხრილი 5-10-ში.

ცხრილი 5-10: სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან მეთანის ემისია (გგ) 1990-2006 წლებში (ღონე 1)

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
CH ₄ ემისია	47.68	42.01	29.11	21.54	16.37	11.19	5.68	4.59	3.47	2.40	1.14	0.69	0.50	0.43	0.32	0.31	0.22
წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	
CH ₄ ემისია	0.41	0.20	0.69	0.31	0.32	0.44	0.24	0.37	1.03	1.00	0.94	0.80	2.25	2.40	2.52	2.54	

მეთოდოლოგიური საკითხები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული სარძეო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშები უცნობია და გარდა ამისა, ბოლო წლებში ეს ქვეკატეგორია მრავალსულადობის მცირე წილს შეადგენს, გამოიყენებული იქნა პირველი დონის მიდგომა. გამოყოფილი მეთანის რაოდენობა გამოითვლება ერთ სულზე ემისიის მაჩვენებლის გამრავლებით პირუტყვის სულადობაზე.

$$EM = EF \cdot Pop$$

სადაც:

EM მეთანის ემისია სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან

EF სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის მეთანის ემისიის ფაქტორი, კგ CH₄/სული/წელი

Pop სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა

საქმიანობის მონაცემები: სარძეო მრკ-ის სულადობის შესახებ მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაციებიდან³⁹. 2018 წელთან შედარებით, 2019-2022 წლებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა 0.7 პროცენტიდან 2.0-2.3 პროცენტამდე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 და 2022 წლების სტატისტიკური პუბლიკაციები).

39 <https://www.geostat.ge/en/single-categories/102/agriculture-of-georgia>

ცხრილი 5-11: სარძეო ჯიშის პირუტყვის სულადობა (ათასი სული) 1990-2006 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
სულადობა	481.6	424.4	294.0	217.5	165.4	113.0	57.4	46.4	35.1	24.2	11.5	6.9	5.1	4.3	3.3	3.1	2.3
წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	
სულადობა	4.1	2.1	7.0	3.1	3.2	4.4	2.4	3.8	10.4	10.1	9.5	8.0	22.7	24.2	25.5	25.6	

ემისიის ფაქტორი: სარძეო ჯიშის პირუტყვისთვის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ტიპური ემისიის ფაქტორი იქნა გამოყენებული, $EF = 99 \text{ კგ CH}_4/\text{სული/წელი}$.

ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, მთელი განხილული პერიოდისთვის იგივე მიდგომა იყო გამოყენებული, 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოში შეტანილი რეკომენდაციების შესაბამისად.

კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „ენტერული ფერმენტაცია სარძეო ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისას 5-10 და 5-11 ცხრილებში გამოვლინდა შეცდომები. შედეგად, 2019-2022 წლებში მონაცემები სარძეო ჯიშის მრპ-ის რაოდენობისა და ამ ჯიშის მრპ-დან მეთანის ემისიის შესახებ შესწორდა.

კატეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება სარძეო ჯიშის ფურებისთვის ნაწლავური ფერმენტაციიდან მეთანის ემისიები განცალკევებულად პირველად იქნა გამოთვლილი.

კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

განსაზღვრული იქნება ენტერული ფერმენტაციის შედეგად სარძეო ჯიშის პირუტყვში მეთანის ემისიის ეროვნული ფაქტორი.

5.2.1.1.2. სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3.A.1.a.ii)

წყარო-კატეგორიის აღწერა

სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოიცავს სახორცე და მრავალფუნქციურ ფურებს, ხარებს და ნამატს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან საარსებო წყაროს სოფლად მცხოვრები ოჯახების უმრავლესობისთვის, იძლევა რა მრავალ სარგებელს (შემოსავალი, საკვების (ხორცი,

რძე) წყარო, სასუქად ნაკელი, გამწვევი ძალა და გადაადგილების საშუალება).

„სხვა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში“ ჭარბობს ადგილობრივი ჯიშები: ქართული მთის და წითელი მეგრული. ქართული მთისა და წითელი მეგრული გვიან მწიფე-ბადი ჯიშებია, და ხასიათდებიან მცირე წონით, ფურების დაბალი წველადობითა და რძის მაღალი ცხიმოვანობით. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში გავრცელდა კავკასიური წაბლა ჯიში. კავკასიური წაბლა გამოყვანილი იქნა შვეიცარული წაბლასა და კოსტრომული ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივ ჯიშებზე შეჯვარებით.

მეთანის ემისიები „სხვა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში“ ნაწლავური ფერმენტაციის შედეგად წარმოდგენილია ცხრილ 5-12-ში.

ცხრილი 5-12: მეთანის ემისია „სხვა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში“ ენგერული ფერმენტაციიდან

წელი	კავკასიური წაბლა	ქართული მთის	მეგრული წითელი	3.A.1.a.ii სულ	
				გგ CH ₄	გგ CO ₂ -ეკვ
1990	39.62	4.98	2.62	47.22	1,322.2
1991	35.24	5.72	3.41	44.37	1,242.3
1992	31.43	5.46	3.25	40.14	1,123.9
1993	30.96	5.75	3.41	40.12	1,123.4
1994	33.24	6.59	3.91	43.74	1,224.6
1995	35.99	7.61	4.50	48.10	1,346.8
1996	38.91	8.76	5.17	52.84	1,479.7
1997	39.23	9.39	5.54	54.16	1,516.4
1998	39.66	10.10	5.95	55.70	1,559.7
1999	41.83	11.31	6.65	59.79	1,674.1
2000	43.31	12.43	7.31	63.05	1,765.4
2001	42.46	12.94	7.59	62.99	1,763.8
2002	42.66	13.79	8.09	64.54	1,807.0
2003	42.42	14.55	8.52	65.50	1,833.9
2004	39.11	14.23	8.33	61.67	1,726.8
2005	38.39	14.82	8.66	61.88	1,732.5
2006	33.81	13.84	8.09	55.75	1,560.9
2007	31.75	13.79	8.05	53.59	1,500.4
2008	30.71	14.16	8.26	53.12	1,487.4
2009	28.68	14.04	8.18	50.90	1,425.1
2010	28.76	14.96	8.71	52.43	1,468.1
2011	28.75	15.90	9.26	53.91	1,509.4
2012	28.72	16.90	9.83	55.45	1,552.5
2013	30.16	18.89	10.98	60.03	1,680.9

წელი	კავკასიუხი წაბდა	ქაიხუდი მთის	მეგხუდი წითედი	3.A.1.a.ii სულ	
				გგ CH ₄	გგ CO ₂ -გგგ
2014	30.04	20.06	11.66	61.77	1,729.5
2015	29.73	21.19	12.31	63.22	1,770.2
2016	27.39	20.87	12.12	60.37	1,690.5
2017	24.69	20.14	11.69	56.51	1,582.3
2018	22.72	19.88	11.53	54.13	1,515.7
2019	21.07	19.81	11.49	52.37	1,466.3
2020	21.27	21.55	12.49	55.31	1,548.6
2021	20.13	22.02	12.76	54.91	1,537.6
2022	17.36	20.58	11.92	49.85	1,395.8

მეთოდოლოგიური საკითხები

კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული „კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო და განუზღვრელობის მართვა სათბურის აირების ეროვნულ ინვენტარიზაციაში“ რეკომენდაციას იძლევა, რომ თუ ენტერული ფერმენტაცია საკვანძო წყაროს წარმოადგენს, მაშინ ცხოველთა იმ კატეგორიისათვის, რომელსაც მნიშვნელოვანი წილი შეაქვს ქვეყნის მთლიან ემისიებში, გამოყენებული იქნას დონე 2 მიდგომა. „სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან“ მეთანის ემისიები მთლიანად ენტერული ფერმენტაციიდან ემისიების დაახლოებით 90%-ს შეადგენდა. შესაბამისად, ამ კატეგორიისთვის გამოყენებულ იქნა დონე 2 მეთოდოლოგიური მიდგომა.

დონე 2 უფრო რთული მიდგომაა, რომელიც მოითხოვს ინფორმაციას ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მახასიათებლების (ჯიში, ასაკი, წონა, წველა-დობა, შობადობა და სხვ.) შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე გამოითვლება ემისიის კოეფიციენტი ცხოველის შერჩეული კატეგორიისათვის. ამის შემდეგ მეთანის ემისიები გამოითვლება საქონლის ჯგუფების (დაჯგუფება ხდება ჯიშისა და ასაკის მიხედვით) სულადობის გამრავლებით ემისიის შესაბამის ფაქტორებზე და მიღებული ემისიების შეჯამებით.

საქმიანობის მონაცემები: 5-13, 5-14 და 5-15 ცხრილებში მოყვანილია მრკ-ის სულადობა ჯიშისა და ასაკის მიხედვით.

ცხრილი 5-13: ქართული მთის ჯიშის პირუტყვის განაწილება ასაკის მიხედვით 1990-2022 წლებში

კატეგორია	წლ	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ხბო (მდედრი)	0-1	15	18	17	18	20	24	27	29	31	35	38	40	43	45	44	46	43
დეკეული	1-2	12	14	13	14	16	18	21	23	24	27	30	31	33	35	34	36	33
დეკეული	2-3	11	12	12	12	14	16	19	20	22	24	27	28	30	31	30	32	30
დეკეული	3-4	10	12	11	12	14	16	18	20	21	24	26	27	29	30	30	31	29
ფური	4-5	4	4	4	4	5	6	6	7	7	8	9	9	10	11	10	11	10

კატეგორია	წლ	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ლაქტაციური ფური	4-5	14	17	16	17	19	22	25	27	29	33	36	37	40	42	41	43	40
ფური	5-6	4	4	4	4	5	6	6	7	7	8	9	9	10	11	10	11	10
ლაქტაციური ფური	5-6	14	17	16	17	19	22	25	27	29	33	36	37	40	42	41	43	40
ფური	>6	7	8	8	8	10	11	13	14	15	16	18	19	20	21	21	21	20
ლაქტაციური ფური	>6	29	33	32	33	38	44	51	54	58	65	72	75	80	84	82	86	80
ხბო (მამრი)	0-1	5	5	5	5	6	7	8	9	10	11	12	12	13	14	14	14	13
მოზვერი	1-2	4	5	5	5	6	6	7	8	8	9	10	11	12	12	12	12	12
მოზვერი	2-3	3	4	4	4	4	5	6	6	7	8	8	9	9	10	10	10	9
მოზვერი	3-4	3	3	3	3	4	4	5	5	6	6	7	7	8	8	8	8	8
ხარი (კასტრატი)	4-5	1	1	1	1	2	2	2	2	2	3	3	3	3	3	3	3	3
ხარი (კასტრატი)	5-6	1	1	1	1	1	1	2	2	2	2	2	2	3	3	3	3	3
ხარი (კასტრატი)	>6	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	2	2	2	2
სულ		138	159	152	160	183	211	243	261	280	314	345	359	383	404	395	411	384
კატეგორია	წლ	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	
ხბო (მდედრი)	0-1	43	44	43	46	49	52	58	62	66	65	62	62	61	67	68	64	
დეკეული	1-2	33	34	34	36	38	41	45	48	51	50	48	48	48	52	53	49	
დეკეული	2-3	30	30	30	32	34	36	40	43	45	45	43	43	42	46	47	44	
დეკეული	3-4	29	30	29	31	33	35	40	42	44	44	42	42	41	45	46	43	
ფური	4-5	10	10	10	11	12	12	14	15	15	15	15	14	14	16	16	15	
ლაქტაციური ფური	4-5	40	41	41	43	46	49	55	58	61	60	58	58	57	62	64	60	
ფური	5-6	10	10	10	11	12	12	14	15	15	15	15	14	14	16	16	15	
ლაქტაციური ფური	5-6	40	41	41	43	46	49	55	58	61	60	58	58	57	62	64	60	
ფური	>6	20	20	20	22	23	24	27	29	31	30	29	29	29	31	32	30	
ლაქტაციური ფური	>6	80	82	81	87	92	98	109	116	123	121	117	115	115	125	127	119	
ხბო (მამრი)	0-1	13	14	13	14	15	16	18	19	20	20	19	19	19	21	21	20	
მოზვერი	1-2	12	12	12	13	13	14	16	17	18	18	17	17	17	18	18	17	
მოზვერი	2-3	9	10	9	10	11	11	13	14	14	14	14	13	13	15	15	14	
მოზვერი	3-4	8	8	8	8	9	9	11	11	12	12	11	11	11	12	12	11	
ხარი (კასტრატი)	4-5	3	3	3	3	4	4	4	5	5	5	5	5	5	5	5	5	
ხარი (კასტრატი)	5-6	3	3	3	3	3	3	3	4	4	4	4	4	4	4	4	4	
ხარი (კასტრატი)	>6	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	3	2	
სულ		383	393	390	415	441	469	524	557	588	579	559	552	550	598	611	571	

**ცხრილი 5-14: მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის განაწილება ასაკის მიხედვით
1990-2006 წლებში**

კატეგორია	წლ	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ხბო (საფურე)	0-1	6	8	8	8	10	11	13	14	15	16	18	19	20	21	21	21	20
დეკეული	1-2	5	7	6	7	7	9	10	11	11	13	14	15	15	16	16	17	15
დეკეული	2-3	4	6	6	6	7	8	9	9	10	11	12	13	14	15	14	15	14
დეკეული	3-4	4	6	5	6	7	8	9	9	10	11	12	13	13	14	14	14	13
ფური	4-5	2	2	2	2	2	3	3	3	3	4	4	4	5	5	5	5	5
ლაქტაციური ფური	4-5	6	8	7	8	9	10	12	13	14	15	17	18	19	20	19	20	19
ფური	5-6	2	2	2	2	2	3	3	3	3	4	4	4	5	5	5	5	5
ლაქტაციური ფური	5-6	6	8	7	8	9	10	12	13	14	15	17	18	19	20	19	20	19
ფური	>6	3	4	4	4	5	5	6	6	7	8	8	9	9	10	10	10	9
ლაქტაციური ფური	>6	12	16	15	16	18	21	24	26	27	31	34	35	37	39	38	40	37
ხბო (სახარე)	0-1	2	3	2	3	3	3	4	4	5	5	6	6	6	6	6	7	6
მოზვერი	1-2	2	2	2	2	3	3	3	4	4	4	5	5	5	6	6	6	5
მოზვერი	2-3	1	2	2	2	2	2	3	3	3	4	4	4	4	5	4	5	4
მოზვერი	3-4	1	2	1	2	2	2	2	2	3	3	3	3	4	4	4	4	4
ხარი (კასტრატი)	4-5	0.5	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	2	2	1
ხარი (კასტრატი)	5-6	0.4	0.5	0.5	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ხარი (კასტრატი)	>6	0.2	0.3	0.3	0.3	0.4	0.4	0.5	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სულ		58	75	72	75	86	99	114	122	131	147	161	168	179	188	184	191	179

კატეგორია	წლ	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ხბო (მდედრი)	0-1	20	20	20	21	23	24	27	29	30	30	29	28	28	31	31	29
დეკეული	1-2	15	16	16	17	18	19	21	22	24	23	22	22	22	24	24	23
დეკეული	2-3	14	14	14	15	16	17	19	20	21	21	20	20	20	21	22	20
დეკეული	3-4	13	14	14	15	15	16	18	19	21	20	19	19	19	21	21	20
ფური	4-5	5	5	5	5	5	6	6	7	7	7	7	7	7	7	7	7
ლაქტაციური ფური	4-5	19	19	19	20	21	23	25	27	28	28	27	27	26	29	29	27
ფური	5-6	5	5	5	5	5	6	6	7	7	7	7	7	7	7	7	7
ემისიის ფაქტორები: გამოიყენება 2006 IPCC ტიპიური მნიშვნელობები: $EF_{3PRP, CPP} = 0.02$ [კგ N_2O-N /კგ N] მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის (სარძეო ჯიშის, არა-სარძეო და კამეჩის), ფრინველისა და ღორისთვის და $EF_{3PRP, SO} = 0.01$ (კგ N_2O-N /კგ N) ცხვრებისთვის და „სხვა ცხოველებისთვის“ [2006 IPCC, თავი 11, გვ.11.11, ცხრილი 11.1].

ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „ემისიები საძოვრებზე გამოყოფილი ცხოველების ნაკელიდან“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფისას შეცდომები არ გამოვლენილა.

კატეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემონგების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება

გადათვლილი ემისიები საძოვრებზე გამოყოფილი ცხოველების ექსკრემენტებიდან მოყვანილია ცხრილი 5-63-ში. სხვაობა გამოწვეულია ნაკელის მართვის სისტემების წილის დაზუსტებული მონაცემების გამოყენებით.

ცხრილი 5-63: გაღატკეპილი ემისიები საძოვრებზე ცხოველების ექსკრემენტებიდან 1990-2003 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
5NC	1.32	1.18	0.90	0.77	0.75	0.77	0.80	0.81	0.84	0.95	1.03	1.03	1.08	1.12
4NC	1.64	1.51	1.21	1.08	1.04	1.06	1.06	1.07	1.05	1.13	1.17	1.20	1.24	1.27

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
სხვაობა, %	-19	-22	-26	-28	-28	-27	-25	-24	-20	-16	-12	-14	-13	-12
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
5NC	1.03	1.04	0.87	0.82	0.80	0.74	0.78	0.81	0.87	1.02	1.09	1.14	1.07	0.96
4NC	1.26	1.26	1.13	1.09	1.11	1.05	1.07	1.06	1.15	1.24	1.32	1.37	1.39	1.32
სხვაობა, %	-19	-18	-23	-25	-28	-29	-28	-23	-24	-18	-18	-17	-23	-27

კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

გაუმჯობესება არ იგეგმება.

5.4.1.4. მოსავლის (სასოფლო-სამეურნეო კულტურების) ნარჩენების დპობა

წყარო-კატეგორიის აღწერა

მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნარჩენების ნაწილი მინდორში ღვება. მინდორში დარჩენილი მცენარის მასა წარმოადგენს აზოტის წყაროს. ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიქმნება აზოტის ქვეჟანგი. N₂O-ის ემისია სოფლის მეურნეობის ნარჩენების ღვობიდან მოყვანილია ცხრილ 5-64-ში.

ცხრილი 5-64: N₂O-ის ემისია სოფლის მეურნეობის ნარჩენების დპობიდან

წელი	ემისიები	
	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ
1990	0.16	42.3
1991	0.13	35.6
1992	0.12	31.0
1993	0.09	24.9
1994	0.10	27.0
1995	0.10	27.7
1996	0.14	36.0
1997	0.19	49.1
1998	0.13	35.4
1999	0.17	43.9
2000	0.10	27.7
2001	0.17	44.6
2002	0.15	39.2
2003	0.16	42.5
2004	0.15	38.6
2005	0.17	44.3
2006	0.08	20.6

წელი	ემისიები	
	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ
2007	0.09	24.1
2008	0.10	26.1
2009	0.08	21.4
2010	0.05	14.2
2011	0.08	22.4
2012	0.08	21.3
2013	0.10	26.7
2014	0.09	22.7
2015	0.09	24.3
2016	0.09	24.0
2017	0.07	18.0
2018	0.08	21.0
2019	0.08	20.4
2020	0.08	21.9
2021	0.09	22.8
2022	0.09	23.9

მეთოდოლოგიური საკითხები

ემისიების გამოსათვლელად გამოყენებულია 2006 IPCC დონე 1 მიდგომა. მოსავლის ნარჩენებში აზოტის წლიური რაოდენობა, F_{CR} , მიწისზედა და მიწისქვეშა აზოტის შემცველობების ჯამი, მოცემულია განტოლებით⁶⁰:

$$N_2O-N_{inputs} = F_{CR} \cdot EF_i$$

$$F_{CR} = \sum_T \left\{ C_{crop(T)} \cdot (Area_{(T)} - Area_{burnt(T)} \cdot C_f) \cdot Frac_{Renew(T)} \cdot \right. \\ \left. [R_{AG(T)} \cdot N_{AG(T)} \cdot (1 - Frac_{Remove(T)}) + R_{BG(T)} \cdot N_{BG(T)}] \right\}$$

სადაც:

F_{CR} მოსავლის ნარჩენებში (მიწისზედა და მიწისქვეშა) აზოტის მაფიქსირებელი მცენარეების ჩათვლით, და ფურაჟიდან (საკვები კულტურებიდან)/საძოვრების განახლებიდან ნიადაგში დაბრუნებული N-ის წლიური რაოდენობაა;

EF_1 შეტანილი აზოტიდან აზოტის ქვეჟანგის ემისიის ფაქტორი, კგ N_2O-N / (კგ N შეტანილი);

$Crop_{(T)}$ T მცენარის წლიური მოსავლის მშრალი მასა, (კგ მშრალი მასა)/ჰა
 $Crop_{(T)} = Yield_{Fresh(T)} \cdot DRY_{Crop(T)} = Yield_{Fresh(T)} \cdot DRY$;

$Yield_{Fresh(T)}$ T მცენარის ახლადღებული მოსავალი, კგ ნედლი წონა/ჰა ;

DRY T მცენარის აღებული მოსავლის მშრალი მასა, (კგ მშრალი მასა)/(კგ ახლადღებულის წონა);

$Area_{(T)}$ მთლიანი ფართობი, რომელზეც აღებული იქნა T მცენარის წლიური მოსავალი, ჰა/წელი;

$Area_{burnt(T)}$ ფართობი, რომელზეც დაიწვა T მცენარის ნარჩენები, ჰა/წელი

C_f წვის ფაქტორი (უგანზომილებო);

$Frac_{Renew(T)}$ T სახეობის მცენარის მიერ დაკავებული ფართობის ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად ახლდება;

$R_{AG(T)}$ Ratio of above-ground residues dry matter ($A_{GDM(T)}$) to harvested yield ($Crop_{(T)}$), kg d.m. / (kg d.m.);

$R_{AG(T)}$ მიწისქვეშა ნარჩენების მშრალი მასის ($A_{GDM(T)}$) ფარდობა აღებულ მოსავალთან, (კგ მშრალი მასა)/(კგ მშრალი მასა)⁶¹;

$$R_{AG(T)} = A_{GDM(T)} \cdot 1000 / Crop_{(T)}; A_{GDM(T)} = (Crop_{(T)} / 1000) \cdot slope_{(T)} + intercept_{(T)}$$

$N_{AG(T)}$ მცენარისთვის მიწისზედა ნარჩენებში N-ის შემცველობა კგ N/(კგ მშრალი მასა);

$Frac_{Remove(T)}$ T მცენარის მიწისზედა ნარჩენების ის წილი, რომელიც წლის მანძილზე გატანილია მიწიდან საკვებად, საფენად ან სამშენებლო მასალად, კგ N/(კგ მცენარის N);

$R_{BG(T)}$ T მცენარისთვის მიწისქვეშა ნარჩენების ფარდობა აღებულ მოსავალთან,

60 2006 IPCC, თავი 11, გვ. 11.14, განტოლება 11.6

61 2006 IPCC, თავი 11, ცხრილი 11.2, გვ.11.17

(კგ მშრალი მასა)/(კგ მშრალი მასა);

$$R_{BG(T)} = R_{BG-BIO(T)} \cdot [(A_{GDM(T)} \cdot 1000 + Crop_{(T)}) / Crop_{(T)}];$$

$N_{BG(T)}$ T მცენარისთვის მიწისქვეშა ნარჩენებში N-ის შემცველობა, კგ N/კგ მშრალი მასა.

T მცენარის ტიპი.

საქმიანობის მონაცემები: სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესახებ მონაცემების წყაროა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაციები.

ცხრილი 5-65. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება 1990-2022 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ხორბალი	257.7	210.3	190.7	114.0	89.3	76.5	107.4	291.8	144.6	226.1	89.4	306.5	199.7	225.4	185.8	190.1	69.7
ქერი	117.8	101.1	75.1	39.5	32.0	33.6	50.0	45.4	20.2	50.8	30.1	98.9	57.5	48.3	61.3	65.4	30.6
სიმინდი	270.2	242.5	220.0	242.8	342.8	386.5	490.9	546.3	420.2	490.5	295.9	288.6	400.1	461.9	410.6	421.3	217.4
შვრია	11.7	12.1	9.9	6.9	6.3	4.6	30.0	8.0	3.5	3.3	2.0	9.5	4.2	6.2	4.8	2.8	1.3
კარტოფილი	293.8	254.3	210.8	248.6	296.9	353.3	285.6	353.0	380.0	417.0	302.0	396.0	405.6	430.1	400.5	432.2	168.7
პარკოსნები	9.5	5.5	6.0	6.4	10.2	14.3	12.0	10.1	9.2	9.3	5.1	10.0	10.6	12.1	16.5	33.7	7.6
წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	
ხორბალი	74.9	80.3	53.9	48.4	96.8	80.7	81.0	47.5	125.6	126.6	97.9	107.1	100.6	102.4	135.9	156.8	
ქერი	40.3	49.3	19.9	23.3	30.3	20.7	35.0	26.7	40.9	47.2	43.9	57.7	53.5	45.4	58.1	58.8	
სიმინდი	295.8	328.2	291.0	141.1	269.6	267.0	363.9	347.2	231.4	243.7	142.5	194.2	207.1	255.0	233.0	152.9	
შვრია	1.6	2.9	4.2	2.0	0.7	1.6	3.4	5.6	5.8	6.5	3.7	4.7	3.0	2.3	3.2	2.0	
კარტოფილი	229.2	193.4	216.8	228.8	273.9	252.0	296.6	216.2	206.2	249.0	180.1	237.5	194.7	208.6	234.7	198.9	
პარკოსნები	10.5	11.6	10.2	5.8	8.9	9.6	10.5	8.7	5.8	5.8	5.7	5.8	5.9	5.2	4.2	2.9	

ემისიის ფაქტორები: ემისიის ფაქტორისთვის გამოყენებულია 2006 IPCC ტიპური მნიშვნელობა $EF_1=0.01$ კგ(N_2O-N)/(კგ N შეტანილი). ერთწლიანი კულტურებისთვის $Frac_{Renew} = 1$. მონაცემები $Frac_{Remove}$ -ის შესახებ არ არსებობს, ამდენად, $Frac_{Remove(T)} = 0$. მცენარეთა ნარჩენებიდან ნიადაგში შეტანილი აზოტის რაოდენობის შესაფასებლად საჭირო სხვა პარამეტრები აღებულია IPCC 2006-ის შესაბამისად [2006 IPCC, თავი 11, გვ. 11.17, ცხრილი 11.2, თავი 2, გვ. 49, ცხრილი 2.6] და 2019 IPCC (თავი 2, გვ. 2.56, ცხრილი 2.6).

ცხრილი 5-66: მცენარეთა ნარჩენებიდან ნიადაგში დამატებული აზოტის შესაფასებლად საჭირო შემაჯავლი ფაქტორები.

მცენარე	მცენარის მოსავალში მშრალი მასის წილი, DRY, კგ მშრალი მასა/ კგ ნედლი წონა	მინისზედა ნარჩენებში აზოტის შემცველობა N_{AG} , კგ N/ კგ მშრალი მასა	მინისქვეშა ნარჩენების ფარდობა მინისზედა ბიომასასთან R_{BG-BIO} , (კგ მშრ. მასა)/ (კგ მშრ. მასა)	აზოტი მინისქვეშა ნარჩენებიდან N_{BG} , კგ N/ კგ მშრალი მასა	დახრილობა	წინა-ლობა	დანვის ფაქტორი CF
ხორბალი	0.89	0.006	0.24	0.009	1.51	0.52	0.9
ქერი	0.89	0.007	0.22	0.014	0.98	0.59	0.85
სიმინდი	0.87	0.006	0.22	0.007	1.03	0.61	0.8
შვრია	0.89	0.007	0.25	0.008	0.91	0.89	0.85
კარტოფილი	0.22	0.019	0.20	0.014	0.10	1.06	0.85
პარკოსნები	0.90	0.01	0.19	0.01	0.36	0.68	0.85

ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „მოსავლის (სასოფლო-სამეურნეო კულტურების) ნარჩენების ღებობა“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფისას შეცდომები არ გამოვლენილა.

კატეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება

მოსავლის (სასოფლო-სამეურნეო კულტურების) ნარჩენების ღებობის შედეგად აზოტის ქვეჟანგის გადაანგარიშებული ემისიები მოყვანილია ცხრილ 5-67-ში. ემისიების კლება გამოწვეულია გამოთვლებში შემაჯავლი პარამეტრების დაზუსტებული მნიშვნელობების გამოყენებით.

**ცხრილი 5-67: მოსავლის (სასოფლო-სამეურნეო კულტურების) ნარჩენების დამუშავების
შედეგად აზოტის ქვეჟანგის გადანაგარიშებული ემისიები 1990-2017 წლებში**

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
5NC	0.16	0.13	0.12	0.09	0.10	0.10	0.14	0.19	0.13	0.17	0.10	0.17	0.15	0.16
4NC	0.20	0.17	0.14	0.11	0.13	0.12	0.14	0.21	0.16	0.19	0.13	0.17	0.17	0.18
სხვაობა, %	-20	-21	-16	-15	-22	-13	-3	-12	-16	-13	-20	-1	-13	-11
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
5NC	0.15	0.17	0.08	0.09	0.10	0.08	0.05	0.08	0.08	0.10	0.09	0.09	0.09	0.07
4NC	0.16	0.21	0.08	0.10	0.10	0.09	0.07	0.11	0.11	0.13	0.11	0.12	0.12	0.09
სხვაობა, %	-9	-20	-3	-9	-1	-10	-24	-23	-27	-22	-22	-24	-25	-25

კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემონმე-
ბისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

გაუმჯობესება არ იგეგმება.

5.4.2. აზოტის ქვეჟანგის არაპირდაპირი ემისიები ნიადაგებიდან (3.C.5)

სინთეტური და ორგანული სასუქებიდან, ასევე მძოველი ცხოველების ნაკელიდან სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში შეტანილი აზოტის ნაწილი გადაიტანება ადგი-
ლის გარეთ ან აქროლვითა და შემდგომ დალექვით, ან გაჟონვით, ეროზიითა და
ჩარეცხვით. აზოტი რომელიც ამ გზით გადაიტანება ნიადაგებიდან, უზრუნველყოფს
დამატებით აზოტს შემდგომი ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის პროცესები-
სათვის, რის შედეგადაც წარმოიქმნება აზოტის ქვეჟანგი. ასეთი აზოტიდან აზოტის
ქვეჟანგის წარმოქმნას შეიძლება დასჭირდეს წლები, განსაკუთრებით როცა აზოტი
გაიჟონება მიწისქვეშა წყლებში.

**ცხრილი 5-68: მართული/დამუშავებული ნიადაგებიდან N₂O-ს არაპირდაპირი
ემისია 1990-2022 წლებში**

წელი	აქროლილი N-ის ატმოსფეროდან დალექვა		აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან		სულ N ₂ O არაპირდაპირი ემისია	
	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ
1990	0.29	76.0	0.36	95.2	0.65	171.1
1991	0.25	66.9	0.31	83.1	0.57	150.0
1992	0.19	51.1	0.24	64.8	0.44	115.9
1993	0.17	44.4	0.22	57.2	0.38	101.7
1994	0.15	40.9	0.19	50.8	0.35	91.7
1995	0.16	42.3	0.20	53.7	0.36	96.0
1996	0.19	49.7	0.26	69.5	0.45	119.2
1997	0.20	51.7	0.28	73.8	0.47	125.5
1998	0.18	47.0	0.24	62.8	0.41	109.7

წელი	აქროლილი N-ის ატმოსფეროდან დაღეჟვა		აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან		სულ N ₂ O არაპირდაპირი ემისია	
	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ	გგ N ₂ O	გგ CO ₂ -ეკვ
1999	0.20	53.9	0.28	73.4	0.48	127.4
2000	0.20	52.3	0.25	66.4	0.45	118.7
2001	0.20	54.1	0.26	70.1	0.47	124.2
2002	0.22	58.6	0.29	77.6	0.51	136.2
2003	0.23	60.8	0.30	80.6	0.53	141.4
2004	0.20	53.8	0.26	68.1	0.46	121.8
2005	0.20	53.4	0.25	67.5	0.46	121.0
2006	0.18	48.9	0.25	65.8	0.43	114.8
2007	0.16	42.5	0.21	55.2	0.37	97.6
2008	0.16	42.5	0.21	56.3	0.37	98.8
2009	0.16	41.2	0.21	55.8	0.37	97.0
2010	0.15	40.8	0.20	53.8	0.36	94.6
2011	0.15	40.9	0.20	52.9	0.35	93.8
2012	0.17	45.6	0.22	59.4	0.40	105.0
2013	0.20	53.7	0.27	70.9	0.47	124.6
2014	0.20	54.2	0.26	69.2	0.47	123.4
2015	0.21	56.3	0.27	71.5	0.48	127.8
2016	0.20	53.8	0.26	68.8	0.46	122.6
2017	0.18	47.9	0.23	60.4	0.41	108.4
2018	0.17	45.8	0.22	58.4	0.39	104.2
2019	0.16	42.7	0.20	54.0	0.37	96.7
2020	0.18	47.8	0.23	61.1	0.41	108.8
2021	0.18	47.6	0.23	61.0	0.41	108.6
2022	0.16	42.1	0.21	54.3	0.36	96.4

5.4.2.1. N₂O-ს ემისია მაჩთუდი ნიადაგებიდან აქროლილი აზოტის დაღეჟვიდან

წყარო-კატეგორიის აღწერა

როდესაც სინთეზური ან ორგანული (ნაკელი) აზოტოვანი სასუქები შეაქვთ მართულ ნიადაგებში, აქროლის შედეგად აზოტის ნაწილი იკარგება ამიაკის და აზოტის ოქსიდების სახით. აქროლილი აზოტი შემდეგ ხელახლა იღეჟება ნიადაგებსა და წყლებში, და შესაძლოა განიცადოს შემდგომი ცვლილებები ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის შედეგად, რაც იწვევს N₂O ემისიებს. აქროლილი აზოტის რაოდენობა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორიცაა სასუქის ტიპი, ტექნოლოგია და გამოყენების დრო, ნიადაგის ტიპი, ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურა, ნიადაგის pH და ა.შ.

მეთოდოლოგიური საკითხები

ნიადაგში შეტანილი აზოტის აქროლიზისა და ჩამოდენის შედეგად აზოტის ქვეჟანგის ემისიების შესაფასებლად გამოყენებულია IPCC 2006 დონე 1 მიდგომა. N_2O -ს ემისიები აქროლიზი აზოტის ატმოსფერული დალექვიდან გამოითვალა განტოლებით⁶²:

$$N_2O_{ATD} - N = [(F_{SN} \cdot \text{Frac}_{GASF}) + (F_{ON} + F_{PRP}) \cdot \text{Frac}_{GASM}] \cdot EF_4$$

სადაც:

$N_2O_{ATD} - N$ დამუშავებული/მართული ნიადაგებიდან აქროლიზი N-ის ატმოსფერული ჩამოდენით წარმოქმნილი N_2O -N წლიური რაოდენობა, (კგ N_2O -N/წელი);

F_{SN} ნიადაგში შეტანილი N სინთეტური სასუქის წლიური რაოდენობა, კგ N/წელი;

Frac_{GASF} სინთეტური სასუქით შეტანილი აზოტის წილი, რომელიც აქროლდება როგორც NH_3 და NOx [(კგ (NH_3-N) და $(NOx-N)$)/კგ N შეტანილი];

F_{ON} ცხოველის გადამუშავებული ნაკელის, კომპოსტისა და ფეკალური მასების აზოტის, ასევე ნიადაგში შეტანილი სხვა ორგანული აზოტის წლიური რაოდენობა, კგ N/წელი;

F_{PRP} საძოვრებზე და შემოღობილ საბალახოებზე მძოველი ცხოველების მიერ გამოყოფილ ექსკრემენტებში არსებული აზოტის წლიური რაოდენობა, კგ N/წელი;

Frac_{GASM} გამოყენებული ორგანული სასუქებიდან აზოტისა (F_{ON}) და მძოველი ცხოველების ნაკელიდან შეტანილი აზოტის წილი (F_{PRP}), რომელიც აქროლდება როგორც NH_3 და NOx [(კგ (NH_3-N) და $(NOx-N)$)/კგ N შეტანილი];

$N_2O_{(ATD)}$ $N_2O_{(ATD)} - N \cdot 44/28$.

საქმიანობის მონაცემები: სინთეზური და ორგანული N სასუქებიდან, ასევე საძოვრებზე მძოველი ცხოველების ნაკელიდან ნიადაგში შეტანილი აზოტის რაოდენობა მოყვანილია ცხრილი 5-69-ში.

ცხრილი 5-69: სინთეზური და ორგანული N სასუქებიდან, ასევე საძოვრებზე მძოველი ცხოველების ნაკელიდან ნიადაგში შეტანილი აზოტის რაოდენობა.

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
F_{SN} Gg N	20.6	16.7	15.4	15.3	10.2	12.8	28.9	33.1	21.1	27.0	15.9	19.4	24.8	25.8	16.0	15.6	22.9
F_{ON} Gg N	30.7	27.0	19.0	16.2	15.9	16.0	16.2	16.5	15.9	17.6	18.8	18.9	19.7	20.5	19.5	19.0	15.4
F_{PRP} Gg N	50.2	44.9	34.7	29.5	28.1	28.4	29.0	29.0	30.0	33.6	36.1	36.4	38.3	39.6	37.0	37.4	31.9
წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	
F_{SN} Gg N	15.8	17.9	20.1	16.9	14.5	17.2	22.4	17.5	17.3	17.5	13.8	14.8	12.6	15.7	15.8	15.0	
F_{ON} Gg N	12.7	12.4	12.1	12.2	12.6	14.3	16.1	16.7	17.9	16.8	15.4	14.7	12.7	14.0	13.8	12.1	
F_{PRP} Gg N	30.4	29.8	27.3	28.2	29.3	31.8	37.1	39.6	41.1	39.0	35.3	32.9	34.7	36.3	34.7	31.2	

ემისიის ფაქტორები: გამოყენებული 2006 IPCC ტიპური მნიშვნელობა: $EF_4 = 0.01$ კგ (N_2O-N) /კგ N [IPCC 2006, თავი 11, გვ. 11.24, ცხრილი 11.3]. $\text{Frac}_{GASF} = 0.10$ (კგ N აქროლიზი)/(კგ N შეტანილი) და $\text{Frac}_{GASM} = 0.2$ კგ $[(NH_3-N) + (NOx-N)]$ /(კგ N შეტანილი) [IPCC

62 2006 IPCC, თავი 11, გვ. 11.21, განტოლება 11.9

2006, თავი 11, გვ. 11.24, ცხრილი 11.3).

ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „N₂O-ს ემისია მართული ნიადაგებიდან აქროლილი აზოტის დაღეჭვიდან“ ჩატარდა

ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფისა შეცდომები არ გამოვლენილა.

კატეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება.

წყაროს კატეგორიიდან *მახთური/დამუშავებული ნიადაგებიდან აოხთქლებული N-ის აგმოსფერული დაღეჭვიდან* არაპირდაპირი N₂O ემისიები ხელახლა გამოითვალა 1990-2017 წლებისთვის. წინა ინვენტარიზაციის ციკლში დაფიქსირებულ შედეგებთან შედარებით, მიმდინარე ინვენტარიზაციის ციკლში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია, ძირითადად არაორგანული N სასუქების რაოდენობის განახლებული მნიშვნელობების გამო.

ცხრილი 5-70: მართული/დამუშავებული ნიადაგებიდან აოხთქლებული N-ის აგმოსფერული დაღეჭვიდან არაპირდაპირი N₂O ემისიები 1990-2003 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
5NC	0.29	0.25	0.19	0.17	0.15	0.16	0.19	0.20	0.18	0.20	0.20	0.20	0.22	0.23
4NC	0.33	0.30	0.25	0.23	0.20	0.22	0.29	0.31	0.25	0.29	0.25	0.27	0.30	0.31
სხვაობა, %	-14	-15	-21	-26	-23	-26	-35	-36	-30	-30	-21	-23	-26	-25
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
5NC	0.20	0.20	0.18	0.16	0.16	0.16	0.15	0.15	0.17	0.20	0.20	0.21	0.20	0.18
4NC	0.26	0.26	0.27	0.23	0.24	0.24	0.24	0.22	0.25	0.28	0.27	0.28	0.28	0.26
სხვაობა, %	-22	-21	-32	-31	-34	-36	-35	-31	-30	-28	-25	-24	-29	-29

კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით გაუმჯობესება არ იგეგმება

5.4.2.2. N_2O ემისიები აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან

წყარო-კატეგორიის აღწერა

როცა სინთეტურ აზოტიან სასუქში ან ნაკელში არსებული აზოტი შეაქვთ ნიადაგში, ნაწილი ამ აზოტისა იკარგება გამოტუტვის ან ჩარეცხვის შედეგად. აზოტის დანაკარგების რაოდენობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორიცაა აზოტის შეტანის მეთოდი, დრო და ტემპები, მცენარის ტიპი, ნიადაგის სტრუქტურა, ჩამონადენი, ლანდშაფტი და სხვ. დაკარგული აზოტის ამ ნაწილმა შემდგომ შეიძლება განიცადოს ტრანსფორმაცია და ამგვარად წარმოქმნას N_2O შეტანის ადგილის გარეთ.

მეთოდოლოგიური საკითხები

აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან N_2O ემისიები გამოთვლილია 2006 IPCC დონე 1 მიდგომით. N_2O ემისიები გამოტუტვა და ჩარეცხვიდან გამოითვლება შემდეგი განტოლებით⁶³:

$$N_2O_{L-N} = (F_{SN} + F_{ON} + F_{PRP} + F_{CR} + F_{SOM}) \cdot \text{Frac}_{\text{LEACH}-(H)} \cdot EF_5$$
$$F_{SN} + F_{ON} + F_{PRP} + F_{CR} + F_{SOM}) \cdot \text{Frac}_{\text{LEACH}-(H)} \cdot EF_5$$

სადაც:

$N_2O_{(L)}-N$ გამოტუტვისა და ჩარეცხვის შედეგად მართულ ნიადაგებზე N-ის დამატებით წლის მანძილზე წარმოქმნილი N_2O-N რაოდენობა, კგ N_2O-N /წელი;

F_{SN} ნიადაგში შეტანილი სინთეტური N სასუქის წლიური რაოდენობა, კგ N/წელი;

F_{ON} წლის განმავლობაში ნიადაგში შეტანილი ცხოველის ნაკელის, კომპოსტისა და სხვა ორგანული N-ის რაოდენობა, კგ N/წელი;

F_{PRP} მძოველი ცხოველების ექსკრემენტებიდან მაში შემცველი აზოტის გამოყოფა წლის მანძილზე, კგ N/წელი;

F_{CR} მოსავლის ნარჩენებში (მიწისზედა და მიწისქვეშა) არსებული N-ის, აზოტის მაფიქსირებელი მცენარეების ჩათვლით, ასევე ფურაჟის (საკვები კულტურების)/საძოვრების განახლებიდან N-ის ნიადაგში დაბრუნებული რაოდენობა, კგ N/წელი;

F_{SOM} მინერალიზებული N-ის წლიური რაოდენობა მინერალურ ნიადაგებში, რომელიც დაკავშირებულია ნიადაგის ორგანული ნივთიერებების დაკარგვასთან მიწათსარ-გებლობაში ცვლილების ან ორგანული ნიადაგების დრენირების/მართვის შედეგად რეგიონებში, სადაც ხდება გამორეცხვა/ჩამონადენი, კგN/წელი. საქართველოში N_2O ემისიები ამ წყაროს კატეგორიიდან მხოლოდ მცირე, ძალიან მცირე მასშტაბით ხდება;

$\text{Frac}_{\text{LEACH}-(H)}$ ნიადაგში შეტანილი აზოტის წილი, რომელიც იკარგება გამოტუტვითა და ჩარეცხვით (კგN/კგ შეტანილი აზოტი);

EF_5 გამოტუტვისა და ჩარეცხვის შედეგად N_2O -ს ემისიის ფაქტორი (კგ(N_2O-N)/კგNგამოტუტული/ჩარეცხილი).

საქმიანობის მონაცემები: სინთეტურ და ორგანულ სასუქებში არსებული, ძოვებისას ცხოველების ნაკელიდან გამოყოფილი და სოფლის მეურნეობის ნარჩენების ლპობისას წარმოქმნილი აზოტის რაოდენობა მოყვანილია შესაბამის ცხრილებში.

63 2006 IPCC, თავი 2, განტოლება 1.10, გვ. 11.21

ემისიის ფაქტორები: ნიადაგში მთლიანად შეტანილი N-ის ის წილი, რომელიც იკარგება გამოტუტვისა და ჩარეცხვის შედეგად, $\text{Frac}_{\text{LEACH}-(\text{H})} = 0.30$ (kg N/(kg N შეტანილი) [IPCC 2006, თავი 11, გვ. 11.24, ცხრ. 11.3]. გამოყენებულია 2006 IPCC ტიპური ემისიის ფაქტორი: $\text{EF}_5 = 0.0075 \text{ კგ (N}_2\text{O-N)/კგ გამოტუტული/ ჩარეცხილი N}$.

ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

განუზღვრელობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „N₂O ემისიები აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფისას შეცდომები არ გამოვლენილა.

დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება

N₂O-ს არაპირდაპირი ემისიები წყაროს კატეგორიიდან „აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვა“ გადაანგარიშდა 1990-2017 წლებისთვის. წინა ინვენტარიზაციის ციკლში დაფიქსირებულ შედეგებთან შედარებით, მიმდინარე ინვენტარიზაციის ციკლში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია, ძირითადად სინთეტური N სასუქების განახლებული მნიშვნელობების გამოყენებით არის გამოწვეული.

ცხრილი 5-71: N₂O-ს არაპირდაპირი ემისია „აზოტის გამოტუტვა და ჩარეცხვიდან“ გაერთიანებული ერების 1990-2017 წლებისთვის

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
5NC	0.36	0.31	0.24	0.22	0.19	0.20	0.26	0.28	0.24	0.28	0.25	0.26	0.29	0.30
4NC	1.72	1.50	1.28	1.19	1.01	1.11	1.67	1.84	1.41	1.67	1.29	1.44	1.64	1.71
სხვაობა, %	-79	-79	-81	-82	-81	-82	-84	-85	-83	-83	-81	-82	-82	-82
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
5NC	0.26	0.25	0.25	0.21	0.21	0.21	0.20	0.20	0.22	0.27	0.26	0.27	0.26	0.23
4NC	1.35	1.36	1.47	1.21	1.28	1.32	1.22	1.16	1.28	1.52	1.39	1.42	1.43	1.24
სხვაობა, %	-81	-81	-83	-83	-83	-84	-83	-83	-82	-82	-81	-81	-82	-82

კატეგორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

5.5. საპანების დამაკვიდრებელი დანვა (ნიადაგის გასუფთავება დადგენილი დანვით) (ესც 3.E)

NO.

5.6. სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დანვა

5.6.1. წყარო-კაგეგმორიის აღწერა

ეს კატეგორია მოიცავს საქართველოს ღია მიწებზე სოფლის მეურნეობის ნარჩენების წვას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების დანვა ღია მიწებზე კანონით შეზღუდულია/აკრძალულია, ეს პრაქტიკა გრძელდება.

განხილულია მხოლოდ აჩა-CO₂-ის ემისია, იმ დაშვებით, რომ CO₂-ის ემისიები დაბადან-სებური იქნება ეხთი წლის განმავლობაში მცენახუეობის შემდგომი ხედახადი ზხდის შედეგად CO₂-ის ჩაქეხით/შთანთქმით (2006 IPCC, თავი 2, გვეხდი 2.40).

ცხრილი 5-72: სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის წვის შედეგად არა-CO₂ სათბურის ების ემისია, 1990-2022 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
L _{fire} – გგ CO	2.72	2.32	1.96	1.60	1.28	1.15	1.25	1.63	0.96	1.92	0.79
L _{fire} – გგ CH ₄	0.08	0.07	0.06	0.05	0.04	0.03	0.04	0.05	0.03	0.06	0.02
L _{fire} – გგ N ₂ O	0.002	0.002	0.001	0.001	0.001	0.001	0.001	0.001	0.001	0.001	0.001
L _{fire} – გგ NO _x	0.07	0.06	0.05	0.04	0.03	0.03	0.03	0.04	0.03	0.05	0.02
წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
L _{fire} – გგ CO	2.66	1.68	1.82	1.72	1.97	1.18	1.67	1.67	1.08	0.99	2.06
L _{fire} – გგ CH ₄	0.08	0.05	0.05	0.05	0.06	0.03	0.05	0.05	0.03	0.03	0.06
L _{fire} – გგ N ₂ O	0.002	0.001	0.001	0.001	0.002	0.001	0.001	0.001	0.001	0.001	0.002
L _{fire} – გგ NO _x	0.07	0.05	0.05	0.05	0.05	0.03	0.05	0.05	0.03	0.03	0.06
წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
L _{fire} – გგ CO	1.67	1.76	1.38	2.54	2.55	2.16	2.46	2.26	2.16	2.65	2.85
L _{fire} – გგ CH ₄	0.05	0.05	0.04	0.07	0.07	0.06	0.07	0.07	0.06	0.08	0.08
L _{fire} – გგ N ₂ O	0.001	0.001	0.001	0.002	0.002	0.002	0.002	0.002	0.002	0.002	0.002
L _{fire} – გგ NO _x	0.05	0.05	0.04	0.07	0.07	0.06	0.07	0.06	0.06	0.07	0.08

5.6.2. მეთოდოლოგიური საკითხები

სოფლის მეურნეობის ნარჩენების დაწვიდან არა-CO₂ ემისია შეფასებული იქნა

2006 IPCC დონე 1 მიდგომით. გამოიყენება განტოლება⁶⁴:

$$L_{fire} = A \cdot M_B \cdot C_f \cdot G_{ef} \cdot 10^{-3}$$

სადაც:

L_{fire} არა-CO₂ ემისია სახნავ-სათეს მიწებზე სოფლის მეურნეობის ნარჩენების წვიდან, ტონა/წელი;

A დამწვარი მიწის ფართობი, ჰა;

M_B წვისთვის ხელმისაწვდომი საწვავის მასა, ტონა/ჰა ;

M_B = მოსავლის საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰა) • ნარჩენების ფარდობა მოსავალთან • მშრალი ნივთიერების ფრაქცია;

(მოსავლის საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე (ტონა/ჰა) • ნარჩენების ფარდობა მოსავალთან • მშრალი ნივთიერების ფრაქცია);

C_f წვის ფაქტორი (იმ საწვავის წილი, რომელიც რეალურად იწვება), უგანზომილებო;

G_{ef} ემისიის ფაქტორი, გ/კგ დამწვარი მშრალი მასა.

საქმიანობის მონაცემები

მოსავლის ნარჩენები დაწვა ძირითადად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შირაქის ველში ხდება. კვლევის „საქართველოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის წვის პრაქტიკის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი“ მიხედვით ყოველწლიურად იწვება დაახლოებით 10,000 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა⁶⁵.

ემისიის ფაქტორები

ტიპური ემისიის ფაქტორები (გ/კგ დამწვარი მშრალი მასა) ჩარა-CO₂ აირებისთვის მოყვანილია ცხრილში 5-74 (2006 IPCC, თავი 2, ცხრილი 2.5, გვ. 2.47):

ცხრილი 5-73: ტიპური ემისიის ფაქტორები

გაზი	CO	CH ₄	N ₂ O	NO _x
(G_{ef}) ემისიის ფაქტორები, გ/კგ დამწვარი მშრალი მასა	92	2.7	0.07	2.5

მშრალი ნივთიერების ფრაქცია=0.89 (2006 IPCC, თავი 11, ცხრილი 11.2, გვერდი 11.17). ხორბლისთვის ნარჩენის მოსავალთან ფარდობა=1.3 (IPCC სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო, IPCC GPG, ცხრილი 4.16, გვერდი 4.58). C_f =0.90 (2006 IPCC, თავი 2, ცხრილი 2.6, გვერდი 2.49).

5.6.3. ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

64 2006 IPCC, თავი 2, განტოლება 2.27, გვ. 2.42

65 https://biodivers-southcaucasus.org/uploads/files/81206850_R_Westerberg_CBA%20Shiraki_2015-2016.pdf

5.6.4. განუზღვრადობის შეფასება და დროში შესაბამისობა/ თანმიმდევრულობა

იხილეთ ინფორმაცია II დანართში.

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

5.6.5. კაგეგორიის შესაბამისი ხარისხის კონგრუი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვეკატეგორიისთვის „სახნავ-სათეს მიწებზე ბიომასის დაწვა“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფისას გამოითქმა შენიშვნა, რომ „გამოტოვებულია M_g პარამეტრის გამოსათვლელი ფორმულა. შეცდომა გამოსწორდა, მეთოდოლოგიაში დაემატა M_g -ს გამოთვლის ფორმულა.

5.6.6. კაგეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება

სოფლის მეურნეობის ნარჩენების დაწვიდან არა- CO_2 სათბურის აირების გადათვლილი ემისია (გვ CO_2 -ეკვ-ებში) მოყვანილი ცხრილ 5-74-ში. ემისიებს შორის დიდი განსხვავება გამოწვეულია განსხვავებული მეთოდოლოგიების გამოყენებით (მეხუთე ეროვნულ შეტყობინებაში მეთოდოლოგია 2006 IPCC-დან, მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში კი მეთოდოლოგია 1996 IPCC-დან).

ცხრილი 5-74: სოფლის მეურნეობის ნარჩენების დაწვიდან არა- CO_2 სათბურის აირების გადათვლილი ემისია (გვ CO_2 -ეკვ-ებში) 1990-2017 წლებში

წელი	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
5NC	2.8	2.4	2.0	1.6	1.3	1.2	1.3	1.7	1.0	2.0	0.8	2.7	1.7	1.9
4NC	14.9	12.8	11.3	9.3	11.4	11.4	13.6	19.0	13.1	16.8	9.4	16.2	14.9	16.5
სხვაობა, %	-81	-81	-82	-82	-89	-90	-91	-91	-93	-88	-91	-83	-88	-89
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
5NC	1.8	2.0	1.2	1.7	1.7	1.1	1.0	2.1	1.7	1.8	1.4	2.6	2.6	2.2
4NC	15.0	15.6	7.3	9.2	9.9	8.1	5.3	8.9	8.3	10.5	7.9	7.9	9.5	6.7
სხვაობა, %	-88	-87	-83	-81	-83	-86	-81	-76	-79	-83	-82	-67	-73	-67

5.6.7. კაგეზორიასთან დაკავშირებული დაგეგმილი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

გაუმჯობესება არ იგეგმება.

5.7. მოპირიანება (3.C.2)

NE არ შეფასებულა.

5.8. შარდოვანას გამოყენება (3.C.3)

5.8.1. წყარო-კაგეზორიის აღწერა

CO₂ წარმოიქმნება ნიადაგში სასუქად შარდოვანას დამატებით. შარდოვანა CO(NH₂)₂ გარდაიქმნება ამონიუმად (NH₄⁺), ჰიდროქსილის იონად (OH⁻) და ბიკარბონატად (HCO₃⁻), წყლისა და ურეაზას ფერმენტების თანდასწრებით. წარმოქმნილი ბიკარბონატი გადაიქცევა CO₂ და წყლად, ისევე როგორც ნიადაგის რეაქციისას კირის დამატების დროს.

CO₂-ის ემისია სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში შეტანილი შარდოვანადან 2001-2022 წლებში მოყვანილია ცხრილ 5-75-ში. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ CO₂-ის ემისია შარდოვანას გამოყენებიდან დაახლოებით 48-ჯერ გაიზარდა 2005 და 2022 წლებს შორის.

ცხრილი 5-75: CO₂-ის ემისია სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში შეტანილი შარდოვანადან 2001-2022 წლებში

წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ემისია, გგ CO ₂	-	-	-	-	0.08	0.15	0.10	0.09	0.26	0.80	0.16
წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ემისია, გგ CO ₂	0.36	0.47	1.69	2.68	1.66	1.91	2.48	2.73	4.83	3.11	3.95

5.8.2. მეთოდოლოგიური საკითხები

შარდოვანას გამოყენებიდან CO₂-ის ემისია გამოითვალა 2006 IPCC დონე 1 მეთოდოლოგიით. გამოყენებული შარდოვანას რაოდენობა გამრავლებულია ემისიის ფაქტორზე⁶⁶

$$CO_2 = M \cdot EF \cdot \frac{44}{12}$$

სადაც:

CO₂ შარდოვანას მოხმარებიდან CO₂-ის წლიური ემისია, ტონა CO₂/წელი;

66 2006 IPCC, თავი 11, გვ. 11.32, განტოლება 11.13

M წლის მანძილზე მოხმარებული შარდოვანას რაოდენობა, ტონა; შარდოვანა/წელი

EF ემისიის ფაქტორი, ტონა C/ტონა შარდოვანა.

საქმიანობის მონაცემები: საქართველოში შარდოვანა არ იწარმოება. ნიადაგებში სასუქად შარდოვანას შეტანის შესახებ საქმიანობის მონაცემები მიღებული იქნა არაპირდაპირი გზით, საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შარდოვანას იმპორტისა და ექსპორტის შესახებ. მიჩნეული იქნა, რომ შარდოვანას წლიური მოხმარება უდრის მთლიანი შარდოვანას იმპორტს გამოკლებული ექსპორტი. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული შარდოვანას რაოდენობის შესახებ მიღებული აქტივობის მონაცემები იგივეა, რაც გამოყენებულია N-ის შემცველი ემისიების გამოსათვლელად.

ცხრილი 5-76: შარდოვანას, როგორც სასუქის იმპორტი, ექსპორტი და მოხმარება 2003-2022 წლებში

წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
შარდოვანას იმპორტი, ტონა	1	2	113	201	136	118	353	1,089	241	493
შარდოვანას ექსპორტი, ტონა									17	
შარდოვანას მოხმარება, ტონა/წელი	1	2	113	201	136	118	353	1,089	224	493
წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შარდოვანას იმპორტი, ტონა	646	2,303	3,661	2,268	2,608	3,384	3,719	6,594	4,240	5,391
შარდოვანას ექსპორტი, ტონა			0.4	1.1	0.0	0.0	0.3	1.1	0.0	6.5
შარდოვანას მოხმარება, ტონა/წელი	646	2,303	3,660	2,267	2,608	3,384	3,719	6,593	4,240	5,384

ემისიის ფაქტორი: შარდოვანისთვის გამოყენებულია 2006 IPCC ტიპური ემისიის ფაქტორი: 0.20 ტონა C/ტონა შარდოვანა.

5.8.3. ნებისმიერი გამოყენებული მოქნილობის აღწერა

მოქნილობა არ გამოიყენება

5.8.4. განუზღვრადობის შეფასება და დროში შესაბამისობა/თანმიმდევრულობა

იხილეთ ინფორმაცია II დანართში.

მიღებული შედეგების დროის პერიოდების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, 2006 IPCC სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად მთელი განხილული პერიოდისთვის ერთი და იგივე მიდგომა იყო გამოყენებული.

5.8.5. კატეგორიის შესაბამისი ხარისხის კონტროლი/ხარისხის უზრუნველყოფა და დადასტურება

ქვე-კატეგორიისთვის შარდოვანას გამოყენება“ ჩატარდა ხარისხის კონტროლისა

და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურები, შეივსო ფორმები და საკონტროლო სიები. სათბურის აირების ემისიების შესაფასებლად გამოყენებული საქმიანობის მონაცემები და მეთოდები დოკუმენტირებული და დაარქივებული იქნა როგორც ნაბეჭდი, ისევე ელექტრონული ფორმით. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფისას შეცდომები არ გამოვლენილა.

5.8.6. კატეგორიისთვის დამახასიათებელი/სპეციფიკური გადაანგარიშება, მათ შორის განმარტებითი ინფორმაცია და გადაანგარიშების დასაბუთება, შემოწმების/განხილვის პროცესის საპასუხოდ განხორციელებული ცვლილებები და ზემოქმედება

CO₂-ის ემისიები კატეგორიიდან „შარდოვანას გამოყენება“ არ გადაანგარიშებულა. შესაბამისი ემისიები პირველად იქნა გამოთვლილი.

5.8.7. კატეგორიასთან დაკავშირებული დამატებითი გაუმჯობესება, მათ შორის შემოწმებისას მითითებული გაუმჯობესების ჩათვლით

მომდევნო ინვენტარიზაციისას სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში შარდოვანას, როგორც სასუქის შეტანიდან CO₂-ის ემისიების შეფასების პროცესის გაუმჯობესება არ იგეგმება.

თავი 6. მინათსარგებლობა, ცვლილება მინათსარგებლობაში და ტყე (ესც სექტორი 4)

6.1. სექტორის მიმოხილვა და ზოგადი ინფორმაცია

LULUCF (მინათსარგებლობა, ცვლილებები მინათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობა) სექტორში სათბურის აირების ინვენტარიზაცია მომზადდა 2006 IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად 1990-2022 წლებისთვის, კერძოდ განახლდა ემისიების/შთანთქმების ძველი (1990-2017) მაჩვენებლები, ხოლო ახალი გამოთვლები ჩატარდა 2018-2022 წლებისთვის.

სექტორში შედის ექვსი ქვესექტორი: სატყეო მიწები (3B1); სახნავ-სათესი სავარგულები (3B2); მდელოები (3B3); ქარბტენიანი მიწები (3B4); დასახლებები (3B5); და სხვა მიწები (3B6).

სექტორში სათბურის აირების ინვენტარიზაცია ჩატარდა მეთოდოლოგიით განსაზღვრულ მინათსარგებლობის კატეგორიების განმარტებებისა⁶⁷ და მისი შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრულ მიწებზე.

კონკრეტულად, რაც შეეხება საქართველოში ზემოაღნიშნული მინათსარგებლობის ექვსი კატეგორიის განმარტებას: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიის (ტყისა და სატყეო მიწების გარდა). სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მქონე მიწის ნაკვეთი არის: საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

საძოვარი - ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი

67 IPCC 2006, CHAPTER 3 - CONSISTENT REPRESENTATION OF LANDS; 3.2 LAND-USE CATEGORIES

ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება ცხოველის საძოვებლად (გამოსაკვებად), მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც, მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ამ მიზნით იქნეს გამოყენებული;

სათიბი – ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახეული ფქვილის ან ცხოველის სხვა დამატებითი საკვების დასამზადებლად, მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც, მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ამ მიზნით იქნეს გამოყენებული;

სახნავ-სათესი (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც, მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ამ მიზნით იქნეს გამოყენებული;

საკარმიდამო მიწის ნაკვეთი – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც, უფლების დამდგენი დოკუმენტის შესაბამისად, გაცემულია საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად, მასზე განთავსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული), სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე; მიწის ნაკვეთი, რომელზედაც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება (არ გაცემულა ან დაკარგულია), ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ ეს მიწის ნაკვეთი გაცემულია საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად და მისი ფართობი ბარში არ აღემატება 1.25 ჰა-ს, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 5 ჰა-ს;

არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიის მქონე მიწის ნაკვეთი არის ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც არ მიეკუთვნება სასოფლოს-სამეურნეო მიწის კატეგორიას, დასახლებების ჩათვლით.

ქარბტენიანი ტერიტორიებს, კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ კანონის⁶⁸ მიხედვით, წარმოადგენს: ქაობები, ქანჭრობები, ტორფიანი ადგილები ან წყალსატევები –ბუნებრივი, ხელოვნური, მუდმივი, დროებითი, გამდინარი, გაუდინარი, მტკნარი, ნაკლებად მარილიანი ან მარილიანი, ზღვის აკვატორიის ჩათვლით, რომლის სიღრმე უკუქცევის დროს არ აღემატება 6 მეტრს; ქაობები წყლის შესახებ საქართველოს კანონის⁶⁹ მიხედვით მიეკუთვნება ზედაპირულ წყლებს.

საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის ქარბტენიანი ტერიტორიებია: კოლხეთის ქაობები (მოიცავს იმნათის, ნაბადას, ჭურის ქაობებს, პალიასტომის

68 <https://faolex.fao.org/docs/pdf/geo137728.pdf#>

69 საქართველოს კანონი წყლის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=27>

ტბასა და მიმდებარე ტერიტორიებს) და ისპანის ქაობი (მოიცავს ქობულეთის აღ-კვეთილსა და ნაკრძალს).

რაც შეეხება ტყისა და ტყის მიწების კატეგორიას, მას საქართველოს კანონმდებლობით არეგულირებს ტყის კოდექსი. ახალი ტყის კოდექსის მიღებამდე, ტყის განმარტება შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: „ტყით დაფარული ფართობი – 0,3 ჰა და მეტი ფართობი, რომელიც წარმოდგენილია 2 მეტრი და მეტი სიმაღლის ხეებით ან 1,5 მეტრი და მეტი სიმაღლის მერქნიანი ბუჩქოვანი მცენარეების ერთობლიობით, რომელთა ვარჯების პროექცია შეადგენს ფართობის 30%-ს და მეტს“. შემდგომ 2020 წელს მიღებული⁷⁰ ახალი კოდექსის მიხედვით ტყე განიმარტა შემდეგნაირად: „ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარის ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული, არანაკლებ 10 მ სიგანისა და სულ მცირე 0.5 ჰა მიწის ფართობი, სადაც ხეთა დგომის სიმჭიდროვე ფართობის ერთეულზე შეადგენს არანაკლებ 0,1 სიხშირეს“.

მიწათსარგებლობაში ცვლილებების მონიტორინგისთვის საქართველოში სამხუ-ხაროდ ამ ეტაპზე არ არსებობს მიწათსარგებლობის კატეგორიებში მომხდარი ცვლილებების აღრიცხვის მექანიზმი. სახელმწიფო უწყება, რომელსაც შეუძლია მიწის რეგისტრაციის დროს აღრიცხოს მიწათსარგებლობაში ცვლილებები, წარმოადგენს საჯარო ხეცგების ექსპერტიზა სააგენტო. ამ ეტაპზე მას არ აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება, ყოველწლიურად აღრიცხოს და შეაჯამოს მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებები. აქედან გამომდინარე ის ვერ გვაძლევს სტატისტიკურ მონაცემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამჟამად ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა მიწათსარგებლობაში ცვლილებების მატრიცა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე. კონკრეტულად, 1997, 2000 წლებისთვის და 2004 წლიდან ყოველწლიურად, 2023 წლის ჩათვლით გამოცემულ სტატისტიკურ პუბლიკაციებზე დაფუძნებით შედგა მიწათსარგებლობის მატრიცა (იხ. ცხრილი 6-1).

ცხრილი 6-1. მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების მაჩვენებლები (1990-2022წწ), ათასი ჰა.

წელი	მიწათსარგებლობის კატეგორიები						საქართველოს მთლიანი ფართობი
	3B1	3B2	3B3	3B4	3B5	3B6	
	ტყის მიწები	სახნავ-სათესი სავარგულები	მდელო-ები	ჭარბტენიანი ტერიტორიები	დასახლებები	სხვა მიწები	
1990	2,988.4	1,129.3	1,923.5	155.7	181.7	300.9	6,679.5
1991	2,988.4	1,123.3	1,923.5	155.7	181.7	306.9	6,679.5
1992	2,988.4	1,117.3	1,923.5	155.7	181.7	312.9	6,679.5
1993	2,988.4	1,111.3	1,923.5	155.7	181.7	318.9	6,679.5
1994	2,988.4	1,105.3	1,923.5	155.7	181.7	324.9	6,679.5
1995	2,988.4	1,099.4	1,923.5	155.7	181.7	330.9	6,679.5
1996	2,988.4	1,093.4	1,923.5	155.7	181.7	336.8	6,679.5

70 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=6>

წელი	მინათსარგებლობის კატეგორიები						საქართველოს მთლიანი ფართობი
	3B1	3B2	3B3	3B4	3B5	3B6	
	ტყის მიწები	სახნავ-სათესი სავარგულები	მდელო-ები	ჭარბტენიანი ტერიტორიები	დასახლებები	სხვა მიწები	
1997	2,988.4	1,087.4	1,923.5	155.7	181.7	342.8	6,679.5
1998	2,988.4	1,081.4	1,938.0	155.7	217.3	298.7	6,679.5
1999	2,988.4	1,075.4	1,938.0	155.7	217.3	304.7	6,679.5
2000	2,988.4	1,069.4	1,938.0	155.7	217.3	310.7	6,679.5
2001	2,988.4	1,065.5	1,938.0	155.7	217.3	314.6	6,679.5
2002	2,988.4	1,061.6	1,940.4	155.7	228.4	305.0	6,679.5
2003	2,988.4	1,057.7	1,940.4	155.7	228.4	308.9	6,679.5
2004	2,988.4	1,050.6	1,940.4	155.7	228.4	316.0	6,679.5
2005	2,988.4	1,043.5	1,940.4	155.7	228.4	323.1	6,679.5
2006	2,988.4	1,036.4	1,940.4	155.7	228.4	330.2	6,679.5
2007	2,988.4	1,029.3	1,940.4	155.7	228.4	337.3	6,679.5
2008	2,988.4	1,022.2	1,940.4	155.7	228.4	344.4	6,679.5
2009	2,988.4	1,015.1	1,940.4	155.7	228.4	351.5	6,679.5
2010	2,988.4	1,008.0	1,940.4	155.7	228.4	358.6	6,679.5
2011	2,988.4	1,000.9	1,940.4	155.7	228.4	365.7	6,679.5
2012	2,988.4	993.8	1,940.4	155.7	228.4	372.8	6,679.5
2013	2,988.4	986.7	1,940.4	155.7	228.4	379.9	6,679.5
2014	2,988.4	979.6	1,940.4	155.7	228.4	387.0	6,679.5
2015	2,988.4	972.5	1,940.4	155.7	228.4	394.1	6,679.5
2016	2,988.4	965.4	1,940.4	155.7	228.4	401.2	6,679.5
2017	2,988.4	958.3	1,940.4	155.7	228.4	408.3	6,679.5
2018	2,988.4	951.2	1,940.4	155.7	228.4	415.4	6,679.5
2019	2,988.4	944.1	1,940.4	155.7	228.4	422.5	6,679.5
2020	2,988.4	937.0	1,940.4	155.7	228.4	429.6	6,679.5
2021	3,100.5	929.7	1,940.4	155.7	228.4	324.8	6,679.5
2022	3,100.5	922.4	1,940.4	155.7	228.4	332.1	6,679.5

ცხრილში ტყის მიწების ფართობის ბოლო წლებში ზრდა გამომდინარეობს ტყის ეროვნული აღრიცხვის (ტეა) მონაცემებიდან. პირველად საქართველოში 2019-2023წწ ჩატარებულმა ტყის ეროვნულმა აღრიცხვამ, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ GIZ-ის მხარდაჭერით ჩაატარა, დააზუსტა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტყის ფართობები. ამასთან ერთად მიღებული იქნა ტყის სხვადასხვა განახლებული მაჩვენებლები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტყის გაზრდილი ფართობის მიუხედავად საქართველოს

ტყით დაფარული ფართობის 34.5% დეგრადირებულია, რაც ჯამში 807178 ჰექტარს შეადგენს (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით).

ტყის აღწერამ აჩვენა, რომ დეგრადირებული ფართობების ყველაზე მეტი წილი მოდის დაბალი სიხშირის კორომებზე, ასევე, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უსისტემო ჭრების შედეგად ტყის ხარისხის გაუარესება, რაც მის დეგრადაციას იწვევს.

ასევე ტყეების მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს მავნებელ-დაავადების გავრცელებაც.

ტყეების დაზიანებების წილი პროცენტულობით/Damage causes in percentages:

15.6 % – ფიტო და ენტო დაავადებები;

38.8 % – დაბალი სიხშირის კორომი;

36.1 % – უსისტემო ჭრების გამო ტყის ხარისხის გაუარესება;

7.8 % – ტყის მიწებზე უკანონო ძოვება;

1.0 % – ტყის ხანძრები;

0.7 % – სხვა/უცნობი მიზეზებით დაზიანება.

შედეგებიდან გამოიკვეთა 5 მერქნიანი სახეობა, რომელიც უარყოფითად რეაგირებს გარემო ფაქტორებზე და ყველაზე მეტი რაოდენობის გამხმარი ინდივიდებითაა წარმოდგენილი.

ყველაზე მეტად დაზიანებულია კოლხური ბზა – მთლიანი ნარგავების 91,5%; ჩვეულებრივი წაბლი – დაზიანებულია 17,6%-ით; კავკასიური ფიჭვი – 8,7%; ქართული მუხა – 8% და აღმოსავლური ნაძვი – 6,8%.

6.1.1. სათბურის აირების ემისიების გრუნდი

LULUCF სექტორში სათბურის აირების ინვენტარიზაცია ჩატარდა ოთხ ქვესექტორში: სამ საკვანძო წყარო კატეგორიაში: სატყეო მიწები, სახნავ-სათესი სავარგულები, მდელოები, და ასევე ქარბტენიან მიწებზე. ცხრილში 2 მოცემულია ნახშირორჟანგის ემისიები თითოეული ქვესექტორისათვის, აგრეთვე მთლიანად სექტორისთვის გამოთვლილი ჯამური ემისიები 1990-2022 წლებისათვის. ქვესექტორები საკვანძო წყარო კატეგორიებად იდენტიფიცირდა IPCC მეთოდოლოგიური მითითებების მიხედვით⁷¹. დანართში მოცემულია გადანყვეტილების მიღების სქემა, ცალ-ცალკე სამივე ქვესექტორის მიხედვით. როგორც წესი, გამოთვლების კარგი პრაქტიკა გულისხმობს საკვანძო კატეგორიებისთვის გამოთვლების უფრო მაღალი დონის მიდგომებით ჩატარებას (დონე 2 და 3). ამ ეტაპზე ქვეყანაში შესაბამისი მონაცემების არ არსებობის გამო LULUCF სექტორში ძირითადად ჩატარდა დონე 1-ის მიხედვით. ამსთან ერთად განისაზღვრა შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო მონაცემების ნუსხა.

გამოთვლების მეთოდოლოგია, საქმიანობის მონაცემები და ემისიის კოეფიციენტები დაწვრილებით აღწერილია შემდგომ შესაბამის თავებში. ანგარიშის ცხრილებში მითითებულ CO₂-ის ემისიებს ატმოსფეროში შეესაბამება (+) ნიშანი, ხოლო

71 CHAPTER 4; METHODOLOGICAL CHOICE AND IDENTIFICATION OF KEY CATEGORIES. https://www.ipcc.org/public/2006gl/pdf/1_Volume1/V1_4_Ch4_MethodChoice.pdf

CO₂-ის შთანთქმას ატმოსფეროდან (-) ნიშანი.

ცხრილი 6-2-დან ჩანს, რომ 1990 წლიდან ემისიების რაოდენობებში - ყველაზე მეტი ცვლილება სახნავ-სათეს მიწებზე, კერძოდ მრავალწლიანი ნარგავებით დაფარულ მიწებზე დაფიქსირდა. კერძოდ, თუ 1990 წელს ნახშირორჟანგის ემისიები -1041გგ CO₂ შეადგენდა, 2022 წელს ემისიებმა 757.5გგ CO₂ - შეადგინა.

სათიბ-საძოვრების ქვესექტორი (3B2) ყველა შეფასებულ წელიწადში წარმოადგენს ნახშირორჟანგის ემიტორს, რაც განპირობებულია საძოვრების დეგრადაციით. საძოვრების ინტენსიური, არანორმირებული ექსპლუატაციის შედეგად ნიადაგში ნახშირბადის დაგროვების მასშტაბები მიზერულია, რაც ამ ქვესექტორს ნახშირორჟანგის ემიტორად აქცევს. ემისიები ამ ქვესექტორიდან სტაბილურად 816.2-765.2 ათას გგCO₂ ფარგლებშია.


რაც შეეხება სატყეო მიწებს, ის ყველა შეფასებულ წელს ნახშირბადის დამგროვებელია და ნახშირორჟანგის შთანთქმის დინამიკა ყოველწლიურად -6904.3/-6693.5გგCO₂ ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 6-2. LULUCF სექტორში 1990-2022წწ სატბურის აირების ინვენტარიზაციის შედეგები

წელი	ტყის მიწები		სახნავ-სათესი				მდელოები		ჭარბტენიანი მიწები		სუფთა ემისია/ შთანთქმა	
			მრავალწლიანი ნათესები		ს/ს მიწები							
	ათასი ტ C	გგCO2	ათასი ტონაC	გგ CO ₂	ათასი ტონაC	გგ CO ₂	ათასი ტონაC	გგ CO ₂	ათასი ტონაC	გგ CO2	ათასი ტონაC	გგ CO ₂
1990	1,883.00	-6,904.30	283.90	-1,041.00	187.90	-688.90	-119.70	438.90	4.30	15.77	2,239.40	-8,179.53
1991	1,893.50	-6,942.80	269.00	-986.30	131.80	-483.30	-222.60	816.20	4.30	15.77	2,076.00	-7,580.43
1992	1,929.20	-7,073.70	254.10	-931.70	136.00	-498.70	-222.60	816.20	4.30	15.77	2,101.00	-7,672.13
1993	1,899.20	-6,963.70	239.20	-877.10	122.70	-449.90	-222.60	816.20	4.30	15.77	2,042.80	-7,458.73
1994	1,893.50	-6,942.80	224.30	-822.40	60.20	-220.70	-222.60	816.20	4.30	15.77	1,959.70	-7,153.93
1995	1,914.60	-7,020.20	209.40	-767.80	75.60	-277.20	-222.60	816.20	4.30	15.77	1,981.30	-7,233.23
1996	1,897.00	-6,955.70	194.50	-713.20	71.40	-261.80	-222.60	816.20	4.30	15.77	1,944.60	-7,098.73
1997	1,950.00	-7,150.00	179.60	-658.50	82.30	-301.80	-222.60	816.20	4.30	15.77	1,993.60	-7,278.33
1998	1,837.40	-6,737.10	164.60	-603.50	76.80	-281.60	-217.10	796.00	4.30	15.77	1,866.00	-6,810.43
1999	1,852.20	-6,791.40	149.70	-548.90	91.80	-336.60	-217.10	796.00	4.30	15.77	1,880.90	-6,865.13
2000	1,836.80	-6,734.90	134.80	-494.30	87.60	-321.20	-217.10	796.00	4.30	15.77	1,846.40	-6,738.63
2001	1,869.20	-6,853.70	119.90	-439.60	123.10	-451.40	-217.10	796.00	4.30	15.77	1,899.40	-6,932.93
2002	1,818.00	-6,666.00	105.00	-385.00	128.40	-470.80	-217.10	796.00	4.30	15.77	1,838.60	-6,710.03
2003	1,779.90	-6,526.30	90.10	-330.40	148.00	-542.70	-217.10	796.00	4.30	15.77	1,805.20	-6,587.63
2004	1,742.20	-6,388.10	75.20	-275.70	162.30	-595.10	-208.70	765.20	4.30	15.77	1,775.30	-6,477.93
2005	1,632.60	-5,986.20	60.30	-221.10	159.40	-584.50	-208.70	765.20	4.30	15.77	1,647.90	-6,010.83
2006	1,776.80	-6,514.90	45.40	-166.50	243.40	-892.50	-208.70	765.20	4.30	15.77	1,861.20	-6,792.93

წელი	ტყის მიწები		სახნავ-სათესი				მდელოები		ჭარბტენიანი მიწები		სუფთა ემისია/ შთანთქმა	
			მრავალწლიანი ნათესები		ს/ს მიწები							
